ერი

№115 (12 184)

18 მაისი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაინახეთ და ირწმუნეთ!

ნოდარ ახალკაცი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია

ნუგზარ სუარიძის ფოტო

პაატა თოთაძე

ათასგვარი აზრი მიტრიალებს თავში ყრილობაზე მიმავალს. უმთავრესი, ღირს კი საერთოდ იქ წასვლა, სადაც ყველაფერი წინასწარაა გადაწყვეტილი? ამას უცებ მოვუძებნე პასუხი - პროფესიული ვალდებულება მაქვს. ეს მთავარი და სიმართლე ითქვას, მაინტერესებს როგორ მოიქცევა ის 19 სუბიექტი, წინა არჩევნებზე ნემსაძეს რომ მისცა ხმა.

"ბასაზე" მისულს ისეთივე სურათი მხვდება, როგორც 13 მაისს - დელეგატები ერთმანეთს უღიმიან, სამომავლო გეგმებზე ესაუბრებიან. განსხვავება ისაა, რომ აქ ყველა ერთის მხარესაა. ძნელია ისეთის პოვნა, შეურაცხყოფილად რომ თვლის თავს, არადა რამდენი ითქვა ამაზე გასულ დღეებში... შესაძლოა, ზოგი ნიღბავს კიდეც ამას და არგუმენტად ქართული ფეხბურთის კეთილდღეობა მოჰყავს, რომელიც პირადულზე მაღლა დგას.

ყრილობას **უჩა უგულავა** ხსნის. დღის წესრიგს და ხმის დამთვლელი კომისიის წევრებს მალევე ამტკიცებენ. პრეზიდენტობის კანდიდატებს სიტყვის თქმის დრო დაუდგათ.

- დღეს ამაღლებაა და მინდა აქედან ყველანი ამაღლებულები გავიდეთ. მქონდა ინფორმაცია, რომ დელეგატებზე ბოლო სამი დღის განმავლობაში ხორციელდებოდა ზეწოლა, რაც დღეს ზოგიერთმა დამიდასტურა კიდეც. მე ვაცხადებდი, რომ ეს იქნებოდა შოუ და ეს არის შოუ. მე მოვუწოდებ გიორგი ნემსაძის მომხრეებს, დემონსტრაციულად დავტოვოთ შოუ. მე მივდივარ, მაგრამ არ ვხსნი კანდიდატურას. მე ვარ ქართველი და ჩემი გვარ-სახელი ყველაფერს მირჩევნია. მე ვთვლი, რომ ვარ ღირსეული კაცი, ის კი, რაც ოთხი დღის წინათ მოხდა, იყო თითოეული თქვენგანის ღირსების შელახვა. მე ეს ყველაფერი უნდა მეთქვა ბრუნო ვოლფისბერგის, უეფას დელეგატის წინაშე. - ამის თქმა იკმარა **მამუკა კვარაცხელიამ** და დარბაზი დატოვა.

- ნეტა მართლა სჯერა, რომ ვინმე გავა აქედან? - იკითხა ჩემმა ერთ-ერთმა კოლეგამ, თითქოს ჩუმად, მაგრამ ხმამაღლა გამოუვიდა და პასუხი წინა რიგიდან მიიღო - მემგონი, არა.

- მე მართლა მჯეროდა, რომ ნემსაძის მომხრეები დატოვებდნენ დარბაზს - გულდაწყვეტილი ჩანდა გარეთ გასული კვარაცხელია, რომელსაც მხარი მოლოდინისამებრ არავინ აუბა - აქ საუბარი არაა ჩემს მხარდაჭერაზე, საუბარია ნემსაძის ანუ იმ პიროვნების მხარდაჭერაზე, ვისაც ამ ხალხმა ხმა მისცა ოთხი დღის წინათ. კაცს შეურცხყოფა მიაყენეს, განა თქვენ არ გყავთ მეგობრები? რას მოითხოვთ მათგან?

სიტყვა არც ახალკაცს გაუგრძელდა, პროგრამაზე აღარ ისაუბრა. კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში იქნება ქართული ფეხბურთის სამსახურში და მისი მუშაობის ორი წლის მანძილზე მიღწეულია გარკვეული პროგრესი.

არჩევნების ჯერიც დადგა.

- ბატონ ნოდარ ახალკაცს ხმა მისცა 25-მა დელეგატმა, ბატონ მამუკა კვარაცხელიას არავინ, ხოლო ერთი ბიულეტენი ბათილად იყო ცნობილი - გამოაცხადა ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე **დიმიტრი ბოკერიამ**.

გოჩა ჯამარაული, ლევან კორღალიძე, გიორგი დევდარიანი, ივანე ხორგუაშვილი, მერაბ მეგრელაძე ყრილობაზე არ გამოცხადნენ, **პაატა ჩხეიძემ** კი მხოლოდ რეგისტრაცია გაიარა. ის ერთი, ბათილი ბიულეტენი კი **მალხაზ კაკაურიძისა** იყო.

ირგვლივ უამრავი კმაყოფილი სახეა, დელეგატები, განურჩევლად სიმპათიებისა, ერთმანეთს ახალკაცის გაპრეზიდენტებას ულოცავენ.

პრეზიდენტთან ერთად შეიცვლება აღმასკომის შემადგენლობაც. 14 ვაკანტურ ადგილზე 20 კანდიდატს უნდა ებრძოლა (დანარჩენებმა ადრე მოხსნეს კანდიდატურები), მაგრამ **დილარ ხაბულიანსა** და **ნუგზარ ბექაურს** დილით უთქვამთ უარი აღმასკომის წევრობაზე და არჩევნებიც 18 კაცში უნდა ჩატარდეს.

2

www.kazbegi.com

გასხენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

დაინახეთ და ირწმუნეთ!





პირველი გვერდიდან

- მე გიორგი ნემსაძეს ახლოს არ ვიცნობ. ჩვენი ურთიერთობა შემოიფარგლება იმით, რომ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ მივედი და მივულოცე. გამომდინარე იქიდან, რომ წინასაარჩევნო პერიოდში გიორგი ნემსაძე არ დაინტერესებულა ჩემთან ურთიერთობით, ჩავთვალე, რომ მას არ აინტერესებდა ჩემთან თანამშრომლობა. აქედან გამომდინარე, უარი ვთქვი აღმასკომის წევრობაზე. მას უნდა ჰქონოდა თავისუფალი არჩევანის უფლება, ემუშავა იმ ხალხთან, ვისთანაც უფრო ნაყოფიერად ითანამშრომლებდა. დღეს კი ისევ წამოვაყენე კანდიდატურა, რადგან ვიცი, რომ ნოდარ ახალკაცს აქვს ჩემთან თანამშრომლობის სურვილი - ამგვარად ხსნის თავის გადაწყვეტილებას "ამერის" პრეზიდენტი **ზურაბ ფოცხვერია**.

- ნოდარ ახალკაცს გამარჯვება მივულოცე და დარწმუნებული ვარ, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში შექმნილი მმართველობითი კრიზისი დასრულებულია - ძეგლთა დაცვის, სპორტისა და კულტურის მინისტრი **გიორგი გაბაშვილი** კმაყოფილი ჩანს.

- ყველა არჩეული კანდიდატი ღირსეულია - გაბაშვილს კითხვებზე პასუხის გაცემა უხდება - გიორგი ნემსაძესაც მივულოცე მაშინ გამარჯვება. სახელმწიფოს ვალდებულებაა, ნეიტრალური იყოს ფედერაციასთან მიმართებაში. ის მზადაა გვერდში დაუდგეს მას და ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ ითანამშრომლოს...

და ისევ ნაცნობი ხმა - ნეტავ მართლა სჯერა ნათქვამის? - ჩუმად არც ამჯერად გამოუვიდა, მაგრამ ჟურნალისტებთან საუბარში გართულ გაბაშვილს კითხვა არ ესმის.

მცირეხნიანი შესვენებაა, სანამ აღმასკომის წევრთა ვინაობა გაირკვევა. ხალხი ფოიეში ირევა. ის ხალხი, ვინც წინა არჩევნებზე ნოდარ ახალკაცის მხარდამჭერი იყო ისევ ერთადაა, მაგრამ გარშემომყოფთა რაოდენობამ საგრძნობლად იმატა - დღეს ხომ ყველა ახალკაცის მომხრეა.

- 13 მაისის არჩევნების შედეგები ჩემთვის არა მხოლოდ მოულოდნელი, როგორც საფეხბურთო ფუნქციონერისთვის, მიუღებელი იყო. დღესაც ვთვლი, რომ დელეგატებმა იმ არჩევნებზე შეცდომა დაუშვეს. იმის მერე მომხდარს კი კომენტარს ვერ გავუკეთებ, პირადად ნემსაძის საქმეა - ამბობს **გოგი ქავთარაძე**.

გრიგოლ ცაავა, გოგი ქავთარაძე, გიორგი გაბაშვილი, რევაზ არველაძე, თენგიზ სულაქველიძე, ალექსანდრე ახვლედიანი, დიმიტრი რამიშვილი, ზურაბ ფოცხვერია, მამუკა ვარდოსანიძე, ბუბა ტყავაძე, კობა სუბელიანი, ალექსანდრე თოფურია და ზაზა ციციშვილი აღმასკომის ახალი წევრები გახდნენ. ეს ცამეტი და მეთოთხმეტე? მის ასარჩევად მეორე რაუნდია საჭირო. ბრძოლა ძირითადად **სერგო კვარაცხელიასა** და **დავით სილაგაძეს** შორის მიდის.

- 3 ხმა გაგიკეთე - ისმის კვარაცხელიას მისამართით.

- არც იმას დაელევა ეგეთები - აქ უკვე სილაგაძე იგულისხმება.

აღმასკომის მეთოთხმეტე წევრი დავით სილაგაძეა.

ახალკაცი დარბაზს გვატოვებინებს, აღმასკომის პირველი სხდომა უნდა ჩატარდეს. მის ლოდინში დაახლოებით 20 წუთი გადის, ბაზაზე შეკრებილები მის საპრეზიდენტო სიტყვას ელიან:

- თავს უფლებას მივცემ და დიდი ილია ჭავჭავაძის სიტყვებს მოვიშველიებ, ქვეყანაზე ზოგი ისეთი საგანია - თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ და ზოგიც ისეთი, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ. მოდით, ქართული ფეხბურთის პროგრესი დავინახოთ, ჩვენი მომავალი გამარჯვებები ვირწმუნოთ და ქართული ფეხბურთის საქმე ისე მოვაწყოთ, როგორც ქართველ ხალხს ეკადრება...

- ორი წლის წინათ, როდესაც დავიწყეთ მოღვაწეობა, ორს პლუს ოთხი (წელიწადი) გეგმით ვმოქმედებდით და ის პროცესები, რაც დაგეგმილია მომავალი სეზონიდან, გაგრძელდება და გარკვეულ ცვლილებებთან გვექნება საქმე. ლოგიკურია, რომ ცვლილება წინსვლის მხრივ იქნება...

- არჩევნებში მონაწილეობის მიღება ჩემი გადაწყვეტილება იყო. საერთოდ მე ცხოვრებაში ყველაფერს ჩემი ავტონომიური გადაწყვეტილებების საფუძველზე ვიღებ...

- მომავალ ოთხ წელიწადში გადამწყვეტი იქნება ქართული ფეხბურთის განვითარება, მისთვის ძველი დიდების დაბრუნება. ის, რაც მოვახერხეთ, რომ ქართული ფეხბურთი ანგარიშგასაწევ ძალად ყალიბდება, უფრო გაღრმავდება...

- ქართულ ფეხბურთში ყველა ის პიროვნება უნდა იყოს ჩართული, რომელიც რეალურად იღწვის და სურს თავისი წვლილი შეიტანოს მის განვითარებაში...

- იმ სუბიექტებთან, რომლებმაც წინა არჩევნებზე ნემსაძეს დაუჭირეს მხარი, ურთიერთობა ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ გაგრძელდება. აქ არ არის საუბარი პიროვნებებზე, აქ საუბარია ქართული ფეხბურთის მომავალსა და განვითარებაზე...

- მნიშვნელოვანი ამბავი უნდა გითხრათ, დღევანდელი აღმასკომის სხდომაზე დამტკიცდა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტები იქნებიან გრიგოლ ცაავა, გოგი ქავთარაძე, რევაზ არველაძე და დიმიტრი რამიშვილი. გენერალური მდივანი არის უჩა უგულავა. ამ შემთხვევაში დამტკიცება საჭირო არ იყო, ის შრომითი ხელშეკრულებითაა დაკავშირებული ფედერაციასთან.

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

CDN კავკასიის სიფხიერი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დაფგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA LINE ისაუბრე შეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გაფართოება ნებისმიერ გაუჭვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ორ. ახმეტელის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

საპასუხო სვლა: ხელისუფლება მილიონებს ამზადებს

ნოდარ ახალკაცი მაინც აირჩიეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად. არადა ოთხი დღის წინათ ამავე არჩევნებში **გიორგი ნემსაძემ** გაიმარჯვა. რატომ მისცა ახალკაცმა საკუთარ თავს იმის უფლება, რომ ხელმეორედ ეყარა კენჭი პრეზიდენტობისთვის? ახალკაცი თავისი ქვეყნის, აქაური საზოგადოების შვილია და იმიტომ. ასეთი განმარტება არ უნდა იყოს თავის არიდება იმისგან, რაც მოხდა, რადგან ჩვენში პიროვნებები არ ფასობენ, პიროვნებები აქ ყოველთვის ხელმოცარულები არიან.

შარშანწინდელი არჩევნები გავიხსენოთ. პრეზიდენტობის კანდიდატები მიხვდნენ რა, რომ ხელისუფლების უპირობო ფავორიტი ახალკაცი იყო, თავიანთი კანდიდატურა მოხსნეს. მაშინ ამ ამბავმა ჩუმად, დიდი რეზონანსის გარეშე ჩაიარა და, რატომღა შემოგვეყარა გულზე ის, რაც ბოლო ოთხ დღეში მოხდა?

ქართული ფეხბურთი ყოველთვის იყო ისეთი აუღებელი ციხე, შიგნიდან არასდროს რომ არ გამტყდარა. წლეულს კი უბრალოდ ეს ციხე ორად გაიყო, თუმცა შიგნიდან არგატეხვის პრინციპი მაინც შეუნარჩუნდა - საჯაროდ არავინ არ თქვა სიმართლე, საბოლოო ჯამში ყველა შეეგუა იმას, რაც მოხდა.

და, რა არის სიმართლე? კულუარებში, ახალკაცისა თუ ნემსაძის მომხრეებიდან მილებულ იდენტურ ინფორმაციას ამჯერად თავი გავანებოთ და ლოგიკას მივყვეთ. ქვეყნის პრეზიდენტს **კლაუს ტოპმიოლერის** მიმართ სიმპათია რომ არ გააჩნდეს, ფეხბურთის ფედერაცია სახელმწიფოსგან ვერ მიიღებდა იმ თანხას, რაც ტოპმიოლერის ჯამაგირს ხმარდება. ტოპი კვლავაც რჩება მისი უმაღლესობის ფავორიტად. "ლელოს" 3 მაისის ნომერში გიორგი ნემსაძე ამბობს: "*ზოგადად, ტოპმიოლერის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მას დეკემბრამდე აქვს კონტრაქტი და უნდა იმუშაოს. მიმდინარე შესარჩევში ჩვენს ნაკრებს კიდევ ექვსი თამაში დარჩა და ჯერ რატომ უნდა იყოს ლაპარაკი ტოპმიოლერის გაშვება-არგაშვებაზე? მასთან კონტრაქტის გაგრძელებაზე შესარჩევი ეტაპის დასრულების შემდეგ უნდა ვიმსჯელოთ*".

იმავე დღეს, 3 მაისს ტოპმიოლერი ქვეყნის პრეზიდენტს შეხვდა. 9 მაისს კი "ლელოში" კიდევ ერთი ინტერვიუ იბეჭდება ნემაძესთან, რომლის ფრაგმენტი ასეთია:

- თქვენი პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში რა ბედი ელის კლაუს ტოპიოლერს? საფეხბურთო სამყარო დარწმუნებულია, რომ ახალ კონტრაქტს არ შესთავაზებთ.

- რატომ არ შევთავაზებ? ტოპმიოლერის კვალიფიკაციაში ეჭვი არასდროს შემპარვია - ის ძალიან მაღალი დონის სპეციალისტი რომ არის, ორი აზრი არაა. მე პირობას ვაძლევ მასაც და გულშემატკივრებსაც, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ტოპმიოლერთან კიდევ ორწლიან ხელშეკრულებას გავაფორმებ და ნაკრებს გაათმაგებულად დავეხმარებით.

ლოგიკა გვკარნახობს შემდეგს - ხელისუფლების იმ ფრთამ, რომელიც ნემსაძეს უჭერდა მხარს, მას ურჩია, ტოპმიოლერზე ეთქვა ეს, რადგან ტოპი ქვეყნის პრეზიდენტის ფავორიტია. ამ შემთხვევაში ნემსაძეს მისმა ქომაგებმა სიმართლე უთხრეს, მაგრამ საბოლოო ჯამში მოატყუეს, ანუ დაუმალეს ის, რომ ტოპის გარდა ახალკაციცაა მისი უმაღლესობის ფავორიტი.

ნემსაძის მხარდამჭერთაგან ასეთი ნაბიჯი დიდი რისკი, ცეცხლთან თამაში იყო. მათი გონება ალბათ ასე იყო მომართული - ნემსაძე არჩევნებში გაიმარჯვებს, ხელისუფლება ფაქტის წინაშე დადგება, ჩვენ კი ვიტყვით, რომ ეს ჩვენი ბრალი არ არის, ყველაფერი ურჩმა და დამოუკიდებელმა ფეხბურთის ოჯახმა გადაწყვიტა.

ქართულ საფეხბურთო ოჯახზე სათქმელი კიდევ ბევრია. ნემსაძის გადადგომის შემდეგ ქართულ ტელევიზიებს ცნობილი სახეები არ მოჰკლებია. ისინი საუბრობდნენ ღირსებაზე, კაცობაზე, მეგობრობაზე და მეობაზე, კიდევ იმაზე, რომ ტოპმიოლერი ცუდია, რომ მისი განვრთნილი ნაკრები მხოლოდ ფარერებს უგებს და ასე შემდეგ. მაგრამ აღარ ახსოვდათ ის, როცა ნაკრების ქართველი მწვრთნელი ფეხბურთელებს კონკრეტულ დავალებას ვერ აძლევდა და გუნდში ხანდახან ღიპწამოზრდილ ფეხბურთელს ათამაშებდა; არც ის ახსოვდათ, თუ პირველად ვისი მწვრთნელობისას გახდა ნაკრები სავაჭრო დახლი; არც ის, თუ აღმასკომის ერთი წევრის გარდა ყველამ როგორ დაუჭირა მხარი ნაკრებში გაიოზ დარსაძის დანიშვნას...

ჩვენში რეპუტაციის ფაქტორი ფაქტობრივად არ არსებობს და ამიტომაც არსებობენ ცუდი რესპონდენტები, რომელთაგან ბევრს ზოგადად არ მოსწონს უცხოელი მწვრთნელი.

ისე, ტოპმიოლერთან მორიგებას ნემსაძის მხარდამჭერებიც აპირებდნენ. ნემსაძის განცხადებამდე რამდენიმე წუთით ადრე რედაქციაში დაგვირეკეს, ტოპის ნომერი გვითხარით, მასთან საუბარი დავით კირკიტაძეს სურსო...

უმსგავსობას პიროვნებები ამარცხებენ, პიროვნება კი საქართველოში ყოველთვის დამარცხებულია, ის მხოლოდ დროებით წარმატებას თუ მიაღწევს, მერე კი ან პრინციპებზე უნდა აიღოს ხელი, ან კარიერაზე. ასეთია თამაშის წესი საფეხბურთო ოჯახშიც.

13-17 მაისს მომხდარმა უარყოფითი ემოციები მოიტანა. ქართულ საზოგადოებას აქვს უნარი, ბევრი ასეთი ემოცია დაიტოვოს და მერე უცბად გადმოანთხიოს. მაგრამ ამჯერად საქმე აქამდე არ მივა - ჩვენი საზოგადოების ხასიათი უკვე კარგად შეისწავლეს - ხელისუფლება საპასუხო სვლას ამზადებს.

13 მაისის არჩევნებამდე ფეხბურთის ფედერაციამ კონტრაქტი გააფორმა ინგლისურ კომპანია FMMI-სთან, რათა ფეხბურთის განვითარების პროგრამისთვის რჩევები მიიღოს. ამ პროექტში ფედერაციის პარტნიორი ხელისუფლებაც იქნება. შევიტყვეთ, რომ დიდ დოტაციაზეა ლაპარაკი, ქვეყნის ბიუჯეტიდან ათეულ მილიონობით ლარზე, რომლითაც სავარაუდოდ 4-5 საერთაშორისო სტანდარტის სტადიონი აშენდება. თქმა არ უნდა, ხელისუფლებასაც სანდო პარტნიორი სჭირდებოდა ასეთ ძვირიან პროექტში და ალბათ ამიტომაც გამოდგა ფედერაციის პრეზიდენტის წლევანდელი არჩევნები შმაგი და უპრეცედენტო. თუ ხელისუფლება და ფედერაცია ასეთ პროექტს განახორციელებენ, ვისღა ეხსომება 2007 წლის 13 მაისი და ნემსაძის ორმოცდახუთწუთიანი პრეზიდენტობა? - ვფიქრობ, არც ესა ულოგიკო.

ახლა ისეთი დროა, ქართულ ფეხბურთში ფული იქით რომ უნდა მიიტანო, თორემ რაც გამოსაწველი იყო, უკვე გამოწველილია. ნემსაძის სახელისუფლო მომხრეებს ალბათ აქაც დაუცდათ ფეხი.

დავით თავართქილაძე

ინტერვიუ ოთარ კორღალიძესთან

ყველაფერს ვიტყვი, თუკი ჩვენს მომხრეებს შეავიწროებენ!

ფეხბურთის ფედერაციის გუშინდელ არჩევნებს გიორგი ნემსაძის მომხრე დელეგატების ნაწილი არ დაესწრო. გვესაუბრება ერთ-ერთი მათგანი, სპორტის აკადემიის ფეხბურთის კათედრის გამგე ოთარ კორღალიძე:

- ეს ნაბიჯი პროტესტის გამოხატულებაა. მე ამ ფარსს არ დავესწარი, ისევე როგორც გოჩა ჯამარაული, გიორგი დევდარიანი, მერაბ მეგრელაძე, პაატა ჩხეიძე... მგონი, "ვიტ ჯორჯიის" წარმომადგენელიც არ იყო.

თქვენც კვარაცხელიასთვის მიგეცათ ხმა...

- რა აზრი ჰქონდა?

- თქვენი აზრით, სკანდალური მოვლენები რა გავლენას მოახდენს ქართული ფეხბურთის მომავალზე, ხომ არ დაიწყება ნემსაძის მომხრეების შევიწროება?

- შეიძლება მართლა რაღაც მოხდეს. ამიტომაც ვურჩევ ახალკაცის გუნდს - ჩვენს მომხრეებს თავი დაანებონ, არადა ყველაფერს ვიტყვით და თან უეფაში. ფედერაციის აღმასკომში არ აირჩიეს აფხაზეთის ფედერაციის პრეზიდენტი მურად ანჯაფარიძე. ეს ჩვენი სირცხვილია. სულ ფეარ-პლეის პრინციპები რომ აკერიათ პირზე, ნემსაძის თავს დატრიალებული ამბები სამართლიანობის გამოვლენას არ ჰგავდა.

ახალკაცის სიტყვებია - ყველაფერზე მაღლა ქართული ფეხბურთი დავაყენეო. ფეხბურთი კი არა, საკუთარი თავი დააყენა. ფედერაციის პრეზიდენტი თავმოყვარე და მაღალი ზნეობის ადამიანი უნდა იყოს, რაც მისი ბოლო მოქმედებებით არ გამოჩნდა. სხვათა შორის, ესეც რომ არ ვთქვა, არ შემიძლია: აღშფოთებული ვარ კახა კალაძის და ზურა ხიზანიშვილის განცხადებებით.

ასეთი რა თქვეს?

- რომ თურმე ნოდარ ახალკაცს არჩევნებში მონაწილეობის მორალური უფლება აქვს.

- ბატონო ოთარ, საერთოდ, ფეხბურთელებს საარჩევნო ბატალიებში ჩართვა არ უყვართ და რატომ ამტყუნებთ?

- იმიტომაც გვყავს "მაგარი" ნაკრები, რომ პიროვნებები არ არიან და ღირებულ წარმატებას ვერასდროს მიაღწევენ. რისი შეეშინდათ, ნაკრებში აღარ მიიწვევდნენ კალაძესა და ხიზანიშვილს? კახას ამბავი გასაგებია, ხიზანიშვილის დუმილმა კი ძალიან გამაოცა. გიორგიმ წაიყვანა შოტლანდიაში, კარიერა ააწყობინა და მისი მხარდაჭერის ნაცვლად, შუაში დადგა. მაგათ მე პატივს აღარ ვცემ.

კაცები ყოფილან გუცაევი, ძოძუაშვილი, შელია, ცხადაძე, დევდარიანი, ყაველაშვილი, ჯამარაული, რადგან სიმართლე თქვეს და ღირსება ყველაფერზე მაღლა დააყენეს. სხვა ვეტერანები სად არიან, როდესაც ჩვენი არჩევანი ფეხქვეშ გათელეს? ამიტომაც არის მძიმე დღეში ქართული ფეხბურთი.



- ნემსაძის მომხრეების შესაძლო შევიწროებაზე რომ საუბრობთ, თავად სახელმწიფო სასწავლებლის თანამშრომელი ბრძანდებით და მოხსნის არ გეშინიათ?

- არ გამიკვირდებოდა, მაგრამ მიზეზი ხომ უნდა ჰქონდეთ?

- გულწრფელად გვითხარით, ნემსაძის გადადგომას ამართლებთ?

- მას სახელმწიფოს სერიოზული დახმარების იმედი ჰქონდა და ამიტომ ჰპირდებოდა გუნდებს დაფინანსებას. სახელმწიფო გვერდში აღარ დაუდგა და ტყუილი დაპირება რომ არ გამოსვლოდა, გადადგა.

მე ერთი ის მაინტერესებს, როგორ არის ქართულ ფეხბურთში პროგრესი, როდესაც საქართველოს რეიტინგი 92-ე ადგილამდე დაეცა? ეს გვიხარია და ამიტომ ავირჩიეთ ახალკაცი?

მერაბ მამულაშვილი

21-წლამდელთა ნაკრები

ესპანეთმა შემადგენლობა დაასახელა

ფეხბურთის ფედერაციის არჩევნების შემდეგ მთავარ თემად ისევ ეროვნული თუ სხვა ასაკობრივი ნაკრებებია. **კლაუს ტოპმიოლერის** გუნდი ამ თვის ბოლოს დაიწყებს მოსამზადებელ შეკრებას 2 და 6 ივნისის მატჩებისთვის. 19-წლამდელთა ნაკრები გუშინ ჩაფრინდა შოტლანდიაში და 23 მაისიდან ელიტრაუნდში იბრძოლებს ფინალური ეტაპის საგზურის მოსაპოვებლად. რაც შეეხება 21-წლამდელთა ნაკრებს, **პეტარ სეგრტის** გუნდი, 5 ივნისს ესპანეთთან საშინაო მატჩით, ევროპის ჩემპიონატის ახალ შესარჩევ ციკლს იწყებს. შეგახსენებთ, რომ ჩვენს ჯგუფში ესპანელთა გარდა, პოლონეთის, რუსეთისა და ყაზახეთის ახალგაზრდული ნაკრებები არიან.

ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრების მთავრმა მწვრთნელმა **ინიაკი საესმა** თბილისში ჩამოსაყვანი 18-კაციანი შემადგენლობა უკვე დაასახელა. ეს ჩამონათვალი, რომელშიც არაერთი ნაცნობი ფეხბურთელია, ასე გამოიყურება.

მეკარე: **ანტონიო ადანი (რეალი).**

მცველები: **სერხიო სანჩესი, ტორეს გომეში (ორივე რეალი), ბარაგან ფერნანდესი (დეპორტივო), ხერარდ პიკე (სარაგოსა), იგნასიო ერასო (ოსასუნა), ხავიერ მარტინესი (ატლეტიკი).**

ნახევარმცველები: **ხოსე ურტადო (ატლეტიკო), მარკოს გარსია ბარერო (ვილიარეალი), რაულ გარსია (ოსასუნა), ხოსე ენრიკე (ვილიარეალი), პალარდო (ვალენსია), სისინიო (ვალიადოლიდი), პედრო ლეონი (მურსია), ალეხანდრო ალფარო (სევილია).**

თავდამსხმელები: **რობერტო ხიმენესი (ატლეტიკო), ფრანჩესკო ხიმენესი (ვეხინდარიო), სესარ არხო (უალვა).**

ესპანელები თბილისში 4 ივნისს გამთენიისას ჩამოფრინდებიან. 5 ივნისს საქართველო-ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 20 საათზე დაიწყება.

დავით ცაბაძე

გუნთაძე მალაღურაძემ შეცვალა

გუშინ საქართველოს მსაჯთა ასოციაციის საპრეზიდენტო ასოციაციის არჩევნები გაიმართა. პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს ახლო წარსულში ცნობილი არბიტრი **მერაბ მალაღურაძე**. იგი ამ თანამდებობაზე მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში იმუშავებს. მალაღურაძემ **ოთარ გუნთაძე** შეცვალა.

გასვლა... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. XXV ტური

ღირსების მატჩი

ზესტაფონი-კახეთი. ვიეირას გოლი

მამუკა კაკაურიძის ფოტო

ძალიან ცოტაღა დარჩა - ოთხი დღეც და საქართველოს ახალი ჩემპიონი ეყოლება. თანაც, ნებსით თუ უნებლიედ, ზედიზედ მეორე წელია ოქროს მედლების ბედი ქუთაისში წყდება: შარშან ბოლნისის "სიონმა" იქ იზეიმა ჩემპიონობა, ახლა კი საზეიმო განწყობა რუსთავის "ოლიმპის" ბანაკში" იქნება. ჰო, ვერავინ დაგვაჯერებს, რომ უმოტივაციო და ფინანსურად შეჭირვებული "ტორპედო" რუსთაველთა შეჩერებას შეძლებს. ან, რა შემადგენლობა ჰყავს "ტორპედოს" ისეთი, სტუმრებს რომ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიოს? მოკლედ, ყველაფერი გარკვეულია! სულ მცირე ინტრიგა კი მესამე ადგილისათვის ბრძოლასა და გადათამაშებაში ვინ მოხვდება, იმასღა შემორჩა. თუმცა ვარაუდებზე საუბარს, სჯობს, განვლილ ტურს დავუბრუნდეთ. მით უმეტეს, რომ ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში მართლაც მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა - "ზესტაფონის" უბერებელმა ფორვარდმა **ზურაბ იონანიძემ** "კახეთთან" მატჩში დუბლი შეასრულა და ეროვნული ჩემპიონატის ისტორიაში პირველი ფეხბურთელი გახდა, ვინც 200 გოლი გაიტანა! მართლაც არ არის სახუმარო საქმე ეს შედეგი და, ალბათ, კიდევ დიდხანს მოგვიწევს ლოდინი იონანიძის მიღწევა რომ ვინმემ გაიმეოროს. იმასაც შეგახსენებთ, რომ ზურაბ იონანიძე ამ შედეგისთვის... 1990 წლიდან "მოდიოდა"; დიახ, პირველი ჩემპიონატიდან დაიწყო მისი გოლების ათვლა და გვჯერა, რომ 36 წლის თავდამსხმელი კიდევ უფრო გაზრდის თავის სარეკორდო ნიშნულს. სხვათა შორის, ამ ტურში თავი გამოიჩინა "ზესტაფონის" კიდევ ერთმა წარმომადგენელმაც - **გიორგი ჭელიძემ** "პოკერი" შეასრულა და საერთოდაც ამ ახალგაზრდა ნახევარმცველმა მთელი სეზონი ჩინებულად ჩაატარა. ისე როგორც "ლოკომოტივისა" და ქართული ფეხბურთის მარგალიტმა **ლევან ყენიამ** - თბილისელთა ჭაბუკმა ლიდერმა მორიგი სანახაობა გვაჩუქა. თანაც, ყენიას შთამბეჭდავმა თამაშმა "ლოკომოტივს" სამი ქულაც მოუტანა, რაც იმას ნიშნავს, რომ **გიორგი კიკნაძის** გუნდმა გადათამაშებაში მოხვედრის საფრთხე თავიდან აიცილა.

სხვა დანარჩენ მატჩებზე მოკლედ ვიტყვით (ერთის გარდა) - "დინამომ" უპრობლემოდ გაიმარჯვა და კვლავაც დიდებულად გაისარჯა შეცვლაზე შემოსული **ილია სპასოვიჩი**; "ვიტ ჯორჯიამ" მერამდენე მატჩში ვერ გამოიყენა უთვალავი სახიფათო მომენტი; და მაინც ის "ერთი" იყო, რაც იყო ამ ტურში: "ოლიმპი"-"ამერი"! ამ გუნდების პირველი წრის დაპირისპირება ერთობ ლამაზი სანახაობა გამოდგა და, როგორც გახსოვთ, აშკარად "არამშვიდობიანი" საყაიმო ანგარიშით (2:2) დასრულდა. სამწუხაროდ, ამჯერად გოლები ვერ ვნახეთ, მაგრამ ისეთი შეხვედრა იყო, კიდევ ერთხელ რომ ღირს მისი პერიპეტიების გახსენება. ბოლოსდაბოლოს, მასპინძლებისთვის ამ მატჩს ხომ "ოქროს ფასი" ჰქონდა! და აქვე, ერთი არცთუ უმნიშვნელო დეტალიც: - რატომღაც, ამ მატჩამდე ბევრი თვლიდა, რომ "ამერი" მოედანზე სახეშეცვლილი შემადგენლობით და... უმოტივაციოდ გავიდოდა. ახსნაც მოძებნილი ჰქონდათ - **გიორგი ჩიხრაძის** გუნდს 26 მაისს საქართველოს თასის ფინალი აქვს სათამაშო და "ოლიმპთან" არც დაიხარჯებაო. მოკლედ, ტრავმებს მოერიდებიან (უხეშად - ფეხებს გაუფრთხილდებიანო), ორთაბრძოლებში არ შევლენ (ყვითელი ბარათები რომ არ მიიღონ) და ასე შემდეგო. დიახ, ასე თვლიდა ბევრი და არა - ყველა! შესაძლოა ამ ყველაში უმცირესობა იგულისხმება, მაგრამ ამ სტრიქონების ავტორი დარწმუნებული იყო, რომ "ამერი" თავის პრინციპებს არ უღალატებდა. არც უღალატა! ჯერ ერთი, ამ ამბიციურ (გნებავთ, თავმოყვარე, ან - პატივმოყვარე) გუნდს ჩემპიონატშიც საკუთარი მიზანი აქვს და თასის ფინალში გასვლასთან ერთად ბრინჯაოს მედლებისათვის ხომ იბრძვის. ანუ, იმის თქმა გვინდა, რომ "ამერი" საკუთარი მიზნისა და ღირსებისათვის თამაშობდა და არა... სხვა გუნდის საკეთილდღეოდ. ჰო, აი, ასეთი "ბრალდება" წაუყენეს კიდეც მატჩის დასრულების შემდეგ სტუმართა მთავარ მწვრთნელს გიორგი ჩიხრაძეს. თუმცა ამაზე ოდნავ ქვემოთ, მანამდე კი რამდენიმე სიტყვით ამ უაღრესად დაძაბულ და ნერვულ შეხვედრაზეც ვთქვათ. გასაგებია, რომ მასპინძლებს სტრატეგიული მოსაზრებით ქულაც აწყობდათ, მაგრამ მაინც ვერაფრით გავამართლებთ მეტისმეტად ფრთხილ ტაქტიკას. საერთოდაც, მეორე წრეში "ოლიმპი" შეტევაში ერთობ უკბილოდ გამოიყურება: ბოლო სამ მატჩში გატანილი ერთი გოლი ნამდვილად არ ჩაეთვლება აქტივში, ფაქტობრივად, ჩემპიონს. ახლაც, "ამერთან" მატჩში მასპინძლებმა მხოლოდ ორჯერ აახმაურეს ტრიბუნები: მეორე ტაიმის დასაწყისში **რევაზ გენაძის** უძლიერესი დარტყმა **ზურაბ ქვაჩახიამ** მოიგერია; ერთხელაც იმავე გენაძის სახიფათო გამჭოლ გადაცემას **გიორგი კახელიშვილმა** ვერ მიუსწრო. აი, ეს იყო სულ, თუ არ ჩავთვლით **გიორგი სეთურიძის** ერთი-მეორეზე ეფექტურ სოლოგარღვევებს მარჯვენა ფლანგზე (ისე, სეთურიძე ამ ჩემპიონატის, უდავოდ, ერთ-ერთი აღმოჩენაა). სამაგიეროდ, სტუმრები ერთობ დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ და არც მასპინძელთა აგრესიას შეუშინდნენ და არც ყველაზე ზღვარგადასულ მიკერძოებულ მსაჯობას. ჰო, მსგავსი რამ ვერაფრით გაგვიხსენებია: თითქმის ყველა სადავო ეპიზოდი... მასპინძელთა სასარგებლოდ წყდებოდა. რამდენჯერმე ისეთი კურიოზული თამაშგარეც დაუფიქსირეს "ამერის" ფორვარდებს, რუსთაველ ქომაგებსაც რომ ღიმილი მოჰგვარა. არადა, "ამერს" ორი ჩინებული მომენტი ჰქონდა: პირველ ტაიმში **გრიგოლ დოლიძის** ფლანგური გარღვევა იმით დასრულდა, რომ **გიორგი დეკანოსიძეს** სულ ცოტა დააკლდა გოლის გატანამდე; მეორე ტაიმში კი **რატი წინამძღვრიშვილმა** მახვილი კუთხიდან, ერთი შეხებით, ლამაზი ტრაექტორიით გაგზავნა ბურთი სტუმართა კარისკენ - ბურთი ჯერ ხარიხას მოხვდა, მერე მიწაზე დაეცა და... "ოლიმპთან" ერთად მთელმა სტადიონმაც ამოისუნთქა. საინტერესოა, ეს გოლი რომ გასულიყო, თამაში რამდენ ხანს გაგრძელდებოდა? არადა, მართლაც კარგი სანახაობა იქნებოდა, მით უმეტეს, იმ მსაჯების ხელში. სხვათა შორის, მთავარმა არბიტრმა მატჩს მხოლოდ 2 წუთი დაამატა, მაშინ როცა ორივე გუნდში ოთხი ცვლილება მოხდა და ამას გარდა, მეორე ტაიმში თამაში სულ მცირე, 3-4 წუთით იყო გაჩერებული (ზურაბ ქვაჩახიას დახმარებას რომ უტევდნენ).

...საფინალო სასტვენის შემდეგ კი გიორგი ჩიხრაძეს საყვედურების მოსმენა მოუხდა: ჯერ კოლეგა **რევაზ ძოძუაშვილმა** დემონსტრაციულად არ ჩამოართვა ხელი, მერე კი "ოლიმპის" სათადარიგოთა სკამზე მჯდარი გაურკვეველი სტატუსის პიროვნებამ, ეტყობა, ისეთი რამ უთხრა, რომ "ოლიმპის" მთავარ მწვრთნელს ველარავინ აკავებდა. გიორგი ჩიხრაძე ფეხბურთელობის დროსაც ვაჟკაცური თამაშით გამოირჩეოდა; ახლაც ვაჟკაცურად მოიქცა - პასუხიც შესაბამისი გასცა (არ აქვს მნიშვნელობა, რა ფორმით) კონკრეტულ პიროვნებას. ეგ კი არა, პრესკონფერენციაზეც ვაჟკაცურად მოიქცა, როცა მსაჯობასთან დაკავშირებით ჩვენს კითხვაზე მოკლედ მოგვიჭრა: მსაჯობას მატჩის შედეგზე გავლენა არ მოუხდენიაო. და მაინც, რატომ უსაყვედურეს "ამერის" თავკაცს? ყველაფერი კი პრესკონფერენციაზე რევაზ ძოძუაშვილმა გააჟღერა: *"ბოლო ხუთი ტურია მოედანზე გავდივართ და ერთ კონკრეტულ გუნდს კი არა, ერთდროულად რამდენიმე გუნდს ვეთამაშებით. თანაც, უცნაური ამბები ხდება - წინა ტურში "დილასთან" რომ გვქონდა თამაში, თურმე ეს გუნდი მატჩამდე ოთხდღიან შეკრებაზე გადაუყვანიათ. მოკლედ, ბევრი გუნდი გავამდიდრეთ... ახლაც, ქუთაისელ კაცს მშობლიურ ქალაქში ჩასვლის მეშინია - იქაც რაიმე არ მოიფიქრონ".* ვფიქრობთ, ამას კომენტარი არ სჭირდება...

დაბოლოს, ამ შეხვედრის კიდევ ერთ, ოღონდ აშკარად დადებით ეპიზოდზეც: მეორე ტაიმის ბოლო იყო, შეტევაში მასპინძლები იყვნენ და ბურთი **ლაშა ქებაძეს** ჰქონდა. მას შეტევის გაგრძელების რამდენიმე ვარიანტი ჰქონდა, მაგრამ ბურთი... აუტში გადააგდო. მიზეზი კი ის იყო, რომ ბევრმა ვერ დაინახა, თუ როგორ მიიღო რამდენიმე წამით ადრე ტრავმა რატი წინამძღვრიშვილმა. ჰოდა, ამაზე მეტი ფეარ-ფლეი რაღა უნდა იყოს - ტრავმირებული მეტოქისათვის დახმარება რომ აღმოეჩინათ, თავისი გუნდის შეტევა ჩაშალა. ბარემ, ისიც ვთქვათ, რომ **გიორგი ნავალოვსკის** არყოფნაში ქებაძეს თავისთვის უწმეულო პოზიციაზე მარცხენა ფლანგზე მოუწია თამაში და ნამდვილად არ დაუტოვებია ურიგო შთაბეჭდილება. მით უმეტეს, რომ ერთობ სერიოზული ოპონენტი ჰყავდა - საქართველოს ჩემპიონატის უდავოდ, საუკეთესო მარჯვენა ნახევარმცველის გრიგოლ დოლიძის სახით.

...და მაინც - ფეხბურთი კაცების თამაშია და საბედნიეროდ, ღირსება და ვაჟკაცობა ჩვენში კიდევ ფასობს...

გია ტუხაშვილი

ლევან ყენია შალკეს ელის

შოტლანდიაში გამარჯვება შეიძლება

მაისის დასაწყისში თბილისის "ლოკომოტივის" ნახევარმცველი **ლევან ყენია** გერმანიაში, "შალკეს" მიწვევით გაემგზავრა.

17 წლის ფლეიმეიკერის აყვანა ესპანეთის "ლევანტეს" სურდა, სადაც იუნიორთა გუნდში უპირებდნენ "გამოთლას". სამწუხაროდ, ევროკავშირში დაწესებულმა მკაცრმა შეზღუდვებმა, ერთიანი ევროპული ოჯახისკენ მიმავალი ქვეყნის მოქალაქეს თამაშის უფლება არ მისცა და ლევანმაც ხელი ჩაიქნია.

"შალკე" ყენიას ადრეც იწვევდა, მაგრამ ახალგაზრდა ქართველს გული ესპანეთისკენ მიუწევდა. რახან ეს არ გამოვიდა, გერმანელების წინადადებას დათანხმდა და თითქმის ორი კვირა "შალკეს" 19-წლამდელთა გუნდში ვარჯიშობდა.

თბილისში დაბრუნებული ფეხბურთელი ჯერ ვერ ამბობს, გერმანულ კლუბში დარჩება თუ არა, თუმცა იმედიანადაა განწყობილი: *"გული ძალიან მწყდება, "ლევანტემ" პრობლემები რომ ვერ მომიგვარა. ესპანური ფეხბურთი ძალიან მიყვარს და გერმანიაში ყოფნის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მართალი ვიყავი. ფეხბურთიც უკეთესია, საფეხბურთო გარემო და ბევრი რამ. თუმცა ისინი პრობლემებს ვერ მიგვარებდნენ და სხვა რა გზა მრჩებოდა. გერმანიაში ძალიან კარგად მიმიღეს. 19-წლამდელებში ნახეს ჩემი თამაში და სურდათ გუნდში მევარჯიშა. ეს არის იუგენდბუნდესლიგის, ანუ 19-წლამდელთა ბუნდესლიგის გუნდი. ესპანელებზე გაცილებით მძიმე ვარჯიშები ჰქონდათ, მაგრამ არ გამჭირვებია შეგუება. საკონტროლო მატჩები არ ჩამიტარებია, ვარჯიშზე მაკვირდებოდნენ. როგორც ჩანს, მწვრთნელს მოვეწონე და მითხრა, რომ ზაფხულში აუცილებლად უნდა ჩავიდე. იუგენდბუნდესლიგაში თამაშის იმედი მომცა. საამისოდ, ალბათ, ჯერ სწავლის ნებას დამრთავენ და შემდეგ თამაშის საშუალებასაც მომცემენ. როგორ მომიგვარებენ პრობლემას, ჯერ ზუსტი პასუხი მაინც არ ვიცი. არაევროკავშირელს და მით უფრო, 17 წლისას, თამაში არ შეუძლია".*

ლევანი დღეს დილით შოტლანდიაში 19-წლამდელთა ნაკრებთან ერთად გაემგზავრა, სადაც ელიტრაუნდში ევროპის ჩემპიონატის ფინალისტი გაირკვევა. იგი იმედოვნებს, რომ შოტლანდიის, პორტუგალიისა და თურქეთის დამარცხება შესაძლებელია: *"ძალიან ძლიერი მოწინააღმდეგეები გვყავს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. თუმცა ჩვენც საკმაოდ კარგი გუნდი ჩამოგვიყალიბდა, ბევრი ნიჭიერი ბიჭი გვყავს და სავსებით დარწმუნებული ვარ - თუკი შესაძლებლობებს სრულად გამოვავლენთ, ჯგუფში გამარჯვება შესაძლებელია. იმედი თუ არ გაქვს, ისე ვერაფერს მიაღწევ."*

მერაბ მამულაშვილი

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

საქართველოს ჩემპიონატი XXV

უგალლესი ლიგა. სტატისტიკა

სულ

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ოლიმპი	25	18	6	1	53-7	60
2. დინამო	25	19	2	4	53-17	59
3. ამერი	25	16	6	3	50-14	54
4. ზესტაფონი	25	15	9	1	53-10	54
5. ვიტ ჯორჯია	25	12	9	4	40-25	45
6. სიონი	25	11	4	10	28-23	37
7. ტორპედო	25	9	4	12	22-31	31
8. ბათუმი	25	8	6	11	25-26	30
9. გორჯომი	25	8	6	11	28-33	30
10. ლოკომოტივი	25	7	6	12	20-33	27
11. მერანი	25	5	8	12	17-41	23
12. ჩიხურა	25	5	6	14	13-41	21
13. დილა	25	2	6	17	16-56	12
14. კახეთი	25	0	2	23	20-81	2

შინ

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ზესტაფონი	13	10	3	0	35-2	33
2. ოლიმპი	13	10	3	0	32-3	33
3. დინამო	12	10	1	1	25-7	31
4. ამერი	12	10	2	0	23-4	30
5. ვიტ ჯორჯ.	13	7	6	0	24-10	27
6. სიონი	12	7	2	3	17-5	23
7. გორჯომი	12	6	3	3	22-16	21
8. ტორპედო	12	6	2	4	13-14	20
9. ბათუმი	13	6	1	6	17-12	19
10. ჩიხურა	13	4	4	5	8-16	16
11. ლოკომოტივი	13	5	2	6	12-17	17
12. მერანი	13	2	6	5	8-19	12
13. დილა	12	2	2	8	7-24	8
14. კახეთი	12	0	2	10	11-33	2

სტუმრად

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. დინამო	13	9	1	3	28-10	28
2. ოლიმპი	12	8	3	1	20-43	27
3. ამერი	13	7	3	3	27-10	24
4. ზესტაფონი	12	5	6	1	18-8	21
5. ვიტ ჯორჯია	12	5	3	4	16-15	18
6. სიონი	13	4	2	7	11-18	14
7. მერანი	12	3	2	7	9-22	11
8. ტორპედო	13	3	2	8	8-17	11
9. ბათუმი	12	2	5	5	8-13	11
10. ლოკომოტივი	12	2	4	6	8-16	10
11. გორჯომი	13	2	3	8	6-17	9
12. ჩიხურა	11	1	2	8	5-27	5
13. დილა	13	0	4	9	9-32	4
14. კახეთი	13	0	0	13	9-48	0

გოგბარჩირები

1	ს. იაშვილი (დინამო)	18
2	ფიფია(ზესტაფონი)	13
3	იონანიძე (ზესტაფონი)	11
4-6	გელაშვილი (ვიტ ჯორჯია)	10
	ტატანაშვილი (ამერი)	10
	წინამძღვრიშვილი (ამერი)	10
7-10	ს. დავითაშვილი (ამერი)	9
	შ. ჯიქია (გორჯომი)	9
	ფეიძრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო)	9
	გ. ჭელიძე (ზესტაფონი)	9
11	დვალიშვილი (ოლიმპი)	8
12-13	გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია)	7
	დოლიძე (ამერი)	7
14-15	კახელიშვილი (ოლიმპი)	6
	გოჩაშვილი (ლოკომოტივი)	6
16-27	ა.ალავიძე (სიონი)	5
	ჩასემი (სიონი)	5
	გოგოხიძე (დინამო)	5
	ვ. კვარაცხელია (ოლ./ბათ.)	5
	კაკალაძე (ჩიხურა/გორჯომი)	5
	გეწაძე (ოლიმპი)	5
	ქებაძე (ოლიმპი)	5
	დვალი (დინამო/ჩიხურა)	5
	რ. გოცირიძე (ოლიმპი)	5
	ხუციშვილი (დინამო)	5
	გ. მერებაშვილი (დინამო)	5
	ბეჟანიძე (ბათუმი)	5
28-39	სირგილაძე (ოლიმპი/დინამო)	4
	სავაია (ზესტაფონი)	4
	გამეზარდაშვილი (ტორპედო)	4
	კიკნაძე (გორჯომი/ვიტ ჯ.)	4
	გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია)	4
	შ. ლონღაძე (ზესტაფონი)	4
	აფციაური (ოლიმპი)	4
	სახოკია (ვიტ ჯორჯია)	4
	კოგანიძე (დინამო)	4
	ტეტიაშვილი (კახეთი)	4
	გაგუა (მერანი)	4
	ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია)	4
40-57	ევოჩა (სიონი)	3
	კრასოვსკი (ტორპედო)	3
	მუჯუდიანი (ტორპედო)	3
	მუჯირი (ბათუმი)	3
	გ. ონიანი (ოლიმპი)	3
	ტულუში (ბათუმი)	3
	ნ. კვესხვაძე (ზესტაფონი)	3
	გოლქვაძე (ამერი)	3
	დარასელია (სიონი)	3
	გონჩაროვი (დილა)	3
	იმედაძე (ზესტაფონი/ტორ.)	3
	ვიეირა (ზესტაფონი)	3
	ნარგაძე (ბათუმი)	3
	ბიძინაშვილი (კახეთი)	3
	ყენია (ლოკომოტივი)	3
	ალავერდაშვილი (ლოკომ.)	3
	ვ. უგრეხელიძე (სიონი)	3
	ვარდოსანიძე (დილა)	3

გოლი+პასი

1	ს. იაშვილი (დინამო)	22 (18+4)
2	ფიფია (ზესტაფონი)	18 (13+5)
3-4	ს. დავითაშვილი (ამერი)	17 (9+8)
	ფეიძრიშვილი (ვიტ./დინ.)	17 (9+8)
5	იონანიძე (ზესტაფონი)	16 (11+5)
6	ტატანაშვილი (ამერი)	14 (10+4)
7-8	წინამძღვრიშვილი (ამე.)	13 (10+3)
	გ. ჭელიძე (ზესტაფონი)	13 (9+4)
9	გელაშვილი (ვიტ ჯ.)	12 (10+2)
10-12	დვალიშვილი (ოლიმპი)	11 (8+3)
	დოლიძე (ამერი)	11 (7+4)
	შ. ჯიქია (გორჯომი)	11 (9+2)
13-14	აფციაური (ოლიმპი)	10 (4+6)
	გ. მერებაშვილი (დინამო)	10 (5+5)

საგოლე პასები

1-2	ს. დავითაშვილი (ამერი)	8
	ფეიძრიშვილი (ვიტ ჯ./დინ.)	8
3-4	დიდელაშვილი (ვიტ ჯ./დინ.)	6
	აფციაური (ოლიმპი)	6
5-11	ფიფია (ზესტაფონი)	5
	გოლქვაძე (ამერი)	5
	ჩოგანიძე (ჩიხურა/ლოკომ.)	5
	ტატანაშვილი (ამერი)	5
	გ. მერებაშვილი (დინამო)	5
	იონანიძე (ზესტაფონი)	5
	შალაგბერიძე (ბათუმი)	5
12-18	წინამძღვრიშვილი (ამერი)	4
	ჯეელაძე (ამერი)	4
	დოლიძე (ამერი)	4
	ა. ალავიძე (სიონი)	4
	ს. იაშვილი (დინამო)	4
	შ. გრიგალაშვილი (დინ./გორ.)	4
	გ. ჭელიძე (ზესტაფონი)	4

შემცვლელთა გოლები

1	ტატანაშვილი (ამერი)	8
2-4	ვ.კვარაცხელია (ოლიმპი/ბათ.)	3
	გოგოხიძე (დინამო)	3
	ტულუში (ბათუმი)	3
5-13	ფიფია (ზესტაფონი)	2
	ქებაშვილი (მერანი)	2
	კიკნაძე (გორჯომი/ვიტ ჯორჯ.)	2
	ს. იაშვილი (დინამო)	2
	ბეჟანიძე (ბათუმი)	2
	ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია)	2
	ბენაშვილი (ზესტაფონი)	2
	ჩიბაკაძე (ამერი)	2
	კახელიშვილი (ოლიმპი)	2
14-41	გ. მერებაშვილი (დინამო)	1
	ტეტიაშვილი (კახეთი)	1
	დოლიძე (ამერი)	1
	იონანიძე (ზესტაფონი)	1
	გალოგრე (ბათუმი)	1
	წინამძღვრიშვილი (ამერი)	1
	კრასოვსკი (ტორპედო)	1
	სევასტოპულო (ამერი)	1
	ფარტენაძე (ბათუმი)	1
	ხუციშვილი (დინამო)	1
	ხოფაავა (ოლიმპი)	1
	მჭედლიშვილი (ამერი)	1
	გელაშვილი (ვიტ ჯორჯია)	1
	მელონაძე (ტორპედო)	1
	კაკალაძე (ჩიხურა/გორჯომი)	1
	მუჯუდიანი (ტორპედო)	1
	ალავერდაშვილი (ლოკომოტივი)	1
	ფურცელაძე (მერანი)	1
	გ.ნოზაძე (ზესტაფონი)	1
	კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია)	1
	ხუგუა (ოლიმპი)	1
	გ. გოცირიძე (ზესტაფონი)	1
	ჟონატასი (ზესტაფონი)	1
	ოდიკაძე (დინამო)	1
	ფეიძრიშვილი (ვიტ ჯ. /დინამო)	1
	კირკიტაძე (ტორპედო)	1
	ვ. უგრეხელიძე(სიონი)	1
	კირკიტაძე(ლოკომოტივი)	1

რეალიზებული პენალტები

1-2	კაკალაძე (ჩიხურა/გორჯომი)	4
	ს. იაშვილი (დინამო)	4
3-5	სავაია (გორჯომი/ზესტაფონი)	3
	გოჩაშვილი (ლოკომოტივი)	3
	გ. ონიანი (ოლიმპი)	3
6	ფიფია (ზესტაფონი)	2
7-22	შ. ჯაფა (დინამო)	1
	გ. ჭელიძე (ზესტაფონი)	1
	გამეზარდაშვილი (ტორპედო)	1
	იონანიძე (ზესტაფონი)	1
	ბაძრაძე (გორჯომი)	1
	გოგოხიძე (დინაო)	1
	ჩასემი (სიონი)	1
	გოლქვაძე (ამერი)	1
	იმედაძე (ზესტაფონი/ტორპედო)	1
	გელარაშვილი (მერანი)	1
	დვალი (დინამო/ჩიხურა)	1
	რაზმაძე (ვიტ ჯორჯია)	1
	ბიძინაშვილი (კახეთი)	1
	გ. მერებაშვილი (დინამო)	1
	ტატანაშვილი (ამერი)	1
	ბაჯელიძე (სიონი)	1

გაცდენებული პენალტები

1	ს. იაშვილი (დინამო)	3
2-11	ტიაგო (ბათუმი)	1
	შ.კაფია (დინამო)	1
	ჩოგანიძე (ჩიხურა/ლოკომოტივი)	1
	გულორდავა (ლოკომოტივი)	1
	ფეიძრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო)	1
	გაგუა (მერანი)	1
	ს. დავითაშვილი (ამერი)	1
	გონჩაროვი (დილა)	1
	დვალი (დინამო/ჩიხურა)	1
	ფიფია (ზესტაფონი)	1

მოგერიებული პენალტები

1-8	ქვაჩახია (ამერი)	1
	ცინაძე (კახეთი)	1
	სეფიაშვილი (მერანი)	1
	ილურიძე (დილა)	1
	თოთლაძე (ბათუმი)	1
	მამალაძე (სიონი)	1
	გ. იაშვილი (კახეთი)	1
	ლომიძე (მერანი)	1
	თევდორაძე (დილა)	1

დუბლი

1-3	დვალიშვილი (ოლიმპი)	3
	ს. იაშვილი (დინამო)	3
	იონანიძე (ზესტაფონი)	3
4	გელაშვილი (ვიტ ჯორჯია)	2
5-27	გ. ჭელიძე (ზესტაფონი)	1
	სახოკია (ვიტ ჯორჯია)	1
	სირგილაძე (ოლიმპი/დინამო)	1
	გოჩაშვილი (ლოკომოტივი)	1
	ლომაია (ვიტ ჯორჯია)	1
	გ. მიქაძე (ჩიხურა)	1
	დ. გოგოლაძე (ბათუმი)	1
	არუდაშვილი (კახეთი)	1
	ქებაძე (ოლიმპი)	1
	ფიფია (ზესტაფონი)	1
	მუჯირი (ბათუმი)	1
	ვ.კვარაცხელია (ოლიმპი/ბათ.)	1
	მუჯუდიანი (ტორპედო)	1
	გუშარაშვილი (ლოკომოტივი)	1
	ევოჩა (სიონი)	1
	გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯ.)	1
	გოგოხიძე (დინამო)	1
	ა. ნოზაძე (მერანი)	1
	იმედაძე (ზესტ./ტორპედო)	1
	ნ. კვესხვაძე (ზესტაფონი)	1
	შ. ჯიქია (გორჯომი)	1
	გეწაძე (ოლიმპი)	1
	კახელიშვილი (ოლიმპი)	1
	ბეჟანიძე (ბათუმი)	1

აქეთ-თრიქი

1-10	დვალი (დინამო/ჩიხურა)	1
	გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია)	1
	გეწაძე (ოლიმპი)	1
	ჩასემი (სიონი)	1
	ფიფია (ზესტაფონი)	1
	ტულუში (ბათუმი)	1
	ს. იაშვილი (დინამო)	1
	ს. დავითაშვილი (ამერი)	1
	წინამძღვრიშვილი (ამერი)	1
	შ. ჯიქია (გორჯომი)	1

პოკერი

1	გ. ჭელიძე (ზესტაფონი)	1

ავტოგოლი

1-3	გიგაური (დინამო)	1
	შ. ლონღაძე (ზესტაფონი)	1
	ლ. გრიგალაშვილი (მერანი)	1

ყვითელი გარათები

1	გელარაშვილი (მერანი)	9
2-4	გ. მიქაძე (ჩიხურა)	7
	ცანავა (ბათუმი)	7
	გუშარაშვილი (ლოკომოტივი)	7
5-8	დოლიძე (ამერი)	6
	გოჩაშვილი (ლოკომოტივი)	6
	რაზმაძე (ვიტ ჯორჯია)	6
	შ. ჯიქია (გორჯომი)	6

წითელი გარათები

1	სანიკიძე (ჩიხურა/სიონი)	2
2-31	ფარტენაძე (ბათუმი)	1
	ჯინჭარაძე (ბათუმი)	1
	კარსანიძე (მერანი)	1
	გ. კვესაძე (ლოკომოტივი)	1
	ელგაჯიძე (ამერი)	1
	რაზმაძე (ვიტ ჯორჯია)	1
	კახელიშვილი (ოლიმპი)	1
	ქარქუზაშვილი (გორჯომი)	1
	გუშარაშვილი (ლოკომოტივი)	1
	გელარაშვილი (მერანი)	1
	პ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია)	1
	ლაგაძე (გორჯომი)	1
	აბრამიშვილი (დილა)	1
	მუჯირი (ბათუმი)	1
	მაჩალაძე (ოლიმპი)	1
	გ. მერებაშვილი (დინამო)	1
	ნ. ნოზაძე (დილა)	1
	ტეტიაშვილი (კახეთი)	1
	მაჩარაძე (ჩიხურა)	1
	კელესაშვილი (ამერი/მერანი)	1
	დოგროვოლსკი (ამერი)	1
	სასოვიჩი (დინამო)	1
	კოგანიძე (დილა)	1
	მალიჩავა (ლოკომოტივი)	1
	სახოკია (ვიტ ჯორჯია)	1
	კოდალაევი (ტორპედო/გორჯ.)	1
	ჟუცურუა (ჩიხურა)	1
	გლუნჩაძე (მერანი)	1
	ხუციშვილი (დინამო)	1
	ხოხონიშვილი (ოლიმპი/ბათუმი)	1

XXV ტურის სიმბოლური ნაკრები



მეკარეთა მშრალი სერიები (წუთი)

1	ჭანტურია (ზესტაფონი)	829
2	მ. ალავიძე (ოლიმპი)	769
3	გელიაშვილი (ვიტ ჯორჯია)	621
4	ქვაჩახია (ამერი)	520
5	ქვაჩახია (ამერი)	454
6	გრიგოლაშვილი (დინამო)	450
7	სტურუა (დინამო/ჩიხურა)	431
8	მერანი (ოლიმპი)	375
9	ქვაჩახია (ამერი)	354
10	კოდალაევი (ტორ./გორჯომი)	342

მიმდინარე მშრალი სერიები

1	გრიგოლაშვილი (დინამო)	450
2	ქვაჩახია (ამერი)	354
3	სომხიშვილი (ბათუმი)	329
4	ჭანტურია (ზესტაფონი)	300
5	მ. ალავიძე (ოლიმპი)	297
6	მერანი (ოლიმპი)	270

ყველაზე დიდი სხვაობა

1-2	ოლიმპი-კახეთი	7:0	(II ტური)
	ზესტაფონი-კახეთი	7:0	(XXV ტური)
3-5	დილა-ვიტ ჯორჯია	0:6	(XII ტური)
	კახეთი-ამერი	1:7	(XXI ტური)
	მერანი-ამერი	0:6	(XXIV ტური)
6-12	დინამო-დილა	6:1	(II ტური)
	სიონი-კახეთი	5:0	(X ტური)
	კახეთი-ოლიმპი	0:5	(XV ტური)
	ზესტ.-ვიტ ჯორჯია	5:0	(XVII ტური)
	ტორპედო-დინამო	0:5	(XVII ტური)
	ოლიმპი-ჩიხურა	5:0	(XXI ტური)
	ჩიხურა-დინამო	0:5	(XXV ტური)

ყველაზე ხშირი ანგარიშები

1	0:0	24
2	1:0	22
3	0:1	18
4	2:0	14
5	3:0	12
6	1:1	11
7	2:1	9
8	3:1	8

უსვგოლიანი მატჩები

1	კახეთი-ამერი	1:7	(XXI ტური)
2-6	დინამო-დილა	6:1	(II ტური)
	ოლიმპი-კახეთი	7:0	(II ტური)
	გორჯომი-მერანი	3:4	(IV ტური)
	ვიტ ჯორჯია-ამერი	4:3	(XIII ტური)
	ზესტაფონი-კახეთი	7:0	(XXV ტური)

არბიტრები

(მატჩების რაოდენობა)

1-3	ხარიტონაშვილი	15
	ფანიაშვილი	15
	მაისურაძე	15
4-5	ვადაჭკორია	14
	კვარაცხელია	14
6-7	სილაგავა	13
	გეუჯლიშვილი	13
8-9	კრიჭაშვილი	12
	სანია	12
10	კიკაჩეიშვილი	10
11-12	პ. ლოგაშვილი	8
	ხეცაძე	8
13	ჭაჭუა	7
14-15	გუიშვილი	6
	ნონიკაშვილი	6
16	ელისაბედაშვილი	5
17	გუმგერიძე	1

გასულ ტურში

21 გოლი
(საშუალოდ მატჩში 3.00)

16 ყვითელი გარათი
(საშუალოდ მატჩში 2.28)

1 წითელი გარათი
(საშუალოდ მატჩში 0.14)

ჩემპიონატში

398 გოლი
(საშუალოდ მატჩში 2.27)

461 ყვითელი გარათი
(საშუალოდ მატჩში 2.63)

32 წითელი გარათი
(საშუალოდ მატჩში 0.18)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრაზილიის ნაკრები

დუნგა ოთხი დებიუტანტით

პენტაკამპეონების მწვრთნელმა კაკა და რონალდინიო მაინც გამოიძახა, რონალდო კი ისევ ზედმეტად მიიჩნია...

ბრაზილია ინგლისსა და თურქეთთან ამხანაგური მატჩებისათვის ემზადება. **კარლოს დუნგამ** შემადგენლობა დაასახელა. მან **კაკასა** და **რონალდინიოს** უხმო. "მილანისა" და "ბარსელონის" ვარსკვლავებმა კოპა ამერიკიდან გათავისუფლება ითხოვეს. ევროპული ტურნე კოპასთვის მზადების ერთ-ერთ ეტაპად განიხილება. დუნგამ თქვა, რომ კონტინენტის პირველობაზე უკეთესად ყველა ლიდერი სჭირდება, თუმცა იქვე დაამატა, ვალდებულნი ვართ, თითოეულის თხოვნას პატივი ვცეთო. დუნგას კომენტარი იმას ნიშნავდა, რომ კაკასა და რონალდინიოს დასვენების საშუალება მიეცათ. ამიტომ მოახლოებული მატჩებისათვის მათი გამოძახება მოულოდნელი აღმოჩნდა. რაც შეეხება კოპა ამერიკას, მოგეხსენებათ, ბრაზილიელები მოქმედი ჩემპიონები არიან. მათ ტიტული 2004 წელს პერუში მოიპოვეს. დუნგა თასის შენარჩუნებას აპირებს.

სეუ კარლოსის 22-კაციან სიაში რამდენიმე დებიუტანტია. ესენი არიან: "ჰერენვენის" თავდამსხმელი **აფონსო ალვეში** (ჰოლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი 34 გოლით), მოსკოვის ცსკას ფორვარდი **ჟო**, "ვერდერის" მცველი **ნალდო** და "სან პაულუს" მცველი **ალექს სილვა**. კვლავ არ მოიძებნა ადგილი **რონალდოსთვის**. დუნგას მილანელი თავდამსხმელი ერთხელაც არ გამოუძახია. ინგლისთან მატჩი 1 ივნისს, უემბლიზე გაიმართება, ხოლო თურქეთთან შეხვედრას 5 ივნისს, დორტმუნდის "ვესტფალენშტადიონი" უმასპინძლებს. შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ დორტმუნდული არენა თითქმის მთლიანად თურქი ქომაგებით შეივსება.

პრესკონფერენციაზე, რომელიც ბრაზილიელთა მზადებას მიეძღვნა, საფეხბურთო კონფედერაციის პრეზიდენტმა **რიკარდო ტეიშეირამ** განაცხადა, რომ დუნგა ნაკრებში 2010 წლის ზაფხულამდე დარჩება, იმის მიუხედავად, თუ რა შედეგებს აჩვენებს გუნდი კოპა ამერიკასა და მუნდიალის საკვალიფიკაციო ტურნირში. დასასრულს, პენტაკამპეონების განაცხადი:

კარლოს დუნგა

მეკარეები - დონი (რომა), ელტონი (პორტუ);

მცველები - ალექს როდრიგო (ეინდჰოვენი), დანიელ ალვეში (სევილია), ჟილბერტო (ჰერტა), ჟუანი (ლევერკუზენი), მაიკონი (ინტერი), მარსელო (რეალი), ნალდო (ვერდერი), ალექს სილვა (სან პაულუ);

ნახევარმცველები - დიეგო (ვერდერი), ედმილსონი (ბარსელონა), კაკა (მილანი), ელანო (შახტარი), ჟილბერტო სილვა (არსენალი), ჟოსუე (სან პაულუ), მინეირო (ჰერტა);

თავდამსხმელები - აფონსო ალვეში (ჰერენვენი), ჟო (ცსკა), რობინიო (რეალი), რონალდინიო (ბარსელონა), ვაგნერ ლავი (ცსკა).

ჭერი ტრანსფერზე?

ასოციაციის თასის ფინალის შემდეგ **ჯონ ტერი** ტრანსფერზე დაყენებას მოითხოვს. ამ ინფორმაციას "დეილი მეილი" ავრცელებს. "არისტოკრატების" კაპიტანი კლუბს ახალი კონტრაქტის პირობებზე ვერ ურიგდება. ტერის ბანაკი ჯიუტად ითხოვს იმხელა ანაზღაურებას, რამხელაც **ანდრეი შევჩენკოსა** და **მიხაელ ბალაკს** აქვთ. ანალოგიურია **ფრენკ ლემპარდის** მოლოდინიც. ფეხბურთელები არა იმდენად ფულის გამო ვაჭრობენ, რამდენადაც უპატივცემულობას ვერ ურიგდებიან. არადა, დაბალი ხელფასის დანიშვნა სწორედ რომ უპატივცემულობად მიაჩნიათ.

ბელამი ბლექბერნში ბრუნდება?

"ბლექბერნს" **კრეიგ ბელამის** შეძენა სურს. "ვარდები" "ლივერპულს" 7 მილიონ გირვანქას შესთავაზებენ. უცნაური ისაა, რომ ერთი წლის წინ უელსელი თავდამსხმელი სწორედ "ბლექბერნიდან" გაყიდეს და ეს სიამოვნება მერსისაიდელებსაც ზუსტად 7 მილიონი დაუჯდათ. "ბლექბერნს" საზაფხულო ტრანსფერებისათვის 15 მილიონი გირვანქა აქვს გადადებული და ბიუჯეტის ნახევარი, როგორც ჩანს, კრეიგის დაბრუნებას მოხმარდება. სხვა მხრივ, **მარკ ჰიუზი** მიიჩნევს, რომ მის გუნდს მასშტაბური საკადრო გადაადგილებები არ სჭირდება.

პუნტელაარმა იუვენტუსი აირჩია

"იუვენტუსი" "აიაქსის" თავდამსხმელ **კლაას იან ჰუნტელაარს** მოურიგდა. იტალიური სააგენტოების ცნობით, კონტრაქტის პერსონალური დეტალები შეთანხმებულია. ფორვარდი წლიურად 2.3 მილიონ გირვანქას მიიღებს. ახლა კლუბები ფეხბურთელის ფასზე გამართავენ მოლაპარაკებებს. ტრანსფერის მიუხლოებითი ღირებულებაა 12 მილიონი. ჰუნტელაარით დაინტერესებას "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "ბარსელონასაც" მიანერდნენ. იოჰან კრუიფი თანამემამულეს დაბეჯითებით ურჩევდა კატალონიაში წასვლას, მაგრამ როგორც ჩანს, მფრინავი ჰოლანდიელის სურვილის საწინააღმდეგოდ, კლაას იანი იტალიაში დაბინავდება.

ვიდუკა: მანჩესტერი ან ნიუკასლი

მარკ ვიდუკას "მიდლსბროსთან" კონტრაქტი უმთავრდება. 30 ივნისს ის თავისუფალი აგენტი გახდება. ავსტრალიელი თავდამსხმელის ხელში ჩაგდება "ნიუკასლსა" და "მანჩესტერ იუნაიტედს" სურთ. ის კვირაში 40 ათას გირვანქას იღებს. ამ თანხის გადახდა კი არცერთი კლუბისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ვიდუკამ სეზონი 19 გოლით დაასრულა. რივერსაიდელებს მასთან თანამშრომლობის გაგრძელება სურდათ. სეზონის მიწურულს "რეალიდან" გამოისყიდეს **ჯონათან ვუდგეიტი**. იმედოვნებდნენ, რომ ეს ტრანსფერი მარკის გადაწყვეტილებასაც იმოქმედებდა, მაგრამ მას უფრო დიდ კლუბში თამაში სურს.

დანიშვნის მოლოდინში

ვინ გაუძღვება სიტის?

გუძმეიძერების ფავორიტი რანიერია

სამმა ცნობილმა მწვრთნელმა "მანჩესტერ სიტიში" მუშაობაზე უარი თქვა. "დეილი მეილის" ცნობით, ვაკანტური თანამდებობა **ლუის ვან გაალს, რონალდ კუმანსა** და **ჟერარ ულიეს** შესთავაზეს, მაგრამ ეს ვარიანტი არცერთი მათგანისათვის არ აღმოჩნდა მიმზიდველი. ვან გაალმა ეს-ესაა, "ალკმაართან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. კუმანმა ჰოლანდიის ჩემპიონობა მოიპოვა, ულიემ კი - ზედიზედ მეორე ფრანგული ტიტული. კუმანის აგენტმა არ დამალა, რომ რამდენიმე ინგლისურ კლუბთან გამართა მოლაპარაკებები, მაგრამ მათ შორის, "სიტი" არ ყოფილა. ორაზროვანი იყო ვან გაალის აგენტის განცხადებაც, ჩემმა კლიენტმა ინგლისური ვარიანტები შეიძლება განიხილოს, მაგრამ არა ამ ეტაპზეო. ინგლისელმა მიმომხილველებმა დაიანგარიშეს, რომ "სიტის" სახელგანთქმული მწვრთნელის **ჯო მერსერის** შემდეგ, რომელმაც თანამდებობა 1971 წელს დატოვა, მანჩესტერულ კლუბში ზუსტად 18 სპეციალისტი შეიცვალა. 36 წლიწადში 18 თავკაცის შეცვლა გასაკვირი სულაც არ არის. ახლა ბრიტანელი ბუქმეიქერების ფავორიტი **კლაუდიო რანიერია**. "ჩელსის" ყოფილი ბოსი "პარმას"უდგას სათავეში და სერია A-ში ადგილის შენარჩუნებისათვის იბრძვის. თუ მისიას თავს გაართმევს, შეიძლება, ინგლისს მიაშუროს.

ინტერვიუ ოუენ ჰარგრივსთან

ეფენბერგი სულ მეუხეშებოდა

როგორ მოხვდა კანადელი ბავშვი მიუნხენში?

ოუენ ჰარგრივსი

გერმანულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "მანჩესტერი" და "ბაიერნი" ოუენ ჰარგრივსის სატრანსფერი თანხის შესახებ მორიგდნენ - საუბარია 25 მილიონ ევროზე. ისედაც წინდაწინვე იყო ცნობილი, რომ ინგლისის ნაკრების წარმოშობით კანადელი ნახევარმცველი ზაფხულში "მენიუში" გადავიდოდა. ჰარგრივსმა ჟურნალ "რუნდს" საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ მისცა...

- ჰერ ჰარგრივს, თითქმის გადაწყვეტილია, რომ მომავალი სეზონიდან "მანჩესტერ იუნაიტედში" ითამაშებთ. კლუბებს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს და გავრცელდა ინფორმაცია, რომ შეთანხმებაც მიღწეულია...

- ადრეც არაერთხელ მითქვამს, რომ მიუნხენში გატარებული 10 წლის შემდეგ, რაღაც ახალი მჭირდება. პრემიერლიგა ჩემთვის უდიდესი მოტივაციაა. თანაც, სულ ბუნდესლიგაში ხომ არ ვითამაშებ? მაგალითად, როცა მადრიდში ჩავედით, გავიფიქრე 80 000 მაყურებელი, 10 გრადუსით მეტი სითბო - აქ დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი-მეთქი.

- თქვენ კანადაში, კერძოდ კი კალგარიში გაიზარდეთ და 15 წლიდან "ბაიერნში" თამაშობთ. საინტერესოა, როგორ მოხვდით მიუნხენში?

- ეს უდიდესი შემთხვევითობა იყო. 13 წლის ვიყავი და ერთ დღესაც ჩემს მშობლიურ გუნდს მორიგი თამაში ჰქონდა. მართალია, ეს კალგარის ბავშვთა საუკეთესო გუნდი იყო, მაგრამ განა ეს რამეს ნიშნავს? ყოველ შემთხვევაში, ძალიან სწრაფად გავრცელდა ხმები, რომ ამ შეხვედრას გერმანელი მწვრთნელი დაესწრებოდა.

- 1995 წელს "ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი ოტო რეჰაგელი იყო...

- ჰო, მაგრამ კანადაში რეჰაგელი არ ჩამოსულა. ის კაცი თომას ნინდორფი გახლდათ, რომელიც იმხანად კანადაში გადმოსახლდა და სკაუტის როლს ასრულებდა. როგორც ჩანს, ძალიან მოვეწონე, რადგან თამაშის მერე მითხრა, თუ ასე გააგრძელებ, რომელიმე გერმანულ კლუბთან სარფიან კონტრაქტს გამოჰკრავ ხელსო. ცოტა ხნის შემდეგ, "ბაიერნის" ბავშვთა გუნდში ჩავირიცხე.

- ძალიან პატარა იყავით და ოჯახთან განშორება არ გაგიჭირდათ?

- გამიჭირდა, მაგრამ 15 წელი ისეთი ასაკია, როცა ადამიანი ფიქრობს, რომ ყველაფერი იცის და ყველაფრის გაკეთება შეუძლია. 12 წლის ვიყავი, როცა მამაჩემს ჯიბის ფულს აღარ ვთხოვდი და ამ მხრივ დამოუკიდებელი გავხდი. გაზეთებს დავატარებდი და "მაკდონალდსის" სამზარეულოში დავიწყე მუშაობა. დღეს ბედნიერი ვარ, რომ დამოუკიდებელი ცხოვრება ასეთ პატარა ასაკში დავიწყე, რადგან ეს ჩემი მხრიდან ძალიან ვაჟკაცური ნაბიჯი იყო. ახლა იმის მტკიცებას არ დავიწყებ, რომ ეს ძალიან იოლი იყო. თანაც, დიდი ხელფასი არ მქონია.

- ინტერნეტი და მობილური ტელეფონი მსოფლიოს მოგვიანებით მოედო...

- დიახ და ძალიან მიხარია, რომ ჩემს ბავშვობაში ისინი არ არსებობდა. დღეს ყველა ბავშვს ტელეფონი აქვს და შეუძლია, მსოფლიოს ნებისმიერ ადგილზე დარეკოს. ამით ბავშვი კარგავს იმის სურვილს, რომ რაღაც თვითონაც გააკეთოს.

- გერმანიას მალე შეეგუეთ?

- კანადაში ფეხბურთს კვირაში ორჯერ ვთამაშობდი, კალათბურთს კი უფრო ხშირად. "ბაიერნში" კი კვირაში ექვსჯერ ვვარჯიშობდი და მადლობა ღმერთს, ისეთი მწვრთნელების ხელში აღმოვჩნდი, რომლებმაც ჩემი ძლიერი და სუსტი მხარეები განჭვრიტეს.

- ოტმარ ჰიტცფელდი თქვენზე ფსონს ძალიან ადრე ჩამოვიდა...

- მაშინ ძალიან ჩუმი ვიყავი, ზედმეტად ჩუმიც კი. ვფიქრობდი, რომ თანაგუნდელები ისე მიმიღებდნენ, როგორც პატარა ბავშვს და მხარში ამომიდგებოდნენ. მაგრამ ასე არ მოხდა და მეც ძალიან უცნაური ხალხის გარემოცვაში აღმოვჩნდი. შტეფან ეფენბერგი, თომას ლინკე, პატრიკ ანდერსონი, იენს იერემისი - ისინი ძალიან მკაცრები იყვნენ. ვარჯიშზე ბევრ რამეზე თვალს ვხუჭავდი. მაგალითად, ზემოთ ჩამოთვლილი ფეხბურთელები მუდმივად ფეხებში მირტყამდნენ, უხეშად მეთამაშებოდნენ. მე კი პროტესტს არ გამოვთქვამდი. ჰიტცფელდმა ეს ყველაფერი დაინახა და მითხრა, კარგად იქცევიო.

- რატომ გექცეოდნენ ასე?

- მათი მხრიდან ეს გასაგებია: გუნდში უცებ 19 წლის ბიჭი გამოჩნდა, რომელსაც ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის პრეტენზია ჰქონდა, მას უნდა ვაჩვენოთ, რომ ყველაფერი არც ისე იოლია. მათ ჩემი გამოცდა სურდათ. უნდოდათ გაეგოთ, დავიხევდი თუ არა უკან. ეფე ყოველდღე მეუხეშებოდა, ძალიან მკაცრად მექცეოდა. მაგრამ საღამოობით მხარზე ხელს დამკრავდა ხოლმე...

- მისი პატივისცემა დაიმსახურეთ?

- დიახ. ეფე ნაღდი ლიდერი იყო, რომელმაც ზუსტად იცოდა, რა და როგორ უნდა გაეკეთებინა. ახლა ზუსტად ვიცი, რაც უნდა მკითხოთ და სანამ მკითხავთ, თვითონვე გიპასუხებთ: დღეს "ბაიერნს" ასეთი ლიდერი არ ჰყავს. არც მიხაელ ბალაკი იყო ლიდერი, მიუხედავად იმისა, რომ გენიალური ფეხბურთელია.

- თქვენ არ შეგეძლოთ ლიდერობა?

- მე ცოტა სხვანაირი ვარ. ეფეს სულ ვაკვირდებოდი და ვცდილობდი, მისთვის მიმებაძა. დიდ თამაშებში მას ყოველთვის მოწინავე პოზიცია ეკავა. "ამათ ხომ დედას ვუტირებთ!" - ასეთი განცხადების გაკეთება ნებისმიერ ფეხბურთელს შეუძლია, მაგრამ მთავარი ისაა, რას გააკეთებს მოედანზე! ბუნდესლიგაში ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეგვიძლია, მაგრამ "რეალთან" და "მილანთან" კი გვიჭირს. ეფენბერგი კი სწორედ ასეთი თამაშებისთვის იყო ზედგამოჭრილი.

- ეფესნაირი ტიპები დღეს გერმანულ ფეხბურთში აღარ არიან. როგორ გგონიათ, რატომ?

- სწორად გამიგეთ, ისე ჩანს, თითქოს დღეს ასეთი ფეხბურთელები საჭირონი აღარ არიან. მოდით, სუპერგრანდებს შევხედოთ. მაგალითად, "ბარსელონა" - იქ ძრავა დეკუა, რომელიც სინამდვილეში ძალიან მშვიდი ადამიანია და რომელიც პასუხისმგებლობას ყოველთვის გაურბის, გადაწყვეტილებების მიღებას ერიდება.

- რამდენად ძლიერია დღეს ბუნდესლიგა?

- ბუნდესლიგა ძალიან საინტერესო და რაც მთავარია, ჯანმრთელი ლიგაა. ყველაზე პოზიტიური კი ის არის, რომ სტადიონები ყოველთვის ივსება.

- სულაც არაა აუცილებელი, რომ ასეთი თავაზიანი იყოთ...

- ბუნდესლიგა პრემიერლიგისგან იმით განსხვავდება, რომ გერმანიაში ტოპვარსკვლავების ნაკლებობაა. გერმანიაში ამინდს "ბაიერნი" და "ვერდერი" ქმნიან - ზუსტად ამ თანამიმდევრობით. ოდესმე "შტუტგარტი", "შალკე" და "ჰამბურგიც" მოძლიერდებიან. ნახეთ, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში სამი ინგლისური კლუბი იყო. აი, რაშია განსხვავება.

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასის ფინალის გამოხმაურება

სევილია დიდი გუნდია

ეს ევროპული თასი ზედიზედ ორჯერ მხოლოდ ანდალუსიელებსა და რეალს აქვთ მოპოვებული, სევილიელთა ბანაკში დიდი ზეიმია...

სევილიელთა გამარჯვების ორი შემოქმედი: ხუანდე რამოსი და ანდრეს პალოპი

„სევილიამ" უეფას თასი ზედიზედ მეორედ მოიპოვა და ამით ევროპული ფეხბურთის ისტორიაში სამუდამოდ დაიდო ბინა. აღსანიშნავია, რომ აქამდე ზედიზედ ორი გამარჯვებით მხოლოდ „რეალი" იწონებდა თავს. დაგვეთანხმებით, ეს დიდი გამარჯვება იმსახურებს იმას, რომ ჩვენი გაზეთის მკითხველთა სამსჯავროზე სევილიელთა ინტერვიუები გამოვიტანოთ. საშუალება გვაქვს, მთავარი მწვრთნელის, ხუანდე რამოსის, ანდრეს პალოპისა და პრეზიდენტის, ხუან მანუელ დელ ნიდოს მოსაზრებები გაგაცნოთ.

ხუანდე რამოსი:

გამარჯვების წამს შარშანდელი ფინალი გამახსენდა

- თამაშის მსვლელობისას უამრავი ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენეთ. ყველა პირობა გქონდათ იმისთვის, რომ ძირითად დროშივე მოგეგოთ, თუმცა საქმე მაინც პენალტების სერიამდე მიიყვანეთ. გულწრფელად მითხარით, წამითაც არ გაგივლიათ თავში, რომ ტიტულს ჰკარგავდით?

- გეთანხმებით, 90 წუთის განმავლობაში არაერთი შანსი გვქონდა იმისთვის, რომ გამარჯვების ბურთი შეგვეგდო. სამწუხაროდ, არ გვიმართლებდა, თუმცა ახლა, ამ სიხარულის ჟამს წუწუნი და მწუხარების ხსენება დიდი უსამართლობა და უმადურებაა. ამიტომ, შევეცდები, მხოლოდ პოზიტიურ ფაქტორებზე გავამახვილო ყურადღება. ერთი სიტყვით, ძირითად დროში ვერ მოვიგეთ. ექსტრა ტაიმში კი გავიტანეთ, მაგრამ „ესპანიოლმა" ისევ გაგვითანაბრა. რა თქმა უნდა, მეწყინა, თუმცა 100 პროცენტით ვიყავი დარწმუნებული, რომ უეფას თასს შევინარჩუნებდით. ოთხშაბათს ანდრეს პალოპის ბენეფისი შედგა. ჩვენს მეკარეს ბედმა გაუღიმა. მერწმუნეთ, ერთბაშად სამი 11-მეტრიანის მოგერიება ნამდვილი გმირობაა. ეს მხოლოდ და მხოლოდ, საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს ხელეწიფებათ, მადლობა ღმერთს, „სევილიას" სწორედ ასეთი გოლკიპერი ჰყავს. მართალია, უდავო უპირატესობას ვფლობდით, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, გამარჯვებულის ვინაობა მაინც პენალტების სერიაში გაირკვა. მადლობა პალოპს. უეფას თასის დაკარგვა ძალიან მტკივნეული იქნებოდა. ანდრესმა მართლაც უდიდესი იმედგაცრუებისგან გვიხსნა.

- როგორი გრძნობა დაგეუფლათ, როცა პალოპმა ბოლო 11-მეტრიანი მოიგერია და ყველაფერი თქვენთვის სასიკეთოდ დასრულდა?

- ძნელია ამ ემოციებისა და გრძნობების სიტყვიერად გადმოცემა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ პენალტების სერიის დასრულებისთანავე შარშანდელი ფინალი და გახარებული სევილია გამახსენდა. ხშირად ამბობენ, რომ მიღწეულის შენარჩუნება პირველად გამარჯვებაზე გაცილებით რთულიაო. ახლა დავრწმუნდი, რომ ეს სრული სიმართლეა. იმისთვის, რათა ისევ ფინალამდე მოსულიყავით, ურთულესი გზა გამოვიარეთ. დონეცკის „შახტართან" მატჩში წარმოუდგენელ პრობლემებს გადავეყარეთ. კინაღამ გამოვვარდით, მაგრამ ორმატჩიანი დუელის ბედი, ისევ და ისევ, პალოპმა გადაწყვიტა. მაშინ ანდრესი სრულიად უჩვეულო ამპლუაში მოგვევლინა. „სევილიის" მეკარემ მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე გოლი გაიტანა და ექსტრა ტაიმში თამაშის უფლება მოგვიტანა. როგორც გახსოვთ, დამატებით დროში ჩვენ ვივარგეთ და მომდევნო ეტაპზე გავაღწიეთ. ყველა ამ განსაცდელის შემდეგ გლაზგოში ჩასვლა და უეფას თასის ზედიზედ მეორედ მოგება ენით აუწერელი ბედნიერება იყო.

- როგორ ფიქრობთ, „ესპანიოლის" დამარცხება გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ მიმდინარე სეზონი წარმატებული იყო. დავუშვათ, ესპანეთის ჩემპიონის ტიტულს ვერ შეწვდით, ამ სეზონით მაინც კმაყოფილი დარჩებით?

- უეფას თასის შენარჩუნებამ ის სიმშვიდე მოგვგვარა, რომელიც დარჩენილი ხუთი შეხვედრის ჩასატარებლად გვჭირდება. ესპანეთის ჩემპიონობა ურთულესი საქმეა. „რეალისა" და „ბარსელონის" სახით სერიოზული კონკურენტები გვყავს. მიუხედავად ამისა, პრემერა დივიზიონის ოთხ ტურში ბოლომდე ვიბრძოლებთ. არავინ იცის, რა მოხდება. მეხუთე ორთაბრძოლას რაც შეეხება, მოგეხსენებათ, რომ ჩვენ კიდევ ერთი ფინალი გვაქვს გასამართი. ერთ კვირაში „სანტიაგო ბერნაბეუზე" ესპანეთის სამეფო თასისთვის „ხეტაფეს" შევერკინებით. რა უცნაურია, არა?! ამხელა წარმატებას მივაღწიეთ, მაგრამ მოდუნების უფლება მაინც არ გვაქვს. წინ კიდევ ხუთი სასიცოცხლო მატჩი გველის.

- როგორ ფიქრობთ, კლუბის ხელმძღვანელობა ახალ კონტრაქტს გაგიფორმებთ? რამდენად დიდია იმის შანსი, რომ კვლავ „სევილიაში" გააგრძელოთ მუშაობა?

- „სევილიის" დიდ ოჯახს ბედნიერი წუთები დაუდგა. ახლა უკლებლივ ყველა გახარებული და ბედნიერია. იმედია, სეზონის დარჩენილი შეხვედრები განწყობას არ გაგვიფუჭებს. ძალიან მინდა, კიდევ მოვიპოვოთ ტიტულები. გულწრფელად რომ გითხრათ, ამ ეტაპზე „სევილიიდან" ჩემი წასვლა ვერ წარმომიდგენია. დარწმუნებული ვარ, ახალ ხელშეკრულებას გავაფორმებთ.

- სევილიაში ვნებიან ფიესტაში მონაწილეობა მოგიწევთ. ხომ არ შიშობთ, რომ ზეიმი მომდევნო თამაშებისთვის კონცენტრირებაში ხელს შეგიშლით?

- კლუბმა ფენომენალურ წარმატებას მიაღწია. ზეიმს ვერავის ავუკრძალავ. ახლა სწორედ ზეიმის დროა, მაგრამ როგორც კი მუშაობის აუცილებლობის წინაშე აღმოვჩნდებით, ფიესტას დროებით დავასრულებთ და ბევრს ვივარჯიშებთ. ამ უქმეებზე „დეპორტივოსთან" მატჩი გვაქვს. აუცილებლად უნდა მოვიგოთ იმისთვის, რომ ესპანეთის ჩემპიონობის შანსი არ დავკარგოთ.

- „ესპანიოლმა" როგორი შთაბეჭდილება დატოვა?

- ჩინებული. მიუხედავად იმისა, რომ კატალონიელები მოედანზე ათი კაცით დარჩნენ, მათ მაინც ბოლომდე იბრძოლეს. ასეთ გუნდებს ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი.

ანდრეს პალოპი:

არც გმირი ვარ, არც მეფე და არც სასწაულმოქმედი

- რა საოცრება ვნახეთ. როგორ მოახერხეთ ასეთი მატჩის ჩატარება?

- საოცრად ემოციური თამაში ჩავატარეთ. დაძაბულობა პირველიდან ბოლო მომენტამდე არ განელებულა. უკლებლივ ყველა ერთ მუშტად ვიყავით შეკრულები. როგორც მოსალოდნელი იყო, „ესპანიოლმა" მედგარი წინააღმდეგობა გაგვიწია. არც არის გასაკვირი. კატალონიელებს წარმოუდგენლად უნდოდათ, რომ ისტროიული გამარჯვება მოეპოვებინათ. გამოგიტყდებით, მათ ასეთ შეუპოვრობას არ ველოდი. რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ ძალიან გაგვიჭირდებოდა, მაგრამ მართლაც არ მეგონა, რომ „ესპანიოლი" ორჯერ გაგვითანაბრებდა ანგარიშს. სხვათა შორის, ბოლოს მაშინ გაგვიტანეს, როცა მოედანზე ათი კაცით იყვნენ დარჩენილები. მოკლედ, იმის თქმა მსურს, რომ საკმაოდ ძლიერ მეტოქეს მოვუგეთ. ჩემმა თანაგუნდელებმა ფანტასტიკური შეხვედრა ჩაატარეს.

- კარგით რა, რა დროს თქვენს თანაგუნდელებზე საუბარია?! ფინალი ხომ თქვენს ბენეფისად იქცა. სამი პენალტის მოგერიება ნამდვილი სასწაულია.

- სულაც არ ვთვლი, რომ ფინალის გმირი ვარ. არც იმის თქმა შემიძლია, ჩემი დამაჯერებელი თამაში რომ არა, თასს დავკარგავდით-მეთქი. უბრალოდ, ძალიან გამიმართლა. მერწმუნეთ, იღბალის გარეშე ერთ სერიაში სამ 11-მეტრიანს ვერ აიღებ. ცხადია, ოსტატობასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ფორტუნა მაინც ფორტუნაა.

- უეფას თასის შენარჩუნება ხანგრძლივი და დაძაბული სეზონის ადეკვატური კომპენსაციაააა?

- ოთხშაბათამდე ერთდროულად სამ ფრონტზე ვიბრძოდით. მადლობა ღმერთს, ერთ ტურნირზე მაქსიმალურ შედეგს მივაღწიეთ. ახლა კიდევ ორი შეჯიბრი დაგვრჩა. იმედია, წარმატებები აქაც არ მოგვაკლდება. უეფას თასი დიდი წარმატებაა, მაგრამ გულწრფელად რომ გითხრათ, მიღწეულით დაკმაყოფილებას არ ვაპირებ. რა თქმა უნდა, უკვე შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ სეზონი წარმატებულია, თუმცა ობიექტური მიზეზების გამო, ჯერ არ შეგვიძლია საკუთარ თავს მოდუნების უფლება მივცეთ. ვალდებულები გახლავართ, მუშაობა გავაგრძელოთ და დარჩენილი ორი ტიტულისთვის ვიბრძოლოთ. მოგვწონს თუ არა, სეზონი არ დასრულებულა.

- მე მაინც წინა კითხვას დავუბრუნდები და გკითხავთ, გულის კუნჭულშიც არ ფიქრობთ, რომ უეფას თასის ფინალის გვირგვინიანი მეფე ხართ?

- (იცინის) არც გმირი ვარ, არც მეფე და არც სასწაულმოქმედი. რატომ გგონიათ, რომ რომელიმე ჩემმა თანაგუნდელმა ვინმეზე ნაკლები სამუშაო შეასრულა? პალოპის საქმე ყველამ დაინახა, მაგრამ ხავი ნავაროს, დანიელ ალვეშის, ადრიანოსა და სხვების მიერ შესრულებული სამუშაო უჩინარი დარჩა. დამიჯერეთ, ამ ბიჭების თავდადება რომ არა, პენალტების სერიამდე ვერ მივაღწევდით და ანდრეს პალოპს შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსიც არ მიეცემოდა.

- გლაზგოურ გამარჯვებას ვის უძღვნით?

- ჩემს ოჯახს. ისინი შოტლანდიაში ჩამოვიდნენ და გულმხურვალედ მიქომაგეს. რა თქმა უნდა, ჩემს ყოველ წარმატებას მათ ვუძღვნი. ოჯახის თანადგომის გარეშე იმ რთულ პერიოდებს ვერ დავძლევდი, რომელიც კარიერის განმავლობაში მრავლად მქონდა.

ხოსე მანუელ დელ ნიდო:

გული მწყდება, რომ ფინალში ესპანურ გუნდს მოვუგეთ

- ბატონო პრეზიდენტო, გილოცავთ ზედიზედ მეორე თასს.

- ახლა მხოლოდ იმაზე მწყდება გული, რომ ფინალში ესპანურ გუნდს მოვუგეთ. გეფიცებით, გაცილებით გახარებული ვიქნებოდი, უცხოელები რომ გაგვემწარებინა. რა თქმა უნდა, მიხარია, რომ უეფას თასი შევინარჩუნეთ, თუმცა ამავდროულად, გული მეწვება, როცა „ესპანიოლის" ფეხბურთელებისა და გულშემატკივრების აცრემლებულ თვალებს ვხედავ. ამ სევდის გასანეიტრალებლად გადავწყვიტე თასი ესპანეთის პრინცისთვის გადამეცა.

- რა ჩანაფიქრი გქონდათ?

- ამ ნაბიჯით მინდოდა, მთელი მსოფლიოსთვის დამენახებინა, რომ ეს მთლიანად ესპანური ფეხბურთის გამარჯვება იყო. შესაძლოა, პრინცთან მიმართებაში ზედმეტად ფამილიარული ვიყავი, მაგრამ იმედი მაქვს, რომ გამიგებს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს მონარქს ბოდიშს ვუხდი.

- მამათქვენი ჩამოვიდა გლაზგოში?

- არა, ის ძალიან მოხუცდა და მგზავრობა ჯანმრთელობას შეულახავდა. ექიმებმა გვითხრეს, რომ შორეული ფრენა არ მოუხდებოდა. სამაგიეროდ, ესპანეთის სამეფო თასის ფინალს აუცილებლად დაესწრება.დარწმუნებული ვარ, დღევანდელი გამარჯვება მეტისმეტად ემოციურად აღიქვა. ალბათ, ბევრი იტირა (იცინის). იგი სულით ხორცამდე სევილიელია, კლუბის თავგადაკლული და გიჟი ფანი.

- სეზონის პირველი ჯილდო მოპოვებულია. ახლა ვალდებულები ხართ, უეფას თასი სევილიის ქუჩებში მოატაროთ...

- გულწრფელად გეტყვით, ასეთი რთული მატჩი ცხოვრებაში არ მქონია. საქმე პენალტებამდე მივიდა. წარმოუდგენლად ბევრი ვინერვიულე. გამარჯვებამ ყველა სტრესი მომიხსნა და სიხარული მომანიჭა, მაგრამ როგორც გითხარით, „ესპანიოლის" საცოდაობამ გული დამიწვა. რა სამწუხაროა, რომ ესპანელები ესპანელებს შევერკინეთ. რა გაეწყობა, ალბათ, იმაზე ვიფიქროთ, რომ ჩვენი გუნდების ფინალში გასვლით მთელი ევროპა დავიპყარით. ბოლოს და ბოლოს, ჩვენმა ქვეყანამ ყველას აჯობა. ზეიმს რაც შეეხება, ბუნებრივია, თასს გულშემატკივრებს მივუტანთ და ტრადიციულ ანდალუსიურ ფიესტასაც მოვაწყობთ.

- პრიმერა დივიზიონში გამარჯვება კიდევ უფრო საშური საქმე გახდა?

- თუ დარჩენილ ოთხ შეხვედრას მოვიგებთ, „სევილია" ესპანეთის ჩემპიონი გახდება. მაგრამ ერთი ქულის დაკარგვა ოქროს მედლების დაკარგვის ტოლფასი იქნება. ვფიქრობ, ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ. მთავარია, იღბალმა ზურგი არ გვაქციოს.

- სხვათა შორის, კალდერონიც ამას ამბობს...

- ნაკლებად მაინტერესებს მისი მოსაზრებები. დარწმუნებული ვარ, რომ „რეალი" ყველა შეხვედრას ვერ მოიგებს.

ილია ნიკოლაიშვილი

ეს წამია, პალოპმა მესამე პენალტი მოიგერია და ანდალუსიელებს თასი შეუნარჩუნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

ეფენბერგი: ჭონი არ ნიშნავს გოლებს

ეფე მზადაა, გაისად ჰიტცფელდი შეცვალოს...

"ბაიერნში" დიდი ეიფორიაა. რეკორდმაისტერის ქომაგები აღფრთოვანებულები არიან იმით, რომ გუნდის ბოსებმა ზაფხულის სატრანსფერი ბაზრისთვის 100 მილიონი ევრო გამოყვეს (ამის შესახებ გუშინდელ ნომერში ვწერდით). თუმცა კაპიტან **ოლივერ კანს** რომ ჰკითხოთ, ფულის დახარჯვა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მიუნხენური გიგანტი გაისად ისევ წარმატებული იქნება. *"ახლა ისეთ სიტუაციაში ვართ, რომ ყურადღებით უნდა ვიყოთ. დიდი შანსია, რომ ერთწლიანი ჩავარდნა გაგრძელდეს და "ბაიერნს" მძიმე დროება დაუდგეს,* - აცხადებს კანი "შპორტ-ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში და იქვე ამატებს, - *წარმატება არ არის ისტორია, რომელიც ავტომატურად გაგრძელდება."*

ამ მხრივ ლეგენდარული ბავარიელი **შტეფან ეფენბერგი** გაცილებით ოპტიმისტურადაა განწყობილი. *"ცხადია, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს, რაღაც უნდა მოხდეს. მომდევნო სეზონში "ბაიერნის" ნომერ პირველი მიზანი ბუნდესლიგისა და უეფას თასის მოგება უნდა იყოს,* - განუცხადა ეფემ მიუნხენერ თაგესცაითუნგს, - *მაგალითად, მე მივესალმები მიროსლავ კლოზეს ტრანსფერს. როცა ასეთი ფეხბურთელის ყიდვა შეგიძლია, უკან არაფერზე უნდა დაიხიო. მიუხედავად იმისა, რომ კლოზეს ცუდი სეზონი ჰქონდა, მე მას მაინც ბუნდესლიგის საუკეთესო თავდამსხმელად მივიჩნევ."*

სამაგიეროდ, ეფენბერგი არც ისე აღფრთოვანებულია **ლუკა ტონის** მოსალოდნელი ტრანსფერით. *"ტონი მუშა თავდამსხმელია და ძალიან ჰგავს კარსტენ იანკერს. ცხადია, ჩინებული ფორვარდია, მაგრამ ტონის ყიდვის შემთხვევაში "ბაიერნს" მინიმუმ 20 გოლი სულაც არ ექნება გარანტირებული. ტონი კარგია, მაგრამ არ ნიშნავს გოლებს!"* - ამბობს ეფე. სამაგიეროდ, შტეფანი პირდაპირ ამბობს, რომ ბავარიელებმა **მარსელ იანსენი** აუცილებლად უნდა შეიძინონ: *"ახალგაზრდაა და უდიდესი პოტენციალი აქვს. იანსენის შემთხვევაში დიდხანს ფიქრი საჭირო არაა. მნიშვნელობა არა აქვს, "გლადბახი" 8 მილიონს ითხოვს თუ 11-ს - "ბაიერნმა" იანსენი უნდა იყიდოს და 2-3 მილიონს არ უნდა გამოეკიდოს!"*

ამასთან, ეფენბერგი სკეპტიკურადაა განწყობილი იმის მიმართ, რომ მიუნხენელებს **ზე რობერტოს** დაბრუნება უნდათ. აი, რას ამბობს ეფე: *"თუკი ზე რობერტოს აბრუნებენ, მაშინ მეც დამაბრუნონ!"* ეფეს თუ დავუჯერებთ, "ბაიერნმა" ერთი უმაღლესი კლასის, ტიპური გამთამაშებელი უნდა იყიდოს, მაგალითად, **დიეგო** - *"თუ კლოზესა და დიეგოს გადაიბირებენ, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ: ღამე მშვიდობისა, ვერდერ! დიეგო-კლოზე რეკორდმაისტერისთვის იდეალური დუეტი იქნებოდა."*

გარდა ამისა, ზემოთ ხსენებულ ინტერვიუში ეფენბერგი **ოტმარ ჰიტცფელდის** დაბრუნების საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, დიდი ხანია, "ბაიერნის" შეფებს ასეთი მართებული გადაწყვეტილება არ მიუღიათო: *"ჰიტცფელდის დაბრუნება გენიალური იდეა იყო და ამას მომდევნო სეზონში ყველა დავინახავთ."* მაგრამ ცნობილია, რომ "გენერალი" ბავარიულ გრანდში მხოლოდ ერთ სეზონს გაატარებს. ასე რომ, "ბაიერნის" შეფებს ზუსტად ერთი წლის შემდეგ ახალი სპეციალისტის ძებნა მოუწევთ. ეფენბერგი მზადაა, ჰიტცფელდი შეცვალოს!



ლუკა ტონი ბაიერნის უმთავრესი სამიზნეა

"ახლა ეს კითხვა არააქტუალურია, რადგან "ბაიერნს" შესანიშნავი მწვრთნელი ჰყავს. მაგრამ მიუნხენელებმა იციან, ვინც ვარ და რასაც წარმოვადგენ. არავის დავიწყებია ის, რაც "ბაიერნისთვის" გავაკეთე. ჰიტცფელდი ტყუილად კი არ მეუბნება, მწვრთნელი უნდა გახდეო. მან იცის, რომ მწვრთნელობის ნიჭი მაქვს. თუკი დამირეკავენ, დიდხანს არ დავფიქრდები, მაშინვე თანხმობას ვეტყვი. უარი გამორიცხულია, რადგან ყველამ იცის, რომ რეგიონალიგაში ან მეორე ბუნდესლიგაში მუშაობა არ მსურს!" - აცხადებს ეფენბერგი.

დაბოლოს. როგორც იცით, გავრცელდა ინფორმაციები იმის შესახებ, რომ "ბაიერნი" **როი მაკაის** გაყიდვას აპირებს. გუშინ რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** ტელეკომპანია DSF-ის პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ ის და **ული ჰიონესი** ჰოლანდიელი თავდამსხმელის გასხვისებაზე არ ფიქრობენ: *"მაკაიმ ამ სეზონში 16 გოლის გატანა მოახერხა და ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზეა. როი საგოლე მანქანაა და არ მესმის, რატომ უნდა გავუშვათ. მას ჩვენთან კონტრაქტი კიდევ 1 წლით აკავშირებს. სულელები უნდა ვიყოთ, მაკაის გაშვებაზე რომ ვფიქრობდეთ!"*

გოტფრიდ ლენცი

მარტინ იოლი

ინგლისური პრემიერლიგა კვირას დასრულდა. სეზონისწინა მოლოდინის მიუხედავად, "ტოტენჰემ ჰოთსპურმა" მაინც ვერ შეძლო "დიდი ოთხეულის" მონოპოლიის დარღვევა და ზედიზედ მეორედ სეზონი მეხუთე ადგილზე დაასრულა. მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ მარტინ იოლის ხელში "სპურსს" პროგრესი დაეტყო. "უაით ჰართ ლეინის" კერპის, ჰოლანდიელი მენეჯერის შეგირდებს სტაბილურობა აკლიათ, მაგრამ თამაშის თავისებური სტილი აქვთ, რითაც ინგლისში ერთ-ერთი ყველაზე სანახაობრივი გუნდის სახელი მოიხვეჭეს. თავაზიანი, ინტელიგენტი და განათლებული - ასე ახასიათებენ ჰოლანდიელ სპეციალისტს, რომელიც ფიფას ოფიციალური ვებგვერდის კორესპონდენტს სხვადასხვა თემაზე ესაუბრა, მათ შორის, ჰოლანდიური ფეხბურთის თაობაზეც, მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატის გადმოსახედიდან...

ტოტენჰემი. ინტერვიუ მარტინ იოლთან

ეს ზღაპარი კი არა, სიმართლეა

ჰოლანდიელი სპეციალისტი ცდილობს, სანახაობისა და შედეგის სინთეზს მიაღწიოს

- ზედიზედ მეორედ გახვედით მეხუთე ადგილზე, რამდენიმე დასამახსოვრებელი მატჩიც ჩაატარეთ, თუმცა "ტოტენჰემი" მაინც ერთი ნაბიჯით ჩამორჩება "დიდ ოთხეულს". რა არის საჭირო მათ რიცხვში მოსახვედრად?

- ცოტა რამ. ზოგჯერ ისეთი ფეხბურთელი გჭირდება, როგორიცაა ლედლი კინგი, ან დენის ბერგკაპისა და სტივენ ჯერარდის ტიპის მოთამაშე. დიდი პლუსი იქნება ჩვენი გუნდისთვის, თუ ვინმე ადელ ტაარაბტის ან ჯეიმი ო'ჰარას მსგავსად მაღალ დონეს მიაღწევს და გუნდს წინ წაწევს. თუ ეს არ მოხდება, მაშინ ფეხბურთელები სხვაგან უნდა ეძებო, ეს კი ადვილი საქმე არ არის. ბოლო დეკადაში "არსენალი" წარმატებული იქნებოდა, ტიერი ანრი რომ არ ყოფილიყო? ან თუნდაც, "ლივერპული" ჯერარდის გარეშე? კარგია, როცა საძირკველი სტაბილურია, მაგრამ უკეთესია, როცა ორისამი განსაკუთრებული ნიჭის მქონე მოთამაშე გყავს.

- ორნახევარი წელიწადია, რაც "ტოტენჰემში" მუშაობთ. რას იტყვით ამ პერიოდზე?

- ვგრძნობ, რომ მთავარი გეგმიური მუშაობაა და ამ გეგმის მიხედვით ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მივიწევთ. გვსურს, ყოველმხრივ უკეთესი გუნდი გვყავდეს, რასაც მერე სასურველი შედეგი მოჰყვება. ჩემი მუშაობის პირველ წელიწადს 52 ქულა დავაგროვეთ, გასულ სეზონში 65, წლეულს კი 60. განსხვავება ისაა, რომ თასის ყველა გათამაშებაში მივიღეთ მონაწილეობა. ეს კლუბისთვის წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი იყო. თუ გაითვალისწინებთ იმასაც, რომ ხუთჯერ ვითამაშეთ თასის სხვადასხვა გათამაშების მეოთხედფინალურ ეტაპზე, მიხვდებით, რომ ნელ-ნელა მართლაც მივიწევთ წინ. ეს ფეხბურთელების დამსახურებაა და ყველა დამეთანხმება, რომ ძლიერი მოთამაშეები შევკრიბეთ.

- ბოლოს გუნდმა საუცხოო თამაში აჩვენა, ბევრი გოლი გაიტანა და ცოტა გაუშვა. ესაა თქვენეული სათამაშო სტილი?

- გასულ სეზონში თუ ნახეთ ჩვენი მატჩები, გაიხსენებდით, რომ სულ სხვაგვარად ვთამაშობდით. უფრო კომპაქტურები და სოლიდურები ვიყავით ორი საყრდენი ნახევარმცველით, დანარჩენებს კი შეტევაში წასვლის უფლება მივეცით. წლეულს გადავწყვიტეთ, მსხვერპლად გაგვეღო ერთი საყრდენი შუახაზელი, რამაც ცოტათი იმოქმედა სტილზე. ზომიერებაც გვაკლდა. შემიძლია, გავიხსენო შარშანდელ სეზონში სტანდარტული სიტუაციებიდან გაშვებული გოლები, მაგრამ აზრი არ აქვს, რადგან მათი რიცხვი შთამბეჭდავია. თუ ასეთ სულელურ გოლებს აღარ გავუშვებთ, საქმე გაცილებით კარგად წავა. მაინც უნდა ითქვას, რომ ნიჭიერ მოთამაშეთა მოზღვავება ავტომატურად კარგ შედეგს ვერ მოიტანს. ჩვენ უნდა მოვნახოთ შემტევი ფეხბურთისა და შედეგის მიღწევის სწორი სინთეზი. სწორედ ესაა მთავარი.

- პრემიერლიგის სხვა გუნდებისგან განსხვავებით, თქვენ საკმაო რაოდენობის ახალგაზრდა ინგლისელი ფეხბურთელი გყავთ. ფიქრობთ თუ არა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია გუნდის ინდივიდუალობისთვის?

- მე ყოველთვის მჯეროდა "ძლიერი ხერხემლის" და სწორედ შარშან გვყავდა კარგი ინგლისელი ფეხბურთელები: პოლ რობინსონი, ლედლი კინგი, მაიკლ დოუსონი, მაიკლ ქერიკი, ჯერმენ ჯენასი და ჯერმენ დეფო. ამას დაუმატეთ ირლანდიელი რობი კინი. ქერიკის გაყიდვის შემდეგ ვითარება ცოტათი შეიცვალა, თუმცა ჩვენს მთავარ მიზნად რჩება, გავზარდოთ ან მოვიწვიოთ რაც შეიძლება მეტი ინგლისელი თუ ზოგადად, ბრიტანელი მოთამაშე. თუ მათზე ხელი არ მიგვიწვდება, მაშინ სხვაგან უნდა ვეძებოთ. თუმცა პირველ რიგში, აუცილებელია, ინგლისში მოინახოს ფეხბურთელი, ისე, როგორც ეს მოვახერხეთ აარონ ლენონისა და ტომ ჰადლსტოუნის მაგალითზე.

- მართალია ის, რომ თქვენ ყოველთვის ოცნებობდით "სპურსის" მწვრთნელობაზე?

- ოცნება საკუთარ პატივმოყვარეობაზე მაღლა დავაყენე. ინგლისში ჩასვლისას, ბევრი სპეციალისტი, ვინც ამა თუ იმ კლუბში ინიშნება, იტყვის ხოლმე, რომ ამ კლუბის მხარდამჭერი იყო და ყოველთვის სურდა მისი მწვრთნელობა. რაც შემეხება მე, 2000 წელს ჰოლანდიის ერთ-ერთი ტელეარხის პროგრამაში ვთქვი, რომ ინგლისში დაბრუნება და "ტოტენჰემის" მწვრთნელობა მსურდა. ეს ზღაპარი კი არა, სიმართლეა.

- "ტოტენჰემს" მდიდარი ისტორია აქვს. მას უფრო მეტად გაუთქვა სახელი თამაშის მეტად მიმზიდველმა სტილმა. ამ ტრადიციის გაგრძელება თქვენთვის მნიშვნელოვანი იყო?

- დიახ, რადგან ჰოლანდიაში თამაშის მხოლოდ ერთი სტილი არსებობს და მას "მიმზიდველი" ჰქვია. თქვენ უნდა გაართოთ ხალხი, ეს უმთავრესი საკითხია. შედეგიც მნიშვნელოვანია, ასე რომ, როგორც წელან ვთქვი, ეს ორი რამ უნდა შევაკავშიროთ ერთმანეთთან.

- როგორია ინგლისში მომუშავე უცხოელის თვალით დანახული პრემიერლიგა? მიგაჩნიათ, რომ ამ მომენტისთვის ის საუკეთესოა მსოფლიოში?

- ვფიქრობ, ის უძლიერესია მსოფლიოში, ყველაზე მიმზიდველი კი მაინც ესპანური ლიგაა.

- თქვენ ჰოლანდიაში ჩამოყალიბდით, როგორც მოთამაშე. 1974 წლის ფორმაციის ჰოლანდიის ნაკრების შემხედვარე, "ტოტალურ ფეხბურთზე" რაღაც შეხედულება შეგექმნებოდათ. როგორი შთაბეჭდილება დატოვა ამ სტილმა თქვენზე?

- ასე გიპასუხებთ: შეხედეთ "ტოტენჰემს". მხოლოდ სამი ფეხბურთელი არ გადადის შეტევაზე. ესაა მეკარე, თუმცა ზოგჯერ გოლებს ისიც იტანს, და ორი ცენტრალური მცველი. მომავალში ერთ რამეს უნდა მივაღწიო: ნახევარმცველებს უფრო მიმზიდველი ფეხბურთი უნდა ვათამაშო. ჩემს გუნდში ყველას შეუძლია წინ თამაში და დაცვაში ჩამოსვლაც.

- "სპურსში" არმყოფ რომელ ფეხბურთელს გაწვრთნიდით?

- არ მიყვარს სხვა ფეხბურთელებზე საუბარი, თუმცა ვისურვებდი ჯერარდთან თანამშრომლობას, რადგან ის საუკეთესო ფეხბურთელია ინგლისში, ასევე კრისტიანო რონალდოს დიდი ქომაგიც გახლავართ. ყოველთვის გჭირდება ისეთი ფეხბურთელი, როგორიცაა ჯონ ტერი, რომელსაც უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს და არასდროს გიღალატებს. მაგრამ მუდამ ვამბობდი და ვიტყვი, რომ ჯერარდი ყოველმხრივ საუკეთესოა.

- ფეხბურთის გარდა, კიდევ რა გაინტერესებთ?

- მიყვარს ზაფხულობით, ოჯახთან ერთად ჩოგბურთის თამაში, აგრეთვე საწყლოსნო სპორტიც. მაქვს წყლის რამდენიმე თხილამური, მიყვარს კითხვა და ხელოვნება, თუმცა ამ დარგში ექსპერტი არ გახლავართ.

მოამზადა
დავით ჩუბინიძემ

ინტერვიუ ანდრეი შევჩენკოსთან

კარიერას ჩელსიში დავასრულებ

უკრაინელი ირწმუნება, რომ მოურინიოსთან კარგი ურთიერთობა აქვს...

აგერ უკვე სამი წელიწადია, რაც ლონდონის "ჩელსის" ყოზე მოურინიო წვრთნის და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს სეზონი, შედეგების მხრივ, ყველაზე უარესი გამოდგა. საუბრები იმის შესახებ, რომ რომან აბრამოვიჩის ფულები და პორტუგალიელი სპეციალისტის ტალანტი ყველასა და ყველაფერს დაიბრიყვებდა, მითი აღმოჩნდა. კლუბი, რომელსაც ჯერ კიდევ სამი კვირის წინათ, არსებობის განმავლობაში, პირველად ჰქონდა ჰოკერის შესრულების, ანუ, ყველა ტურნირის მოგების შანსი, ორ უმთავრეს ტიტულს ვამოემშვიდობა - გამოვარდა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალიდან და წააგო პრემიერლიგაც. შაბათს "ჩელსის" თასის ფინალი ელის "მანჩესტერთან" და თუ არისტოკრატები ამ თამაშს წააგებენ, აბრამოვიჩი, სავარაუდოდ, ახალი გუნდის შენებას დაიწყებს - ახალ მწვრთნელთან და ახალ ფეხბურთელებთან ერთად. ფაქტი ის გახლავთ, რომ "უემბლის" ფინალამდე არაფერი გადაწყდება, მერე კი, დიდ ცვლილებებს უნდა ველოდოთ. არადა, რუს ოლიგარქს ამ გუნდის გაკეთება ძალიან ძვირი (ამ სიტყვის ყველანაირი გაგებით) დაუჯდა. უკრაინელი ფორვარდი ანდრეი შევჩენკო "ჩელსიში" სეზონის დასაწყისში გადავიდა და როგორც ირკვევა, სწორედ მან დაიწყო გუნდში "მოძრაობა ანტი-მოურინიო". ზამთარში შევამ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და გავრცელდა ხმები, რომ ამის თაობაზე თვით აბრამოვიჩთან იჩივლა. თუმცა შევა, ისევე, როგორც მისი არაერთი თანაგუნდელი, წელეულს ძალიან ხშირად იყო ტრავმირებული და სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ფორმის პიკს ვერა და ვერ მიაღწია. ლონდონელი ქომაგები ანდრეისგან გაცილებით მეტს ელოდნენ. მას არც ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტ შეხვედრებში უთამაშია, არც პრემიერლიგის დიდ მატჩებში და არც თასის ფინალში ითამაშებს...

- ანდრეი, ჯერ კიდევ სამი კვირის წინათ ისე ჩანდა, რომ "ჩელსიმ" ამ სეზონში ყველა პრობლემა გადაჭრა, გაუმკლავდა წამყვანი ფეხბურთელების ტრავმებს და წესით, რომელიმე ფრონტზე გამარჯვებისთვის უნდა გამოეკრა ხელი. მაგრამ ჯერ იყო ფრე "ბოლტონთან", მერე მარცხი "ლივერპულთან" ჩემპიონთა ლიგაში, რამდენიმე დღის შემდეგ კი ფრე "არსენალთან" და პრემიერლიგის მოგების შანსიც დაიკარგა. ანუ, სულ რაღაც ერთ კვირაში თქვენი გუნდისთვის ფაქტობრივად, ყველაფერი დამთავრდა...

- კატეგორიულად არ გეთანხმებით. მიმაჩნია, რომ საერთო ჯამში, "ჩელსის" სეზონი ცუდად არ ჩაუტარებია - ჩემპიონატშიც კარგად ვითამაშეთ და ჩემპიონთა ლიგაშიც. უბრალოდ, ძალიან ცოტა დაგვაკლდა იმისთვის, რომ სეზონი გრანდიოზულად დაგვემთავრებინა. შესაძლოა, ძალები არასწორად გადავანაწილეთ - ორ კურდღელს ერთდროულად მივსდევდით და ბოლოს ვერცერთი ვერ დავიჭირეთ. ასეა, ყველაფერი ხდება და საერთოდ, ასეთ რამეს ფეხბურთელები უფრო მშვიდად ვაფასებთ ხოლმე, ვიდრე ჟურნალისტები. ჩვენ ღირსეულად დავმარცხდით და საწუწუნო არაფერი გვაქვს.

- ყველა ტურნირში ღირსეული მარცხი მისაღებია?

- სეზონი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ინგლისის თასის ფინალში "მანჩესტერი" აუცილებლად უნდა დავამარცხოთ. ყოველ შემთხვევაში, არ ვფიქრობ, რომ სტვენის ღირსები ვართ. მთელი სეზონის განმავლობაში კარგ ფეხბურთს ვაჩვენებდით და გულშემატკივრებიც კმაყოფილები იყვნენ. უბრალოდ, ეს სეზონი ძალიან რთული გამოდგა. მთელი სეზონის განმავლობაში კარგი ფეხბურთის ჩვენება ძალიან ძნელია.

- გადამწყვეტი მატჩები "ბოლტონთან" და "ლივერპულთან" გქონდათ და ვერცერთის მოგება ვერ მოახერხეთ. ნუთუ, ეს გადაღლილობის ბრალი იყო?

- "ბოლტონთან" შეხვედრაზე არც კი ვიცი, რა უნდა ვთქვა. ფაქტი ის არის, რომ ეს არ იყო ჩემი საუკეთესო თამაში "ჩელსის" რიგებში. ჯერ ერთი, შემცვალეს და სხვათა შორის, ეს მწვრთნელის მხრიდან აბსოლუტურად მისაღები გადაწყვეტილება იყო. მერე კი, 2:1-ს ვიგებდით და გოლი გავუშვით - ჩემი აზრით, მცველები უბრალოდ მოეშვნენ, რისთვისაც დავისაჯეთ კიდეც. როგორც მერე გამოჩნდა, ეს ერთი შეცდომა ფატალური იყო.

- "ლივერპულთან" შეხვედრაში გუნდს სერიოზული შეცდომა არ დაუშვია...

- დიახ და ჩვენ წაგებას არ ვიმსახურებდით. უკვე ტრავმირებული ვიყავი და იმ მატჩს თვალი ტრიბუნიდან ვადევნე. მერსისაიდელებს არაფერში ჩამოვრჩით, "ლივერპულმა" ვერ გვაჯობა. მეტიც: მთელ რიგ მომენტებში ჩვენ ვჯობდით მეტოქეს. მიუხედავად ამისა, საქმე პენალტების სერიამდე მივიდა, ეს კი, ხომ იცით, ლატარეაა, რომელშიც "ლივერპულს" გაუმართლა. სამარცხვინოა ის, რომ ამ გუნდმა კიდევ ერთხელ მოუგო გაცილებით ძლიერ "ჩელსის" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში. განსაკუთრებით რთულია, როცა ასეთ დროს მოედანზე არ ხარ და ამ ყველაფერს თვალს ტრიბუნიდან ადევნებ.

- თქვენ ხშირად იყავით ტრავმირებული და საერთოდ, ამ სეზონში "ჩელსის" ლაზარეთში ყოველთვის იყვნენ წამყვანი ფეხბურთელები...

- ...და მე ვიტყოდი, რომ გუნდის წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზიც ესაა. ყველაზე ცუდი კი ის გახლავთ, რომ უმეტეს წილად წამყვანი მცველები იმტვრეოდნენ. ყველამ იცის, თუ რასაც ნიშნავს "ჩელსისთვის" ჯონ ტერი და რაოდენ დიდი დანაკლისია მისი არყოფნა. ტერი ხომ კლუბის სიმბოლოა, დაცვის ბურჯი. ჯამში, ჩვენი წარუმატებლობის მიზეზი ორია: პრობლემები დაცვაში და ფიზიკური მოუმზადებლობა.

- ბევრი მიიჩნევს, რომ პრობლემა მოირინიოშია. ამაყი ყოზე ცდილობდა, მაგრამ ფეხბურთელების გარკვეულ ნაწილთან კარგი ურთიერთობა მაინც ვერ აააწყო. თქვენც ერთ-ერთი მათგანი ხართ, რადგან სეზონის დიდი ნაწილი სკამზე გაატარეთ. საინტერესოა, ადანაშაულებთ თუ არა მოურინიოს?

- არა. ყოზესთან კარგი ურთიერთობა მაქვს. ხოლო შეცდომებს კი მხოლოდ ის არ უშვებს, ვინც საერთოდ არაფერს აკეთებს. მოურინიო კი აკეთებს, თანაც ძალიან ბევრს. ის ჩინებული მწვრთნელია.



ანდრეი შევჩენკო

- აი, კლუბის ხელმძღვანელები კი სხვაგვარად ფიქრობენ. საიდუმლო წყაროზე დაყრდნობით შევიტყვეთ, რომ "მანჩესტერთან" თამაში გადაწყვეტს, დატოვონ თუ არა ყოზე პოსტზე. ანუ, თუ "ჩელსი" ინგლისის თასის ფინალს წააგებს, მოურინიოს დაიფრენენ. ეს ასეა?

- წარმოდგენა არ მაქვს და თანაც, ეს არა ჩემი, არამედ ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია. პირადად მე ვფიქრობ, რომ მოურინიომ ძალიან მოკლე დროში შექმნა გუნდი, რომელსაც ყველა ტიტულის მოგება შეუძლია. ჰო, ამ სეზონში არ გაგვიმართლა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი დამთავრდა. საკუთარ შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ. ყოზემ "ჩელსიში" ძალიან ბევრს მიაღწია: გულშემატკივრები აღმერთებენ და ფეხბურთელებიც მხარს უჭერენ. მათ შორის ვარ მეც. მოკლედ, ძალიან მინდა, რომ ყოზე გუნდში დარჩეს.

- როგორც ჩანს, აბრამოვიჩი მწვრთნელებს მათი სტილის მიხედვით ირჩევს - როგორც "ჩელსიში", ასევე რუსეთის ნაკრებშიც...

- არასწორი პრინციპია. მწვრთნელი, პირველ რიგში, მოდური კი არა, გამოცდილი სპეციალისტი უნდა იყოს.

- მაგალითად, როგორც "მილანის" თავკაცი კარლო ანჩელოტი?

- რას გულისხმობთ?

- ამბობენ, რომ თქვენ აბრამოვიჩს ანჩელოტი ურჩიეთ...

- ეს მტკნარი სიცრუე და მონაჭორია. აბრამოვიჩთან რეკომენდაცია არავისთვის გამიწევია. ეს ყველაფერი ჟურნალისტების ფანტაზიაა. ჩემი საქმე რჩევების მიცემა კი არა, ფეხბურთის თამაშია და მინდა ვთქვა, რომ ერთი და იმავეს გამეორება მაგრად მომბეზრდა. მოკლედ: მიმაჩნია, რომ მოურინიო "ჩელსისთვის" იდეალური მწვრთნელია. დღესდღეობით არ შემიძლია სპეციალისტის დასახელება, რომელიც თავის საქმეს ისე პროფესიონალურად ეკიდება, როგორც მოურინიო. ანჩელოტი ძალიან კარგი მწვრთნელია, მაგრამ ის "მილანში" მუშაობს...

- გასულ ზაფხულს, როცა "მილანიდან" "ჩელსიში" გადადიოდით, ყველა ამბობდა, შევჩენკომ ერთი საფეხურით წინ წაინიაო. არადა, პირიქით გამოვიდა - "ჩელსი" ვერაფერს იგებს, "მილანი" კი ჩემპიონთა ლიგის ფინალშია...

- ჰო, მაგრამ განა მე "ჩელსიში" მხოლოდ ერთი სეზონისთვის გადავედი? დარწმუნებული ვარ, რომ წინ დიდი გამარჯვებები მელის.

- ყოველ შემთხვევაში, "ჩელსიმ" "მანჩესტერს" ვერაფერი დააკლო, "მილანმა" კი ყველას აჩვენა, თუ როგორ უნდა "მენიუს" დამარაცხება...

- და ვაღიარებ, რომ "მილანის" წარმატებამ ძალიან გამახარა, რადგან "როსონერიმ" "მანჩესტერთან" მართლაც გრანდიოზული ფეხბურთი აჩვენა. არადა, ხომ გახსოვთ, ფავორიტად ყველა "მანჩესტერს" მიიჩნევდა. "მილანი" ცოცხალი ორგანიზმია! ამ გუნდმა იცის, როდის შეუტიოს და როდის ითამაშოს დაცვითი ფეხბურთი, როდის მოუმატოს და როდის დააგდოს ტემპი და რაც მთავარია, როგორ მიაღწიოს შედეგს. მაგრამ ასეთ მატჩებში ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც გამოცდილებაა. როცა პაოლო მალდინიმ პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა, უეინ რუნი ჯერ დაბადებულიც კი არ იყო! არ შემიძლია, კომენტარის გარეშე დავტოვო ჩემი ახლო მეგობარი კაკა. ჩემი აზრით, რომ არა კაკა, "მილანი" ფინალში ვერ გავიდოდა და ამით ყველაფერი ნათქვამია.

- მოიგებს თუ არა "როსონერი" ფინალს?

- არ ვიცი, პროგნოზებში მოვიკოჭლებ. ყოველ შემთხვევაში, ჩემი აზრით, ფავორიტი "მილანია". მაგრამ ანჩელოტის გუნდი ორი წლის წინაც ფავორიტი იყო და ყველას კარგად გვახსოვს, რაც მაშინ დაგვემართა.

- დიახ, გვახსოვს, რომ გადამწყვეტი პენალტი ვერ გაიტანეთ...

- საქმე პენალტების სერიამდე არ უნდა მისულიყო! როცა 3:0-ს იგებ და საქმე მაინც პენალტებამდე მივა, წაგების ღირსი ხარ!

- სილვიო ბერლუსკონიმ, რომელიც თქვენი ვაჟის ნათლიაა, განაცხადა, შევას ადგილს ვუნახავო...

- "ჩელსის" ფეხბურთელი ვარ და მინდა, რომ კარიერა აქ, ლონდონში დავასრულო. ყველაფერი მაკმაყოფილებს. ჰო, ჩემზე ბევრი ინფორმაცია ვრცელდება, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ სიმართლეს არცერთი არ შეესაბამება. ჰო, ეს სეზონი ჩემს კარიერაში საუკეთესო არ იყო. სამაგიეროდ, გაისად ვეცდები, რომ ჩემი ფეხბურთი ვითამაშო. "მილანი" ჩემთვის უკვე წარსულია, ლამაზი წარსული.

გოტფრიდ ლენცი

მექსე უფრო მეტს ითხოვს

ფილიპ მექსესაა ტიტულოვანი რიგი ლებს ხელგაშლილობისაკენ მოუწოდებს. მისი თქმით, ფრანგ მცველს კლუბში დარჩენა უნდა, მაგრამ შეთავაზებული პირობების გაუმჯობესებას ითხოვს. "ჯალოროსის" ფეხბურთელთან თანამშრომლობის გაგრძელება სურს, მაგრამ მის მიერ აღთქმული ხელფასი საგრძნობლად ჩამოუვარდება იმ თანხას, რასაც მექსეს სხვა ევროპული კლუბები სთავაზობენ. რომაელები იტალიის თასისათვის ემზადებიან. მოლაპარაკებები მხოლოდ ამ თამაშის შემდეგ გაგრძელდება. ფილიპის კონტრაქტში კიდევ ერთი წელია დარჩენილი.

ამერიკას ბრედლი გაუძღვება

ბობ ბრედლი ამერიკის ნაკრების სრულფასოვანი მწვრთნელია. შარშანდელი მუნდიალის შემდეგ ამ სპეციალისტს დროებითი თავკაცი ერქვა. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა ოთხი მატჩი ჩაატარა, სამი მოიგო, ერთი წააგო, რვა გოლი გაიტანა და მხოლოდ ორი გაუშვა. ამერიკელებმა ყველაზე შთამბეჭდავ გამარჯვებას მექსიკასთან მიაღწიეს, 2:0. თამაშს არიზონის ქალაქ გლენდეილში 62 462 მაყურებელი დაესწრო. 49 წლის ბრედლის MLS-ის ისტორიაში ყველაზე მეტი, 124 მატჩის აქვს მოგებული. მისი საკლუბო კარიერა 12 წელს მოიცავს. 1998 წელს ბრედლიმ "ჩიკაგო ფაიერს" MLS-ის თასი მოაგებინა, გასულ სეზონში ის "ჩივას იუ ეს ეის" თავკაცი იყო და წლის საუკეთესო მწვრთნელის ტიტული მოიპოვა. მისტერ ბობი ეროვნულ გუნდში 2010 წლამდე იმუშავებს.

ვილიარეალი

მაკელელე და კაცურანისი ელ მადრიგალზე?

„ვილიარეალი" მომავალი სეზონისთვის სერიოზულად გაძლიერებას გეგმავს. ესპანური საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, „ყვითელი სუბმარინის" ხელმძღვანელობამ კლოდ **მაკელელესა** და **კონსტანტინოს კარაგუნისს** დაადგა თავლი. განსაკუთრებით საინტერესო, რა თქმა უნდა, „ჩელსის" გამოცდილი და ტიტულოვანი ნახევარმცველის შეძენის სურვილია.საქმეში უკეთ გარკვევის მინით, „ვილიარეალის" პრეზიდენტის, **ფრანსისკო როიგის** განცხადებას შემოგთავაზებთ: *„მაკელელე 34 წლისაა. მის კვალიფიკაციაზე საუბარი არანაირ საჭიროებას არ წარმოადგენს. ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო, „ჩელსიში" ის ძირითადი შემადგენლობის მოთამაშედ არ ითვლება. ნახევარდაცვაში ესიენი და მიკელი ასპარეზობენ. ჩვენ მზად ვართ, კლოდს საინტერესო კონტრაქტი და ძირითადში სისტემატურად თამაშის გარანტია შევთავაზოთ. იმედია, ის შემხვედრ ნაბიჯებს გადმოდგამს და მომავალი სეზონიდან „ელ მადრიგალზე" იასპარეზებს."*

საფრანგეთის ნაკრების ყოფილ ვარსკვლავს კმენტარი ჯერჯერობით არ გაუკეთებია. უცნობია, კონსტანტინოს კაცურანისის პოზიციაც, თუმცა ამ ორ საქმეს შორის ის განსხვავებაა, რომ „ატლეტიკოს" მესვეურები ბერძენი ნახევარმცველის გასხვისებას არ ეწინააღმდეგებიან. აი, „ჩელსის" ბოსებს კი როიგის ინიციატივაზე სიტყვაც არ დაუძრავთ.

მაკელელე კრაუჩის წინააღმდეგ

ვარსკვლავი

15 ათასიდან 50 მილიონამდე

კრისტიანო რონალდო: სხარტი ფეხებითა და დიდი გულით...

გასულ კვირას ლისაბონის ქუჩები ცარიელი იყო. პორტუში, ბრაგასა და სეტუბალშიც იმავე სურათს ნახავდით. ფანები ლუდხანებში შეყუჟულიყვნენ, დედები და მამები სახლში ტელევიზორებს მისხდომოდნენ. მიზეზი? სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. ფილმის პერსონაჟი ის ახალგაზრდა იყო, რომელიც 22 წლისა პორტუგალიის ეროვნული განძი გახდა. კრისტიანო რონალდო დოს სანტოს ავეიროზე ვსაუბრობთ. მას კარიერის ერთ-ერთი ყველაზე ღირშესანიშნავი კვირა დაუდგა. გასულ უქმეებზე პირველად გახდა ინგლისის ჩემპიონი და წლის საუკეთესო ფეხბურთელი. ამ უქმეებზე კი "უემბლიზე" გაემგზავრება და "ჩელსისთან" ასოციაციის თასისთვის იბრძოლებს.
"პლანეტა რონალდოს" შემქმნელები ექვსი თვის განმავლობაში აჩრდილივით უკან დაჰყვებოდნენ "მანჩესტერ იუნაიტედის" მე-7 ნომერს. ისინი მისი ცხოვრების უწვრილეს დეტალებს კინოფირზე აღბეჭდავდნენ. ასე შეიქმნა ფილმი, რომელიც რონალდოს კარიერის მიღწევებსა და ჩავარდნებზე გვიყვება. მას სერ ალექს ფერგიუსონი, ჟოზე მოურინიო და უეინ რუნი ახასიათებენ.

კრისტიანო რონალდო

"ის ბიჭი რონალდო" - ასე უწოდებენ კრისტიანოს "იუნაიტედის" ფანები. ხანმოკლე კარიერის განმავლობაში იმდენი წინააღმდეგობა გამოიარა, რომ სუსტი ნერვების ადამიანი დიდი ხნის წინათ ჩაიქნევდა ხელს. 12 წლის იყო, როცა აცრემლებული გამოეთხოვა მშობლიურ მადეირას და ოცნების ასახდენად ასობით მილის მოშორებით გაემგზავრა. სახლიდან შორს მყოფი ებრძოდა მარტოობას, ცრურწმენებსა და ქუჩის მძარცველებს. მაგრამ ნიჭმა თავისი გაიტანა. მან ლისაბონის "სპორტინგში" გაიბრწყინა, "იუნაიტედში" კი მსოფლიო დონის ვარსკვლავი გახდა.

რონალდოს სხარტი ფეხების მიღმა დიდი გულია. დღეს იგი 50 მილიონი გირვანქა ღირს. ისტორია კი ერთი უჩვეულო, 15-ათასიანი გარიგებით დაინყო. "ნასიონალ მადეირას" ყველასთვის უცნობი ფეხბურთელის, **ფრანკოს** ტრანსფერის გამო, ლისაბონის "სპორტინგის" ფული ემართა. მადეირელებს თანხის გადახდა არ უნდოდათ და დედაქალაქელებს 12 წლის რონალდო შესთავაზეს. "სპორტინგი" წინადადებას სკეპტიკურად შეხვდა, მაგრამ ხუთწუთიანი სახელდახელო სინჯები საკმარისი აღმოჩნდა, რათა რონალდოსთვის ლისაბონის ბილეთები შეეკვეთათ.

კრისტიანოს ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა. მისი ოჯახი აფრიკის სანაპიროებთან, შშობლიურ კუნძულზე დარჩა, თვითონ კი მშფოთვარე დედაქალაქს მიაშურა: *"იქამდე თვითმფრინავი მხოლოდ შორიდან მენახა. აეროპორტში ატირებული დედაჩემი რომ დავინახე, თვალები ამიცრემლიანდა. ლისაბონში ჩასულმა პირველ დღეებში ბევრჯერ ვიტირე. მადეირა ერთი ციცქნაა. დედაქალაქში კი ტრანსპორტის სიმრავლე და ხმაურიც კი მთრგუნავდა. "სპორტინგის" სტადიონის ერთ დიდ ოთახში ათნი ვცხოვრობდით. აქცენტის გამო მათ ჩემი, ხოლო მე მათი არ მესმოდა. სახლში ხშირად ვრეკავდი. მახსოვს სატელეფონო ბარათები და ისიც, თუ როგორ აკლდებოდა ბარათებს წუთები მშობლებთან, დებსა და ძმებთან საუბრის დროს... მნიშვნელობა არ ჰქონდა, როგორ მიჭირდა. მე ერთი მწველი ოცნება მქონდა."*

"ჩელსის" ბოსი **ჟოზე მოურინიო,** რომელიც იმხანად "პორტუს" დამრიგებელი იყო, იხსენებს: *"სპორტინგის" მატჩზე წავედი. პირველად მაშინ ვნახე მაღალი, ელეგანტური ბიჭი, რომელიც თავდასხმაში თამაშობდა. მისი სახელიც კი არ ვიცოდი. ასისტენტს მივუბრუნდი და ვკითხე, ვან ბასტენის შვილი ხომ არ არის-მეთქი."*

მაგრამ მწვრთნელი, რომელმაც რონალდოს ცხოვრება რადიკალურად შეცვალა, **სერ ალექს ფერგიუსონი** იყო. 2003 წლის ზაფხულში მან ყველასთვის უცნობი თინეიჯერი შეიძინა. ამ თინეიჯერს სახელგანთქმული **დევიდ ბექჰემი** უნდა შეეცვალა. ფერგი: *"სპორტინგთან" ამხანაგური მატჩი ჩავატარეთ. პირველი ტაიმის შემდეგ ფეხბურთელები გასახდელში შემოვიდნენ და მითხრეს, ის ბიჭი ვიყიდოთო. მათ არ იცოდნენ, რომ წინა საღამოს "სპორტინგის" დირექტორებს ამ საკითხზე ვეთათბირებოდი. ბრაიან რობსონის, ერიკ კანტონასა და დევიდ ბექჰემის 7-ნომრიანი მაისურა, რომელზეც ბევრს ეჭირა თვალი, რონალდოს მივეცით. "იუნაიტედში" გატარებული 20 წლის განმავლობაში არაერთი დიდებული ფეხბურთელი მყოლია, მაგრამ ნიჭითა და ფანტაზიით რონალდო საუკეთესოა მათ შორის. ორ წელიწადში წარმოუდგენელი პროგრესი განიცადა. ის ყოველდღე თავდაუზოგავად შრომობს."*

გასულ ზაფხულს რონალდომ პრემიერლიგიდან წასვლა დააპირა. მუნდიალზე პორტუგალია-ინგლისის მატჩისას **უეინ რუნის** გაძევება მას დაუბრალეს. კრისტიანომ იფიქრა, რომ "იუნაიტედს" ოდნავადაც არ აღელვებდა ეს ამბავი. რონალდო შეშინებული იყო და საკუთარი უსაფრთხოება სერიოზულად აღელვებდა. **ფერგიუსონი**: *"კრისტიანოს ინგლისთან თამაშის დასრულებისთანავე შევეხმიანე. პასუხი არ მიმიღია. მეგონა, ჩემს ზარებს არ პასუხობდა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ძველ ნომერზე ვურეკავდი. მას არცერთი შეტყობინება არ მისვლია. შეიძლება იფიქრა, რომ დავივიწყე. ტურნირის შემდეგ დევიდ ბეკი ("იუნაიტედის" აღმასრულებელი დირექტორი) და მე ვალ დო ლობოში გავფრინდით. კრისტიანოს არ დაუმალავს, რომ ანგარიშსწორების ეშინოდა. ავუხსენი, რომ 1998 წლის ზაფხულში ზუსტად ანალოგიური ამბავი გადახდა დევიდ ბექჰემს. მის ფიტულებსაც კი წვავდნენ. ვუთხარი, რომ ინგლისელი ფანები უფრო მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე აკეთებენ, რომ შეიძლება დიდი ხმაური ატეხონ, მაგრამ არავინ არაფერს დაუშავებს. სახლის გამოცვლაც შევთავაზე და როგორც იქნა, დავამშვიდე. "ჩარლტონთან" პირველი გასვლითი მატჩისას გამაყრუებელი სტვენა აუტეხეს, მაგრამ ერთ წუთში მეტოქის მცველი მოატყუა და ხარიხა შეაზანზარა. ფანებს ენა მუცელში ჩაუვარდათ. მათ საკუთარი თვალით იხილეს, რა დღეში ჩაადგო ამ ფეხბურთელმა მეტოქის გუნდი. კრისტიანოს ვუთხარი, კრიტიკოსები შენი ნიჭით უნდა ჩაჩუმო-მეთქი."*

რონალდომ გაბედული ნაბიჯი გადადგა. ის მანჩესტერში დარჩა და "რეალისა" და "ბარსელონის" სარფიანი წინადადებები უარყო: *"ბევრი ვიფიქრე. რჩევისთვის მეგობრებს, ოჯახის წევრებსა და აგენტს (ჟორჟე მენდეში) მივმართე. უკლებლივ ყველამ დარჩენა მირჩია, რათა ინგლისელი ფანების გული მომეგო. მე სწორედ ეს გავაკეთე."*

რონალდო ვარსკვლავური ტვირთისთვის ძალიან ახალგაზრდაა. ამ ტვირთის ტარებაში მას **უეინ რუნი** ეხმარება. **ბესტის, ლოსა** და **ჩარლტონის** შემდეგ არავიზე ულაპარაკიათ იმდენი, რამდენიც რონალდოსა და რუნიზე. თუ ისინი ხვალაც გაიბრწყინებენ, "ჩელსის" მანჩესტერელთა შეჩერება ძალიან გაუჭირდება.

რუნი ინტერვიუებს იშვიათად იძლევა, მაგრამ კრისტიანოსადმი მიძღვნილ ფილმში თვითონ ითხოვა გადაღება: *"ის (კრისტიანო) მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელობას იმსახურებს. მისთვის უთვალავჯერ დაუსტვენიათ, მაგრამ ერთ საიდუმლოს გაგანდობთ: ინგლისელი ფანები მხოლოდ საუკეთესოებს უსტვენენ. გულში ყველას უხარია, რომ ის პრემიერლიგაში თამაშობს. კარგია, რომ ახალი კონტრაქტი გააფორმა. ვეჭვობ, კონტრაქტი გასახდელში სარკის დაკიდებასაც ითვალისწინებს, რათა მან სარკეში ხშირად ჩაიჭყიტოს (იცინის)."*

2005 წელს რონალდოს მამა, **დინისი** გარდაიცვალა. ფეხბურთელი ამ თემაზე არასოდეს საუბრობს. დინისი ალკოჰოლს ეტანებოდა და ღვიძლის ქრონიკულმა ავადმყოფობამ შეიწირა. კრისტიანომ დიდი დრო და ფული დახარჯა იმისთვის, რომ მამას საუკეთესო კლინიკებში ემკურნალა, მაგრამ უშედეგოდ. 2005 წლის სექტემბერში, როცა ის პორტუგალიელთა შეკრებაზე იმყოფებოდა, მთავარმა მწვრთნელმა **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** ტრაგიკული ამბავი ამცნო. სკოლარი იხსენებს: *"მივხვდი, რომ კრისტიანოს მე უნდა დავლაპარაკებოდი. ძალიან განიცადა. ბევრი ვისაუბრეთ. მამაჩემის გარდაცვალება გავიხსენე. გავამხნევე და დავამშვიდე. მან მითხრა, რომ შინ რუსეთთან მატჩის შემდეგ გაემგზავრებოდა. მაშინ დავრწმუნდი, რომ რონალდო არა მხოლოდ დიდი ფეხბურთელია, არამედ დიდი ადამიანიც."*

ბიჭისთვის, რომელსაც პრეზიდენტის სახელი ჰქვია, ოჯახი ყველაფერზე მაღლა დგას. კრისტიანო მთელ შემოსავალს უძვირფასესი ადამიანებს ახმარს - დედა **დოლორესს,** ძმა **უგოსა** და დებს - **ელმასა** და **კატიას.** ოჯახის წევრები მთელ დროს ერთად ატარებენ. მამის გარდაცვალების შემდეგ რონალდო მათზე ორმაგად ზრუნავს: *"დედაჩემი მზარეული იყო. მთელი ცხოვრება მუხლჩაუხრელად შრომობდა. "მანჩესტერთან" კონტრაქტის გაფორმებისთანავე დავურეკე და ვუთხარი, რომ ამიერიდან აღარასოდეს მოუწევდა მუშაობა."*

კატია: *"ის არაჩვეულებრივი ძმაა. ყოველდღე გვირეკავს და გვკითხულობს. საშობაოდ მთელი ჩვენი ოჯახი და ახლობლები, დაახლოებით 30 ადამიანი, მასთან მანჩესტერში ჩავდივართ ხოლმე. მადეირაში ჩვენი სახლი კომფორტული იყო, მაგრამ პატარა. კრისტიანოსა და უგოს ერთი საძინებელი ჰქონდათ, გოგონებსაც ერთ ოთახში გვეძინა. დღეს ჩვენს სახლში ბევრი ოთახია. შეიძლება, საჭიროზე მეტიც კი. შარშანდელ შობას კრისტიანომ ულამაზესი საათი მაჩუქა. მე მისთვის საჩუქრები ყიდვა მიჭირს, იმიტომ, რომ უკვე ყველაფერი აქვს. ჰოდა, ბოლო დაბადების დღე ზე ჩემი ექვსი წლის შვილის, როდრიგოს სურათი ჩარჩოში ჩავსვი და ის ვაჩუქე. უნდა ნახოთ, როგორ ამაყობს თავისი დის შვილით."*

რონალდო და-ძმებში ყველაზე უმცროსია. 29 წლის კატია პოპვარსკვლავობას აპირებს. სასცენო სახელიც შერჩეული აქვს - რონალდა. მომდევნო დამ ელმამ მადეირაზე ტანსაცმლის მაღაზია გახსნა და მას სახელად CR7 დაარქვა. ჰუგო მადეირის სამოყვარულო გუნდის ფეხბურთელია.

ერთადერთი თემა, რომელსაც "პლანეტა რონალდო" არ აშუქებს, ვარსკვლავის პირადი ცხოვრებაა. სპეკულაციების თანახმად, კრისტიანოს ორ სახელგანთქმულ ქალბატონთან ჰქონდა რომანი. ერთი ბრიტანელი მსახიობი **გემა ატკინსონია,** მეორე ესპანელი ტელეწამყვანი **მერჩე რომერო,** მაგრამ რონალდო ამ ისტორიების საჯაროდ განხილვას არ აპირებს. რატომ ჰქვია მას რონალდო? ამ კითხვას ისევ კატია პასუხობს: *"იმიტომ, რომ მისი დაბადებისას ახალ ამბებში განუწყვეტლივ რონალდ რეიგანს ახსენებდნენ. ჰოდა, მამამ გადაწყვიტა, რომ ეს სახელი პორტუგალიურად შესანიშნავად ჟღერდა. პოლიტიკა არაფერ შუაშია. ჩემს მშობლებს წარმოდგენა არ ჰქონდათ, რეიგანი კარგი პრეზიდენტი იყო, თუ ცუდი. უბრალოდ, მისი სახელი მოეწონათ და..."*

გუშინწინ "მანჩესტერ იუნაიტედის" საკლუბო ჟურნალმა კრისტიანოს ინტერვიუ გამოაქვეყნა. ქვემოთ ამ ინტერვიუს შემოკლებული ვარიანტს გთავაზობთ. მოგეხსენებათ, "იუნაიტედის" ვარსკვლავმა პრემიერლიგის ყველა ინდივიდუალური ტიტული მოიხვეჭა. გასულ უქმეებზე კი ჩემპიონის ოქროს მედალიც გადასცეს. ეს მისი პირველი ჩემპიონობაა ინგლისში გადასვლის შემდეგ. კმაყოფილი რონალდო მიმომხილველს შთაბეჭდილებებს უზიარებს.

- ერთი თვის წინათ მანჩესტერთან ახალი კონტრაქტი გააფორმეთ...

- დიახ. მიხარია, რომ ეს საკითხი მოვაგვარე. შესანიშნავ კლუბში ვთამაშობ. აქ იმიტომ დავრჩი, რომ ტიტულები მოვიგო. ჩემი თანაგუნდელებიც ძალიან მონდომებულები არიან.

- ამბობდნენ, რომ თქვენი შეძენა "რეალსა" და "ბარსელონას" სურდათ. რითაა "მანჩესტერი" გამორჩეული?

- აქ ყველაფრით კმაყოფილი ვარ - კოლეგებით, მეგობრებით, მწვრთნელებით, კლუბის თანამშრომლებით. ისინი შესანიშნავად მეპყრობიან. ამის შედეგია, რომ დიდ პროგრესს მივაღწიე. "იუნაიტედში" 18 წლისა ჩავირიცხე. ოთხ წელიწადში ბევრი რამ ვისწავლე, მაგრამ კიდევ უფრო მეტის სწავლა შემიძლია.

- არაერთი ინდივიდუალური ჯილდო მოიპოვეთ. წარმოიდგენდით, რომ სეზონი ასეთი წარმატებული გამოვიდოდა?

- ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, მაგრამ სეზონი მხოლოდ ინდივიდუალური მიღწევებით არ ფასდება. აღიარება ყოველთვის სასიამოვნოა, მაგრამ არაფერი შეედრება ჯილდოს, რომელსაც თანაგუნდელებთან ერთად მოიპოვებ. ყველა ფეხბურთელმა თავდაუზოგავად იმუშავა.

- რა იყო განსაკუთრებული წლევანდელ სეზონში?

- ძნელი სათქმელია. ყოველთვის ვცდილობ, ადრინდელზე უკეთ ვითამაშო. ალბათ შარშანდელზე მეტი ცოდნა დავაგროვე. თანაც გიგზის, სქოულზისა და უეინის გვერდით თამაშმაც ბევრი რამ შემძინა. დღეს უფრო უკეთ ვიცი ფეხბურთი, ვიდრე რამდენიმე წლის წინათ. ცოდნა გამოცდილებასთან ერთად მოდის. მართალია, 22 წლის ვარ, მაგრამ თავს ბევრად უფრო მომწიფებულად ვგრძნობ.

- ინგლისთან სამუნდიალო მატჩზეც უნდა გკითხოთ. როგორ გაართვით თავი ფანების რეაქციას?

- დავიწყოთ იმით, რომ ინციდენტმა მენტალურად გამაძლიერა. ინგლისში დაბრუნებისას ჩემ თავს ჩავაგონე, რომ ზეწოლისთვის მზად ვიყავი. ზოგიერთი ფანის რეაქცია გადამეტებულად მომეჩვენა, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია. არ დაგიმალავთ, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რას იტყოდნენ "იუნაიტედის" ფანები. მათ სოლიდარობა გამომიცხადეს. ისინი გვერდში დამიდგნენ მეც და გუნდსაც. შესანიშნავია, როცა გრძნობ, როგორი ერთგული ფანები გიდგანან მხარში. მათი წყალობით ფეხბურთელებმა საკუთარი თავის ირწმუნეს და შედეგმაც არ დააყოვნა.

- სერ ალექსისა და კარლოსის (კეირუში, იუნაიტედის მეორე მწვრთნელი) ღვაწლს როგორღა აფასებთ?

- მათ მხარდაჭერასაც ყოველ წუთს ვგრძნობ. კარგია, რომ კარლოსი აქ არის და ჩემს ენაზე მელაპარაკება. სერ ალექსზე რაღა ვთქვა? მან უფრო მეტი გააკეთა ჩემთვის, ვიდრე ოდესმე წარმოვიდგენდი. ამ კლუბში მის გამო ვარ და მისთვის ვთამაშობ. ის დიდებული ადამიანია.

- მინდორზე თქვენს შესაძლებლობებს თავისუფლად იყენებთ. ამ თავისუფლებას სერ ალექსი განიჭებთ?

- დიახ, ის ყოველთვის მირჩევს, გავაკეთო ის, რაც ყველაზე უკეთ გამომდის. ამიტომაც ჩემს წლევანდელ წარმატებებს მწვრთნელის დამსახურებად მივიჩნევ.

- წლეულს 23 გოლი გაიტანეთ. ნახევარმცველისთვის ეს დაუჯერებელი მიღწევაა...

- გეთანხმებით, შესანიშნავი შედეგია, მაგრამ იმისთვის არ ვთამაშობ, რომ გინესის რეკორდების წიგნში შემიყვანონ. თანაც, სეზონი ჯერ არ დასრულებულა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შემიძლია, უფრო მეტი გავაკეთო.

- რომელი გოლი დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?

- ის, რომელიც "ფულჰემს" გავუტანე. ლამაზი გოლიც გამოვიდა და რაც მთავარია, მნიშვნელოვანი. ბოლო წუთები იყო და გავიმარჯვეთ.

- ასოციაციის თასი უკვე მოპოვებული გაქვთ. მაგრამ ეს პირველი ფინალი იქნება, რომელსაც "უემბლიზე" ჩაატარებთ...

- მოუთმენლად ველოდები ამ დიდებულ სტადიონზე თამაშს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰალეთბურთი

ლეგიონერები

საფლეიოფო ორომტრიალში

ცინცაძე კალევის წინააღმდეგ

საქართველოს ჩემპიონატის პარალელურად ფინალური სერია ესტონეთშიც გაჩაღდა. პირველობის ფავორიტმა, გიორგი ცინცაძის "ტარტუ როკმა" რეგულარული ჩემპიონატის მეორეადგილოსანი "კალევი" შინ მიიღო და მოულოდნელად ოვერტაიმში დამარცხდა - 88:93.

როგორც ჩანს "როკერებმა" შეხვედრისთვის სათანადოდ მომზადება ვერ მოახერხეს და თავიდანვე 0:7 ჩამორჩნენ. თუმცა **გიორგი ცინცაძისა** და **ტანელ ტეინის** სამქულიანების წყალობით მასპინძლებმა სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს და პირველმა ტაიმმა თანაბარ ორთაბრძოლაში ჩაიარა.

მესამე ათწუთეულის დაწყებისთანავე კალეველთა ლიდერმა **ტრევის რედმა** ჯერ 8:2 სპურტს ჩაუყარა საფუძველი, შემდეგ 10:1-ს და სტუმრები 59:45 დაწინაურდნენ.

და როცა ყველას შეხვედრის ბედი გადაწყვეტილი ეგონა, ცინცაძის პასებით, **კიკერპილმა** და **კუულმიაემ** ერთმანეთს სამქულიანები მიაყოლეს და საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე ორქულიანი უპირატესობა (75:73) მოიპოვეს, რომლის შენარჩუნება ბოლოს ველარ მოახერხეს და სირენასთან ერთად ანგარიში სტუმარმა **კრიისამ** გაათანაბრა – 78:78.

ოვერტაიმში "როკმა" ლიდერის, **მარტინ მიურსეპის** გარეშე ითამაშა (5 ფოლი მიიღო) და "კალევს" ფინალური სერიის პირველი გამარჯვება დაუთმო. მეორე მატჩი 19 მაისს ისევ "როკის" მოედანზე გაიმართება.

ახლა გიორგი ცინცაძის მონაგარზე. სასტარტო შემადგენლობაში მისი ადგილი ამჯერადაც **დევიდ ბეილიმ** დაიკავა, თუმცა მატჩის მიმოხილვიდანაც მიხვდებოდით, რომ ქართველი თამაშში მალევე ჩაერთო - "როკის" მხრიდან ანგარიში სწორედ გიორგიმ გახსნა, მაგრამ ისევე, როგორც მისი გუნდისთვის, ეს მატჩი არც ჩვენიანისთვის იყო საუკეთესო. მან 5 ორქულიანი, 3 სამქულიანი და 2 საჯარიმო ტყორცნიდან მხოლოდ თითო სროლა გამოიყენა და 6 ქულას, 3 პასსა და 1 მოხსნას დასჯერდა. ოქმის კითხვისას თვალი ძალაუნებურად ბუს კონკურენტ **დევიდ ბეილის** მონაგარისკენ გარბის. მისი სტატისტიკა ამ მატჩშიც ქსეროასლივით დაემთხვა გიორგისას – 6 ქულა (მანაც თითო ორი, სამი და საჯარიმო ტყორცნა გამოიყენა), 3 პასი.

სლოვენიის ჩემპიონატის ნახევარფინალში 6 ქულა იკმარა **მანუჩარ მარკოიშვილმაც**, თუმცა, მის "ოლიმპიას" შინ "სლოვანის" ძლევა არ გასჭირვებია – 84:80. მანუს თანაგუნდელებმა თავიდანვე მოიპოვეს უპირატესობა და შეხვედრა სასურველ ფინიშამდე მიიყვანეს.

ქართველმა ფორვარდმა "სლოვანის" წინააღმდეგ უჩვეულოდ ცოტა, 14 წუთი ითამაშა. ამის მიზეზი, შეიძლება ის იყოს, რომ **მარკოიშვილი** NBA-ს დრაფტზეა დამდგარი და მწვრთნელი ცდილობს, სეზონის ბოლოს მაინც მისცეს ამოსუნთქვის საშუალება.

"ოლიმპიას" თავკაცმა **გასპერ ოკორნმა** მანუჩარი მხოლოდ მნიშვნელოვან მომენტებში დატვირთა – მატჩის დასაწყისსა და ბოლო მეოთხედში. 14 წუთში ჩვენიანმა 6 ქულას თითო პასი-ჩაჭრა წაამატა.

შეგახსენებთ, რომ სლოვენიის ჩემპიონატის ნახევარფინალი ორ მოგებამდეა და "ოლიმპია" მეორე მატჩს "სლოვანის" მოედანზე 19 მაისს გამართავს.

ზემოთ ფინალზე და ნახევარფინალზე ვისაუბრეთ. რა დარჩა? – მეოთხედფინალი. იტალიის სერია A-ში სწორედ ამ ეტაპის ოთხი შეხვედრა გაიმართა: "მონტეპასკიმ" შინ "კანტუს" აჯობა, "რომამ" - "ნაპოლის", "მილანმა" - "ვარეზეს", ხოლო "ბოლონიამ" - "ბიელას".

ამ მატჩებიდან ქართველი მკითხველისთვის საინტერესო ორია - "მონტეპასკისა" და "ნაპოლის" თამაშები. პირველში **ვლადიმერ ბოისა** ირიცხება, მეორეში - საქართველოს ნაკრების წევრი **ტაირონ ელისი**.

ბოისას შემწეობით სიენელებმა იოლად დაამარცხეს "კანტუ" - 95:76. ქართველმა მე-7 ნომერმა 12 წუთში ბევრი რამე მოასწრო – 8 ქულა ჩააგდო, ბურთი ორჯერ მოხსნა, ერთი პასი ჩაიწერა და 5 პერსონალური შენიშვნა მიიღო.

"რომასთან" სტუმრად წაგებულ (57:73) შეხვედრაში სხვებზე უკეთ ითამაშა ტაირონ ელისმა. სხვათა შორის, იგი ერთადერთი ნეაპოლელი იყო, რომელმაც 10-ქულიანი ზღვარი დაძლია – 29 წუთში 4 სამქულიანს ერთი საჯარიმო მიამატა და 13 ქულას მოუყარა თავი. გარდა ამისა, ელისის ანგარიშზე 5 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემაა.

იტალიის პირველობაზე მეოთხედფინალური სერია სამ მოგებამდეა. "მონტეპასკი" და "ნაპოლი" მორიგ შეხვედრებს ისევ შინ, 19 მაისს გამართავენ.

მკითხველს ისიც დააინტერესებს, ვინ უნდა იყოს ნახევარფინალში სიენელთა და ნეაპოლელთა მეტოქე. სამწუხაროდ, თუ ორივე გუნდმა მომდევნო ეტაპზე გააღწია, ერთმანეთის პირისპირ სწორედ ბოისა და ელისი წარდგებიან. წესით, სიენელებს საკუთარ მატჩებზე მეტად "ნაპოლი"-"რომას" წყვილში გამარჯვებულის ბედი უნდა აღელვებდეთ, რადგან დედაქალაქელთა ნახევარფინალში გასვლა ნამდვილად არ უნდა აწყობდეთ – "რომა" "მონტეპასკის" ყველაზე უხერხული მეტოქეა: შარშან სიენელები მეოთხედფინალიდან სწორედ რომაელებმა გამოთიშეს, წლეულს იტალიის თასი დააკარგვინეს... ხოლო რეგულარულ ჩემპიონატში "მონტეპასკის" ოთხიდან ორი წაგება სწორედ "რომაზე" მოდის.

ნიკა ცქიტიშვილი

კახა ნიკას ახალ კონტრაქტს სთავაზობს

ნიკა ცქიტიშვილმა 2006-07 წლების სეზონი გასულ კვირას დაასრულა – მისი "კახა სან ფერნანდო" ესპანეთის ჩემპიონატის რეგულარული ეტაპის ბოლოს მე-10 პოზიციაზე აღმოჩნდა და ფლეი ოფში ვერ გააღწია.

გუშინ ესპანურმა გაზეთებმა "კახას" ოფიციალურ ვებ-გვერდზე დაყრდნობით გაავრცელეს ინფორმაცია ცქიტიშვილის სევილიაში დარჩენის თაობაზე: - გუნდის ორ წამყვან კალათბურთელს ნიკოლოზ ცქიტიშვილსა და **პატრიკ ფემერლინგს** სეზონის დასრულებასთან ერთად "სან ფერნანდოსთან" კონტრაქტის ვადა ამოეწურა. ვინაიდან კლუბის ხელმძღვანელობა მათ 2007-08 წლების სეზონში "კახას" გეგმებში მნიშვნელოვან ნაწილად მიიჩნევს, გადაწყვეტილი აქვს კონტრაქტის გახანგრძლივებაზე დაითანხმოს. ჯერ-ჯერობით, მოთამაშეთა პოზიცია უცნობია, თუმცა, სევილიელები აცხადებენ, რომ მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია და შედეგები მაქსიმუმ ორ კვირაში გახდება ცნობილი.

როგორც ხედავთ, ჯერი ნიკაზეა. მან ესპანეთში გადასვლისას პირველივე ინტერვიუში აღნიშნა, რომ სევილიაში დიდი ხნით გაჩერებას არ აპირებდა. თუმცა მოგვიანებით აზრი შეიცვალა და გვითხრა – აქაურობა ძალიან მომწონს, "კახაში" მეორე სეზონის გატარებასაც არ გამოვრიცხავ, მით უმეტეს, რომ მზარდი გუნდია და გაისად ევროტურნირებზე გასვლასაც აპირებსო...

აი, სწორედ ევროთასებზე არგასვლა შეიძლება იქცეს ნიკას მიერ სევილიის დატოვების ერთ-ერთ მიზეზად. როგორც შევიტყვეთ, ცქიტიშვილის სააგენტო "ინტერპერფომანსი" ამჟამად ქართველისთვის სწორედ ისეთ გუნდს ეძებს, რომელიც გაისად რომელიმე ევროტურნირზე იასპარეზებს. ამის მიზეზი ცქიტოს ზედმეტი ამბიციურობა არ გახლავთ. საქმე ისაა, რომ მას სათამაშო პრაქტიკა სჭირდება და ურჩევნია ისეთ გუნდში ითამაშოს, სადაც კვირაში ორი მატჩის ჩატარება მოუწევს – ერთი ევროტურნირებზე, მეორე შიდა ჩემპიონატში.

ვნახოთ, რა მოხდება.

სუმო

იოკოძუნამაც წააქცია

ხუთი შეხვედრა და ხუთი მარცხი, ასე ცუდად დაიწყო მაისის ბაშოზე ასპარეზობა **კოკაიმ**. გუშინდელი დღისგან გამარჯვებას ნაკლებად ველოდით, რადგან მეორე მაეგაშირას რანგში მოჭიდავე ქართველს თანამედროვეობის უდიდესი სუმოისტი ეჭიდავებოდა, თუმცა კოკაიმ ასაშორიუსთან ბრძოლა, უმალ, თითქმის უბრძოლველად დათმო 2,5 წამში. ჩვენი თანამემამულე ძალზე უმწეოდ გამოიყურებოდა დოჰიოზე იოკოძუნას წინააღმდეგ, არადა კოკაისა და ასაშორიუს დაპირისპირებები ხშირად ყოფილა თვალსასაერო. 0-5 ბალანსი არ კმაროდა და კოკაის დღესაც ოძეკი შეხვდება - ბულგარელი გოლიათი **კოტოოშუ** (4-1), რომელთანაც ლევანს 10-ჯერ უჭიდავია და მხოლოდ ოთხჯერ მოუგია.

ბაშოზე დაუმარცხებელ რიკიშთა რიცხვი შვიდამდე შემცირდა, შვიდეულში იოკოძუნა, სამი ოძეკი და სამი დაბალი დონის მაეგაშირა შედის.

სამაგიეროდ გვახარებს მაკუშიტას დივიზიონში მოჭიდავე **ლევან გორგაძე** (ტოჩინოშინი). მესამე ბროძლაში ტოჩინოშინმა იაკიგაია დაამარცხა იორიკირის ილეთით და 3-0 ბალანსით ლიდერთა შორისაა. ლევანი ჯერ არაა ძურიოს დივიზიონში გადასვლის ზონაში (მაკუშიტაში 28-ე ნომერია), თუმცა ამ ბაშოს წარმატებით დასრულების შემთხვევაში ის სწორედ ამ ზონაში მოხვდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ნაცუ ბაშო

(მაისის სუპერტურნირი)

13-27 მაისი, ტოკიო (იაპონია)

V დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-ასაშორიუ 0:1 (იორიკირი), ჰაკუჰო-ჰომაშო 1:0, კოტოოშუ-კაკიძოე 1:0, კაიოტოიონოშიმა 1:0, ჩიოტაიკაი-ტამანოშიმა 1:0, ტოკიტენკუ-კოტომიცუკი 1:0, კოტოშოგიკუ-ამა 1:0, კისენოსატო-ტოკიცუუმი 1:0, ამინიშიკი-ტოჩიოძანი 1:0, ტაკეკაძე-ტაკამისაკარი 1:0, როჰო-კაკურიუ 1:0, ვაკანოსატო-კასუგაო 1:0, ასასეკირიუ-ტოჩინონადა 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 5-0: ასაშორიუ (იოკოძუნა), ჰაკუჰო (ოძეკი), კაიო (ოძეკი), ჩიოტაიკაი (ოძეკი), ასასეკირიუ (მაეგაშირა 8), დეჯიმა (მ 10), ფუტენო (მ 13); 4-1: კოტოოშუ (ოძეკი), კოტომიცუკი (სეკივაკე), ამინიშიკი (მ 4), რიუო (მ 14), ჰოკუტორიკი (მ 16), ... 0-5: კოკაი (მ 2)

VI დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი-კოტოოშუ, ასაშორიუ-კაკიძოე, კაიოტამანოშიმა, ჩიოტაიკაი-ამინიშიკი, ჰაკუჰო-ამა, კოტომიცუკი-ჰომაშო, ტოიონოშიმა-კოტოშოგიკუ, ტოკიტენკუ-ტოჩიოძანი, კისენოსატო-ტაკეკაძე, როჰო-კასუგაო, მიაბიამა-ტოკიცუუმი, დეჯიმა-ვაკანოსატო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ლელო N 56, 2006

ქართული სპორტი 1981-1990 წლებში

გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრისთვის ქართული სპორტის მატერიალური საფუძვლები მყარად იყო განმტკიცებული. სისტემა სრულყოფილად მუშაობდა. უკვე 1984 წელს ივარაუდებოდა, რომ მომავალი წელი უფრო ბარაქიანი იქნებოდა სპორტული მონაგრის თვალსაზრისით. სულ უფრო მტკიცდებოდა რწმენა, რომ თაობათა მემკვიდრეობითობის პროცესი უმტკივნეულოდ ჩაივლიდა, რომ სამი წლის შემდეგ, კერძოდ 1988 წელს, სეულის ზაფხულის ოლიმპიადაზე, არა მხოლო სოლიდურად წარვდგებოდით საბჭოთა ნაკრებში, არამედ მსოფლიოს სპორტული სამყარო ახალ სახელებსაც გაიცნობდა.

სპორტულ ღონისძიებათა სიმრავლემ მედლების სიუხვეც განაპირობა, რაოდენობა კი, თავის მხრივ, ხარისხში გადაიზარდა. ეს იყო მთავარი. როგორც ქვემოთ ვნახავთ, 1985 წელს საქართველოს ათლეტები ღირსეულად გამოვიდნენ უმაღლესი რანგის სხვადასხვა ასპარეზობაში და ვინმეს რომ მოეხდინა შედარება, ალბათ, მსოფლიოს ყველაზე მოწინავე სპორტულ ქვეყნებს შორის დავიმკვიდრებდით ადგილს. ახლა კი კონკრეტულად...

ძიუდო. თბილისის ტრადიციული, რიგით XVI საერთაშორისო ტურნირი საქართველოს ნაკრებისთვის სენსაციური შედეგით დასრულდა - საპატიო კვარცხლბეკზე ჩვენი 10 სპორტსმენი დადგა. უმაღლესი ჯილდო ოთხმა დაიმსახურა - **რამაზ მარგველანმა** (65), **გიორგი თენაძემ** (71), **მალხაზ ბერუაშვილმა** (95) და **აკაკი კიბორძალიძემ** (მძიმე); ვერცხლის პრიზიორები გახდნენ: **ბორის ფირცხელანი** (86) და **კობა კურტანიძე** (95), ბრინჯაოს მედლები მიიღეს **ლერი ნაკანმა** (71), **ჯემალ მჭედლიშვილმა** (86), **შოთა ხაბარელმა** (78) და **ნუგზარ დავითაშვილმა** (მძიმე). შემდეგ კურტანიძემ პარიზის საერთაშორისო ტურნირშიც მოიპოვა ვერცხლის ჯილდო. მერე იყო ბუდაპეშტის ტურნირი, სადაც კურტანიძე უკვე ოქროს მედალს დაეუფლა, აბსოლუტურში კი მესამე ადგილზე გავიდა. ამავე ტურნირში ასევე მესამე იყო **შოთა ხაბარელი**. პოტსდამის ტურნირი მოიგო **თამაზ ნამგალაურმა** (71), მარგველანს კი ბრინჯაოს მედალი ხვდა წილად. იგივე ჯილდოს ჰელსინკის ტურნირში **ვალერი პარუნაშვილი** დაეუფლა.

ძიუდოისტთა საკავშირო ჩემპიონატი მუდამ მაღალი დონით გამოირჩეოდა. არც 1985 წლის ასპარეზობა ყოფილა გამონაკლისი. უძლიერესები ჩელიაბინსკში შეიკრიბნენ. ხაბარელმა და კურტანიძემ ჩემპიონის ტიტული დაიმსახურეს, იგივე წარმატება ხვდა წილად ნაკანს, მაგრამ ის უკვე უკრაინის სახელით ასპარეზობდა. თენაძის მონაგარი ამ ტურნირში ვერცხლის მედალი იყო. ევროპის ჩემპიონი ქართველებიდან მხოლოდ ერთი ათლეტი გახდა - **თამაზ ნამგალაური**. ამჯერად, ეს ტიტული მან მეორედ მოიპოვა (ნორვეგია). ნამგალაურმა და ხაბარელმა, სსრკ ნაკრებში, ევროპის გუნდური პირველობაც მოიგეს (ბელგია).

იაპონიის ქალაქი კობე XIII მსოფლიო უნივერსიადის ეპიცენტრად იქცა. თენაძემ და კურტანიძემ საბჭოთა ნაკრებში ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. დავითაშვილი კი სოფლის სპორტსმენთა ზაფხულის საკავშირო სპორტულ თამაშებში (ბაქო) ასევე მესამე ადგილზე გავიდა. როსტოკში (გდრ) გამართული სოცქვეყნების საერთაშორისო ტურნირიდან ოქროს მედლებით დაბრუნდნენ **დავით დემეტრაშვილი** (62) და **ვალერი პარუნაშვილი, დავით ბაგაურის** (83) წილად კი ბრინჯაოს მედალი მოდიოდა.

საქართველოს ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა სსრკ თასის გათამაშებაში (ტაშკენტი) და მთავარ პრიზს დაეუფლა, დაამარცხა რა ფინალში რსფსრ-ის ნაკრები - 9:5.

1985 წელს მრავლად ჩატარდა აგრეთვე ტურნირები ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის. თბილისმა მოზარდთა შორის ა. კიკნაძის სახელობის საკავშირო ტურნირს უმასპინძლა. პირველ ადგილზე გავიდნენ **ტ. მუთოშვილი** (53), **ვ. პარუნაშვილი** (57), **დ. კაპანაძე** (62), **ტ. საკაშვილი** (68), **გ. ჯიოშვილი** (75), **კ. გურეშიძე** (83) და **ჯ. ნარიმანაშვილი** (მძიმე). ალმა-ათაში პირველად გავიდნენ სარბიელზე სპორტულ სკოლა-ინტერნატთა აღსაზრდელები. თავიანთ წონით კატეგორიებში ბადალი არ ჰყავდათ **ზურაბ ონიანს, კობა თათარაშვილს, ალექსანდრე მირზაშვილსა** და **ზაზა მარჯანიძეს**. მეორე იყო **ვეფხია კაპანაძე**, მესამე **გერასიმე ხაბულიანი**. და, რაც მთავარია, საქართველოს ნაკრები, რომელიც გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატის ჭაბუკებით იყო დაკომპლექტებული, გუნდურ პირველ ადგილზე გავიდა. ბრიანსკში, ჭაბუკთა საკავშირო ტურნირში გაიმარჯვეს **ვლადიმერ ნუცუბიძემ** (49), **გიორგი გინტურმა** (68) და **გიორგი ძაგანიამ** (მძიმე). ჭაბუკთა პირველი საკავშირო სპორტული თამაშების (კიევი) პროგრამით გათვალისწინებულ ასპარეზობაში **ამირან ტოტიკაშვილი** (53), **ალექსი ძავაშვილი** (75) და **დავით ბაგაური** ოქროს მედლებს დაეუფლნენ, მეორე ადგილზე გავიდა **ზაზა დაბრუნდაშვილი** (მძიმე), **ზურაბ ონიანი** (62) კი მესამე იყო.

ახალგაზრდული ასპარეზობებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო უნგრეთში გამართული საერთაშორისო ტურნირი - "მეგობრობა". სსრკ ნაკრებში, აბსოლუტურ წონაში, უძლიერესის ტიტული ხვდა **ვალერი პარუნაშვილს**, მეორე პრიზიორი გახდა **გელა ბერუაშვილი** (90). ამავე ასაკში, რუმინეთის საერთაშორისო ტურნირზე, პირველობა მოიპოვა **თამაზ ნავერიანმა** (78), **ვახტანგ ჯაფარიძე** (60) და **პაატა ჭელიძე** (მძიმე) კი მესამე პრიზიორები გახდნენ.

1968-69 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა საკავშირო პირველობაზე სამმა ქართველმა - **ამირან ტოტიკაშვილმა, დავით დემეტრაშვილმა** და **დავით ბაგაურმა** კიდევ ერთ ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს - მათ ოქროს მედლები ხვდათ წილად; **ვალერი პარუნაშვილი** მეორე იყო, **ალექსანდრე დონღუზაშვილი** (83) - მესამე. გუნდი კი II ადგილზე გავიდა. ავთანდილ გუბელაძე ახალგაზრდული საკავშირო პირველობის ოქრო ორ მედალს ეუფლება მძიმე და აბსოლუტურ წონით კატეგორიებში. ეს მაღალი ჯილდო გადაეცა ბერუაშვილსაც, ჯაფარიძე და **გიორგი მუმლაძე** (86), შესაბამისად, მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ. **კობა კურტანიძემ** ჩელიაბინსკში გამართულ ახალგაზრდულ საკავშირო პირველობაზეც იასპარეზა და **ენგურ გოგიჩაშვილთან** (78) ერთად პირველობაც იზეიმა. კურტანიძემ, გარდა მძიმე წონაში გამარჯვებისა, აბსოლუტურ წონაში ვერცხლის მედალიც მოიგო, მესამე იყო დავითაშვილი. იმ წელს, 1969-71 წლებში დაბადებულთა შორის საკავშირო პირად-გუნდური პირველობა სპორტსაზოგადოებათა ნაკრებ გუნდებს შორისაც ჩატარდა. აქ ვერცხლის მედლები დაიმსახურეს **ზ. მარჯანიძემ** (83) და **ზაზა დაბრუნდაშვილმა**; ბრინჯაოსი - **ა. ტოტიკაშვილმა, მ. აბუაშვილმა** (57) და **მ. ლობჟანიძემ** (83).

იუნიორ ძიუდოისტთა ევროპის პირველობაზე (შვეიცარია) საკავშირო ნაკრებში ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ **ჯაფარიძე, ბერუაშვილი** და **გუბელაძე**.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ყველაზე თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ საერთაშორისო სარბიელზე უკვე საქვეყნოდ ცნობილი ფალავნები. **თეიმურაზ აფხაზავა** (82), მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის რანგში, ჯერ შვედეთის დიდ საერთაშორისო ტურნირს, შემდეგ ტოკიოს სუპერთასს იგებს, ხოლო სტოკჰოლმში მსოფლიო თასსაც ეუფლება. მარტყოფელმა **ზაურ ივანიშვილმა** (90) იუნიორთა საკავშირო პირველობაზეც (ტალინი) იმარჯვა, მერე არც სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშებში (ბაქო), არც საერთაშორისო ტურნირებში (პარიზი და კოლორადო-სპრინგი) დაუთმია ოქროს მედლები თავის წონაში. ევროპის ჩემპიონატის (ლაიფციგი) ბრინჯაოს მედალს დარუნაშვილი (57), **დ. კაპანაძე** (62), **ტ. საკაშვილი** (68), **გ. ჯიოშვილი** (75), **კ. გურეშიძე** (83) და **ჯ. ნარიმანაშვილი** (მძიმე). ალმა-ათაში პირველად გავიდნენ სარბიელზე სპორტულ სკოლა-ინტერნატთა აღსაზრდელები. თავიანთ წონით კატეგორიებში ბადალი არ ჰყავდათ **ზურაბ ონიანს, კობა თათარაშვილს, ალექსანდრე მირზაშვილსა** და **ზაზა მარჯანიძეს**. მეორე იყო **ვეფხია კაპანაძე**, მესამე **გერასიმე ხაბულიანი**. და, რაც მთავარია, საქართველოს ნაკრები, რომელიც გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატის ჭაბუკებით იყო დაკომპლექტებული, გუნდურ პირველ ადგილზე გავიდა. ბრიანსკში, ჭაბუკთა საკავშირო ტურნირში გაიმარჯვეს **ვლადიმერ ნუცუბიძემ** (49), **გიორგი გინტურმა** (68) და **გიორგი ძაგანიამ** (მძიმე). ჭაბუკთა პირველი საკავშირო სპორტული თამაშების (კიევი) პროგრამით გათვალისწინებულ ასპარეზობაში **ამირან ტოტიკაშვილი** (53), **ალექსი ძავაშვილი** (75) და **დავით ბაგაური** ოქროს მედლებს დაეუფლნენ, მეორე ადგილზე გავიდა **ზაზა დაბრუნდაშვილი** (მძიმე), **ზურაბ ონიანი** (62) კი მესამე იყო.



ლერი ხაბელოვი



დავით გობეჯიშვილი

ეუფლა რუსთაველი **თემურ ყაზარაშვილი** (48). ბაქოში ჩემპიონი **გურამ გედეხაურიც** გახდა, კოლორადო-სპრინგში კი ივანიშვილთან ერთად გამარჯვება იზეიმეს ბათუმელმა **ჯემალ ბაკურიძემ** (74) და **თენგიზ თედორაძემ** (100). ბაკურაძემ მოიგო აგრეთვე იუნიორთა საკავშირო პირველობა ტალინში. თედორაძე კი ჭაბუკთა პირველი საკავშირო თამაშების (კიევი) ჩემპიონიც გახდა, ამავე ჯილდოს დაეუფლა **ზურაბ კურდღელაშვილიც** (65). ჭაბუკებმა კარგად წარმოაჩინეს თავი აგრეთვე სხვა შეჯიბრებებში. 1968-70 წლებში დაბადებულთა საკავშირო ტურნირში პირველი დაგილი დაიკავეს **გიგლა კოდოევმა** (48), **თამაზ გუდაძემ** (60), **დავით აბრამიშვილმა** (69) და **მალხაზ მამუჩიშვილმა** (74); მეორე პრიზიორთა შორის იყვნენ **გია ფილაური** (45), **თამაზ ახობაძე** (52) და **მურად იმედაძე** (87); მესამე ადგილზე გავიდნენ **ამირან ჯოხაძე** (60) და **ზურაბ ბეზარაშვილი** (74). "იმედის თასზე", რიგაში გამართულ ასპარეზობაში, ქართველი ჭაბუკებიდან პირველობა წილად ხვდათ **გიორგი ივანიშვილს** (41), **გელა პაპაშვილს** (44), **ლევან ბეროზაშვილს** (71), **გიორგი სულთანიშვილს** (81) და **გიორგი გადაბაძეს** (87); მეორე ადგილზე გავიდა **მამუკა მელაძე** (მძიმე). ტირასპოლში კი, ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე, შედეგები ასეთი იყო: პირველი ადგილები - **კობა ოჩიგავა** (75) და **ავთანდილ ანდღულაძე** (87); მეორე - **ზაალ ბერაია** (87) და **პაატა ბერაძე** (მძიმე); მესამე - **მურმან რუბაშვილი** (52), **კობა გულიაშვილი** (60) და **კარლო ზახაიანი** (71).

ტულაში, ჭაბუკთა საკავშირო ტურნირი ორ ასაკობრივ ჯგუფში გაიმართა. უმცროსებში გამარჯვებული 6 მოზარდი იყო - **მიხეილ გაგნიძე** (38), **თეიმურაზ სისაური** (41), **გიგლა კოდოევი** (50), **ქართლოს კოზაევი** (71), **დავით აბრამიშვილი** (76) და **მურად იმედაძე** (81); უფროსებში - **გელა პაპაშვილი** (42), **ნოდარ ხუნძაკიშვილი** (52), **თამაზ ახობაძე** (56), **კობა ჟვანია** (64) და **მალხაზ მამუჩიშვილი** (80). ერთმანეთის მიყოლებით ჭაბუკთა საკავშირო ტურნირები გაიმართა კიშინიოვსა და რიგაში. საქართველოდან ასპარეზობა ოქროს მედლებით დაასრულეს: კიშინიოვში - **ჯემალ მეზვრიშვილმა** (მძიმე), რიგაში - **ქართლოს კოზაევმა** და **მამუკა გაჩეჩილაძემ** (76); ვერცხლის პრიზიორები გახდნენ: კიშინიოვში - **რამაზ გუდაძე** (65), **ლევან ბეროზაშვილი** (70) და **უშანგ ქობულოვი** (75); რიგაში - **ვეფხია ანთაძე** (მძიმე).

დავუბრუნდეთ ჭაბუკთა პირველ საკავშირო თამაშებს. ოქროს მედალსნებზე ზემოთ ითქვა. მოპოვებულია კიდევ ბრინჯაოს 5 ჯილდო, რომელიც **ზურაბ სამხარაძის** (75), **იაგო ხუნაშვილის** (81), **ავთანდილ ანდღულაძის** (87), **პაატა ბერაძისა** (97) და **დავით სანოძის** (მძიმე) წილად მოდის. ამასთან, საქართველოს ნაკრები გავიდა გუნდურ პირველ ადგილზე. ტალინში გამართულ იუნიორთა ტურნირში გამარჯვებულები ზემოთ უკვე გაგაცანით. ვერცხლის მედალი ცხაკაიელმა **გურამ შონიამ** (100) მოიპოვა, ბრინჯაოსი - ასევე ცხაკაიელ **გიორგი მაკალათიას** (82) ხვდა წილად. ჩვენი ნაკრები მესამე ადგილზე გავიდა.

ახლა დარგობრივ ასპარეზობათა შესახებ. რკინიგზელთა მსოფლიო ჩემპიონატი (პარიზი) მეორედ მოიგო **დავით ლატარიამ** (74), **ზაალ ყუბუსიძე** (82) კი პირველად გახდა ჩემპიონი. პროფკავშირების საკავშირო პირველობაზე (ხარკოვი) ობალაგაზრდებს შორის **რამაზ გუდაძემ** (62) მოიპოვა უძლიერესის სახელი. სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობის ჩემპიონები, როგორც ვთქვით, გახდნენ ივანიშვილი და გედეხაური. წარმოგიდგენთ ვერცხლისმედალოსნებსაც: **გია მერაბიშვილი** და **ვახტანგ დონღუზაშვილი**. დაბოლოს, ყრუთა საკავშირო ჩემპიონატი. აქ მეშვიდედ დაეუფლა ჩემპიონის ტიტულს თბილისელი **რამინ ფოლადაშვილი** (82).

თავისუფალი ჭიდაობა. თბილისის XXIV საერთაშორისო ტურნირზე **ლერი ხაბელოვმა** (100) ფინალში ქულებით სძლია მსოფლიო ჩემპიონს, ლენინგრადელ **პ. ნანიევს** და ოქროს მედალი დაისაკუთრა. შემდეგ ამ უნიჭიერესმა ფალავანმა მოიგო გერმანიის საერთაშორისო ტურნირი, გახდა სსრკ კავშირის (ირკუტსკი), ევროპის (ლაიფციგი) და მსოფლიო (ბუდაპეშტი) ჩემპიონი. ხსენებულ ასპარეზობებში, ასევე სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა ლეგენდარული **დავით გობეჯიშვილი** (მძიმე). მანვე გაიმარჯვა სოფიაში, "დან კოლევის მემორიალზე". მაღალი რანგის ამ ტურნირებამდე იყო სხვა მნიშვნელოვანი შეჯიბრებებიც. სოხუმში სსრკ თასი გათამაშდა. **ეგია მუსოიანმა** (57) მოიგო ოქროს ორი მედალი (პირადსა და გუნდურში), გუნდურში გაიმარჯვა აგრეთვე **ლევან ებანოიძემ** (მძიმე). მსოფლიო თასს (კრასნოიარსკი) **ვლადიმერ მოდოსიანი** (82) დაეუფლა სსრკ ნაკრებში. ბათუმში იასპარეზეს პროფკავშირების საკავშირო პირველობის მონაწილეებმა. **გია ოქროპირიძე** (90) და **კობა ლოჩოშვილი** (მძიმე) პირველ ადგილზე გავიდნენ, **ემზარ გვიჩიანი** (57) და **ზურაბ კასაევი** (82) - მეორეზე. გერმანელში, საკავშირო "დინამიადაზე", გამარჯვება მოიპოვა **სოლომონ აბაშვილმა**. ულან-ბატორი (მონღოლეთი), მეგობრული არმიების თასის გათამაშება - **გივი ქენქაძე** (68) მეოთხედ ეუფლება მთავარ პრიზს თავის წონაში. ტიტო-ველე (იუგოსლავია) საერთაშორისო ტურნირს მასპინძლობდა. საკავშირო ნაკრებში მედლები დაიმსახურეს კასპელმა **გოჩა გაბოძემ** (68) - ოქროსი; ვანელმა **ზაზა ტყეშელაშვილმა** (100) - ვერცხლის; თბილისელმა **დავით გიორგაძემ** (74) და რუსთაველმა **კობა ლოჩოშვილმა** (მძიმე) - ბრინჯაოსი. სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშებში (ბაქო) ორი გამარჯვებული იყო საქართველოდან - **დავით ხურცია** და **კობა ლომიძე**, მეორე ადგილზე **მალხაზ თოლორდავა** გავიდა, მესამეზე - **გიორგი ჭარხალაშვილი**. ნაკრები მეორე ადგილს დასჯერდა. ხურციამ შემდეგ "დრუჟბას" ტურნირიც (ფხენიანი, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა) მოიგო. აქ მეორე იყო **არსენ მაისურაძე** (87). ყრუთა შორის სსრკ პირად-გუნდურ ჩემპიონატში, რომელიც თბილისში გაიმართა, მასპინძლებმა 7 მედალი მოიპოვეს. ოქროსი - **ზაურ ალბოროვმა** (48), **ვალერი კარიბოვმა** (62) და **რამინ ფოლადაშვილმა** (82), ვერცხლის - **ვიქტორ მუსაევმა** (57), **ვლადიმერ პლიევმა** (74) და **ოლეგ აკოფოვმა** (100), ბრინჯაოსი - **ნიკოლოზ ზაპოროჟეცმა** (მძიმე). ჩვენი გუნდი (მწვრთნელი **ელდარ სხირტლაძე**) რსფსრ-ის ნაკრების შემდეგ მეორე ადგილზე გავიდა.

ჭაბუკთა პირველი საკავშირო თამაშების (კიევი) ლაურეატები გახდნენ **დავით ხურცია** (75), **არსენ მაისურაძე** (87) და **კობა ლოჩოშვილი** (მძიმე); მეორე ადგილი ხვდათ წილად **ანზორ გოგრიჭიანსა** (75) და **ლევან ებანოიძეს** (მძიმე), მესამე - **კობა კუპატაძესა** (97) და **ხვიჩა საბაშვილს** (60). გუნდურ პირველობაში საქართველოს ნაკრები მეორე იყო.

მუსოიანმა, გიორგაძემ და **ებანოიძემ** თავი იუნიორთა საკავშირო პირველობაშიც (კიროვაკანი) გამოიჩინეს და ოქროს მედლები დაისაკუთრეს. მეორე პრიზიორთა შორის მოხვდნენ **რამაზ თოლორდავა** (82) და **თამაზ ინდუაშვილი** (90); მესამეზე გავიდნენ **გიგლა გულბანი** (82), **ვახტანგ სულთანაშვილი** (90), **ზაზა ტყეშელაშვილი** და **კობა ლოჩოშვილი**. შემდეგ, **მუსოიანი** მეორედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ახალგაზრდებში (კოლორადო-სპრინგი). აქ ვერცხლის მედალი დაისაკუთრა **თამაზ ინდუაშვილმა** (90). ევროპის სარბიელზე (ბოლონია) კი, ასევე ახალგაზრდებში, უძლიერესის სახელი მოიხვეჭა **ებანოიძემ**. **ინდუაშვილმა** მოიგო ბულგარეთის ახალგაზრდული საერთაშორისო ტურნირი. **ავთანდილ გოგოლიშვილი,** რომლიც მაშინ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი იყო, 1963-65 წლებში დაბადებულთა საკავშირო პირველობის (ყარაგანდა) გამარჯვებულია. "თეთრი ღამეების" პრიზზე (ლენინგრადი) გამართულ ჭაბუკთა საკავშირო ტურნირის საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დადგნენ **დავით რჩეულიშვილი** (45), **ზურაბ მესხი** (64), **მამუკა ტაბუცაძე** (74) და **დავით სხირტლაძე** (87); მეორე ადგილი წილად ხვდათ **ლევან გაბარაევს** (60), **ალან ბოლოთაევს** (69) და **რევაზ გოგოშვილს** (74); მესამე - **ნუგზარ გულიაშვილს** (69). ევროპის რჩეული ჭაბუკები კი ბოლონიაში, კონტინენტის პირველობაზე შეიკრიბნენ. აქ **ებანოიძე** პირველი იყო, **აბაშვილი** - მესამე. ორივე ჩვენს სპორტსმენს ოქროს მედალი, გუნდურ შეჯიბრებაში, საბჭოთა ნაკრების გამარჯვებისთვისაც ერგო.

დაბოლოს, კალუგა. პროფკავშირების საკავშირო პირველობა ჭაბუკთა შორის. აქ ყველა შეხვედრა მოიგეს და პირველობა მოიპოვეს **კობა გიორგაძემ** (62) და **მერაბ ვალიევმა** (97).

სამბო. სოხუმელი **სერგი ტერნოვიხი** (57) მეორედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი (ესპანეთი). ლენინგრადში, სსრკ ჩემპიონატის ფინალში კი, ტრავმა მიიღო და მეორე ადგილს დასჯერდა. სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშების (ბაქო) პროგრამით გამართულ ტურნირში **ზაურ ხობელია** (82) მეორე ადგილზე გავიდა, **ნოდარ ბუზარიაშვილი** (მძიმე) - მესამეზე.

ახალგაზრდების საკავშირო პირველობა, ბრიანსკი. გამარჯვებულთა შორისაა ქუთაისელი **ავთანდილ გუბელაძე** (მძიმე), მეორე ადგილზეა მცხეთელი **მამუკა წინამძღვრიშვილი** (82), მესამეზე - თბილისელი **იოსებ ჯიჩოშვილი** (მძიმე). ჭაბუკთა საკავშირო თამაშების (კიევი) ჩემპიონები გახდნენ ახმეტელი **დავით გაგუნაშვილი** (48) და საგარეჯოელი **ბადრი ბასილაშვილი** (56); ვერცხლის მედალი დაიმსახურეს **ვახტანგ ჯაფარიძემ** (65) და **ალექსანდრე დონღუზაშვილმა** (97); ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდნენ **კახაბერ ქურასბედიანი** (52) და **კახაბერ ჟივიძე** (65).

ქართული ჭიდაობა. 1985 წლის საქართველოს ფალავნის ტიტული დაიმსახურა **ჯემალ მჭედლიშვილმა**.

გაგრძელება იქნება
თენგიზ გაჩეჩილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი

რა განსხვავებაა ნორვეგიასა და საქართველოს შორის?

საქართველოს წამყვანი კლუბების მწვრთნელები – ირაკლი კეკელიძე (სტუ-"თელავი") და მამუკა მჟავანაძე ("თბილისი") დაბრუნდნენ ნორვეგიიდან, სადაც მწვრთნელთა სემინარებში მიიღეს მონაწილეობა. მათ ნორვეგიულ შთაბეჭდილებებზეც გვიამბეს და ეროვნული ჩემპიონატის ხვალინდელ საპასუხო ფინალურ მატჩზეც ისაუბრეს.

ირაკლი კეკელიძე

- ნორვეგიაში საკმაოდ მაღალი დონის, ფრიად სასარგებლო სემინარები ჩატარდა, სადაც არაერთი სიახლე გავიგეთ. სემინარებს ატარებდნენ ნორვეგიის ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, რომელმაც გუნდი ევროპის ჩემპიონი გახადა, მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ სლოვენიის ყოფილი თავკაცი, ცნობილი ესპანელი სპეციალისტი – დოქტორი ხუან გარსია, ორი ადგილობრივი, ერთი ხორვატი და ერთიც დანიელი მწვრთნელი. მათ წაგვიკითხეს ლექციები და ჩაატარეს ვარჯიშები. სემინარებით ძალიან კმაყოფილი დავრჩი. ვნახეთ ძველი მეგობრები, მეგობრული ურთიერთობა ჩამოვაყალიბეთ ნორვეგიული ხელბურთის ხელმძღვანელობასთან...

ნორვეგიული ხელბურთი რომ ძალიან მაღალი დონისაა, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ 120 000-მდე რეგისტრირებული ხელბურთელი ჰყავთ. ამაში შედის ნორვეგიის ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბები თავისი სარეზერვო და ბავშვთა გუნდებით. ამას გარდა, კიდევ სამი ლიგა აქვთ, რომლის მოთამაშეებიც ნორვეგიის ხელბურთის ფედერაციაში რეგისტრირებულები არ არიან. როგორც გვითხრეს, ამ ლიგებში თითქმის სამჯერ მეტი ხელბურთელი ირიცხება. ჩვენგან განსხვავებით, იქ მწვრთნელები ბავშვებს სანთლით არ ეძებენ – მშობლები აქეთ ეხვეწებიან - ჩვენი შვილები ავარჯიშეთო. აღსანიშნავია ისიც, რომ იქ ხელბურთის თამაშს 6 წლის ასაკში იწყებენ, როცა ჩვენთან ძირითადად, 14-15 წლის მოზარდები ებმებიან ამ სახეობაში.

მთლიანობაში, ფეხბურთის შემდეგ, ნორვეგიაში ხელბურთი ნომერ მეორე თამაშობაა. ოფიციალური შეჯიბრებების გარდა, ატარებენ რეგიონების ჩემპიონატებს, ქალაქების პირველობებს, ქარხნების ჩემპიონატებს და ასე შემდეგ...

მოკლედ, სკანდინავიელები საკმაოდ სერიოზულად და სწორად ეკიდებიან საქმეს. ამას ხედავენ სპონსორებიც და როგორც კლუბებს, ასევე ნაკრებ გუნდებს უამრავი სპონსორი ჰყავს. ალბათ გინახავთ იქაური გუნდები, რომლებსაც ფორმები სპონსორების რეკლამებით აქვთ აჭრელებული. თურმე, მაისურის წინა მხარეზე სპონსორის რეკლამის განთავსება ყველაზე ძვირია, ზურგზე დაწერას სხვა ნიხრი აქვს, შორტებზე – სხვა და ასე შემდეგ.

ნორვეგიაში მუშაობს ცნობილი ვეტერანი რუსი ხელბურთელი, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სერგეი დემიდოვი. როგორც მან გვითხრა, ნორვეგიულ ხელბურთში იმხელა ინვესტიციები იდება, სპონსორმა კლუბს წლიურად ვთქვათ, 50 000 ევრო რომ შესთავაზოს, უარს მიიღებს. საქართველოში კი ასეთ თანხას ნებისმიერი კლუბი სიამოვნებით დაყაბულდება, მაგრამ ამის გადამხდელებიც არ ჩანან.

რაც შეეხება საქართველოს ჩემპიონატის ფინალურ მატჩს. მართალია, ექვსბურთიანი ფორის გამო უკეთეს მდგომარეობაში ვართ, მაგრამ თავის დაარხეინების უფლება არ გვაქვს. თანამედროვე ხელბურთში ექვსბურთიანი უპირატესობა არცთუ ისე საიმედოა. "თბილისი" საკმაოდ ძლიერი გუნდია და თუკი მოვდუნდით, დავისჯებით.

მამუკა მჟავანაძე

- რა გითხრათ, ნორვეგიელები "საშინელ" მდგომარეობაში არიან – ასიათასობით ხელბურთელი ჰყავთ და სპონსორებს სად დაემალონ აღარ იციან (იცინის). ხუმრობა იქით იყოს და იქაური ხელბურთი ისეთ დონეზეა, შეგშურდება.

სემინარებით ძალიან კმაყოფილი ვარ. მასში 150 მწვრთნელი მონაწილეობდა, ლექციებს გვიკითხავდნენ უმაღლესი დონის სპეციალისტები. განვიხილეთ ტაქტიკური სქემები როგორც დაცვაში, ასევე თავდასხმაში, გვესაუბრნენ ხელბურთელთა ტრავმების, და ფსიქოლოგიის თემაზეც, ჩაატარეს საჩვენებელი ვარჯიშები.

ძალიან კარგია, რომ ნორვეგიელებთან თანამშრომლობა დავიწყეთ. ეს პროცესი მხოლოდ ჩვენი ვიზიტით არ შემოიფარგლება. სკანდინავიელი მწვრთნელები საქართველოშიც ჩამოვლენ და აქ ჩაატარებენ სემინარებს, დაგვეხმარებიან ინვენტარით, უმასპინძლებენ ჩვენს ერთ-ერთ უმცროსთა გუნდს...

სამწუხაროდ, ჩემპიონატის საპასუხო ფინალური მატჩისთვის გუნდის სათანადოდ მომზადებისთვის საკმაოდ ცოტა დრო მაქვს. ცუდია, რომ კარგად ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ, მეორე ტაიმს ვაგდებთ ხოლმე და ამ პრობლემას სასწრაფოდ უნდა მივხედოთ. სტუ-"თელავთან" მატჩშიც ასე იყო – პირველი ტაიმი მოვიგეთ, მეორეში კი მოვდუნდით, "ანგარიში გაგვექცა" და ექვსბურთიანი სხვაობით წავაგეთ, რამაც ჩემპიონობის შანსი საგრძნობლად შეგვიმცირა. სხვაობა 2-3 ბურთი რომ იყოს, სულ სხვა მდგომარეობა იქნებოდა. თუმცა, დასაკარგი აღარაფერი გვაქვს, ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე ვითამაშებთ და ვნახოთ, რა მოხდება. საბედნიეროდ, ტრავმების პრობლემა მოგვეხსნა – ყველა ჯანმრთელადაა.

კობა ხატისაშვილი

მამუკა მჟავანაძე

ირაკლი კეკელიძე

ჟიუდო

ჟორჟოლიანი

ქევხიშვილი



კედელაშვილი

ბუქარესტში სამი კაცი დაგვაკლდება

ამ უქმეებზე ძიუდოისტები მორიგ სალიცენზიო მსოფლიოს თასებზე იჭიდავებენ - ვაჟები ბუქარესტში, ქალები - ლისაბონში. ესაა ბოლო სალიცენზიო შეჯიბრებები მსოფლიო ჩემპიონატის წინ. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო პირველობა 13-16 სექტემბერს ბრაზილიურ რიო დე ჟანეიროში ჩატარდება, იმის შემდეგ კი ასევე სამ-სამი სალიცენზიო ტურნირია. ვაჟები ბირმინგემში, როტერდამსა და ბაქოში იჭიდავებენ, ქალები - ტალინში, როტერდამსა და სოფიაში.

სამწუხაროდ, რუმინეთში ჩვენი ვაჟთა გუნდი სერიოზული დანაკლისით მიდის - თავდაპირველად დასახელებულ შემადგენლობას **ზაზა კედელაშვილი** (66), **დავით ქევხიშვილი** (73) და **ლომერ ჟორჟოლიანი** (100) გამოაკლდნენ. ევროპაზე ზედიზედ ორჯერ გაჩემპიონებული კედელაშვილი მოულოდნელად ნაღვლის ბუშტმა ისე ძლიერ შეაწუხა, სასწრაფოდ გადასხმები დასჭირდა. მსგავსი პრობლემები მისთვის არახალია და პერიოდულად შეახსენებს ხოლმე თავს. ღვიძლს შეუწუხებია ქევხიშვილი, ჟორჟოლიანი კი ტრავმის გამო ეთიშება ტურნირს. ნაკრების თავკაც შოთა ხაბარელს ამ ტრიოდან მხოლოდ ჟორჟოლიანის შემცვლელი მიჰყავს - **ნოდარ მეტრეველი**, იმ ორ წონაში კი მონაწილე არ გვეყოლება.

ერთბაშად სამი ლიდერის გამოკლება ძნელია, თუმცა აქ მედლები არც ისე მნიშვნელოვანია. საბედნიეროდ, სამივე სპორტსმენი იმდენად ძლიერია, მათგან ლიცენზიებს პირდაპირ მსოფლიო პირველობიდან ველოდებით, რისთვისაც ხუთეულში მოხვედრაა საჭირო, თორემ რეიტინგში საჭირო ქულებს ნამდვილად დააგროვებენ. მართალია, ეს ტურნირი მსოფლიოსთვის მზადების ეტაპიცაა, მაგრამ იქამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და ახლანდელი დანაკლისის შევსება რომელიმე შეჯიბრებაში გამოსვლით თავისუფლად შეიძლება. სავარაუდოდ, ეს გერმანიის ტურნირი იქნება, სადაც ჩვენები ზაფხულში ისედაც აპირებენ გამოსვლას.

ჩვენი ნაკრები რუმინეთში ასეთი შემადგენლობით იჭიდავებს: **ნესტორ ხერგიანი და ვახტანგ ხოსიტაშვილი** (60), **გიორგი ბაინდურაშვილი** და **საბა გავაშელიშვილი** (81), **ირაკლი ცირეკიძე** და **ზურაბ ზვიადაური** (90), **ლევან რაზმაძე** და **ნოდარ მეტრეველი** (100), **ზვიად ხანჯალიაშვილი** და **ადამ ოქრუაშვილი** (+100).

დღეისთვის ხერგიანი სალიცენზიო რეიტინგში 56 ქულით მეოთხეა, ხოსიტაშვილი კი 16 ქულით მეჩვიდმეტეა. რეიტინგშია **დავით ასუმბანიც** - 2 ქულით 33-ეზე, მაგრამ ამ წონაში ჩვენი ინტერესის საგანი მაინც ხერგიან-ხოსიტაშვილის წყვილი იქნება. კედელაშვილი 66-ში ევროპის ჩემპიონობისთვის მოპოვებული 100 ქულით მესამეა, 73-ში - 10 ქულით 22-ე. იგი ორ წონაში იმიტომ მოხვდა, რომ რომში წონა ვერ დაიკლო და 73-ში იჭიდავა. თუმცა მისთვის მთავარი მაინც 66-ია, 73-ის ქულებს კი აზრი არა აქვს. ამავე წონაში მოსკოვში მოპოვებული 4 ქულით **ალექსანდრე იაკობაშვილი** 29-ეა. 73-ში ძირითადად ქევხიშვილი გვაინტერესებს, რომელიც რეიტინგში 66 ქულით მესამეა. მან 60 ქულა ევროპაზე დაკავებული მეორე ადგილისთვის მიიღო, რასაც მოსკოვში 6 ქულა წაამატა.

ერთადერთი წონა, სადაც ჩვენები რეიტინგის მოწინავეებში არ არიან, 81-ია, თუმცა უიმედო მდგომარეობა ნამდვილად არაა. აქ სიაში სამი ჩვენებურია, ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში კი ბაინდურაშვილია - 16 ქულით მეთოთხმეტე ადგილზე. **გრიგოლ შინჯიკაშვილი** 8 ქულით მეცხრამეტეა, **ლევან წიკლაურის** მონაგარი კი 4 ქულა და 28-ე ადგილია. 90 კილოგრამში ცირეკიძის მონაგარი 70 ქულა და მეოთხე ადგილია, ზვიადაური კი 20 ქულით მეცამეტეა. 100-ის რეიტინგში ორი ქართველია და ორივე ლიდერებში - რაზმაძე 90-ით მესამეა, ჟორჟოლიანი - 46-ით მეექვსეზეა. დაბოლოს. მძიმე წონა, სადაც ქართველთაგან საუკეთესო 60-ქულიანი ლაშა გუჯეჯიანია მეოთხე ადგილზე. ხანჯალიაშვილი 36 ქულით მერვეა, ოქრუაშვილის ანგარიშზე კი ჯერ მხოლოდ 4 ქულაა და 23-ე ადგილზეა.

რაც შეეხება ქალთა ნაკრებს, ისინი ლისაბონის ტურნირისთვის თურქეთში ემზადებოდნენ და მათ შემადგენლობაზე ვერაფერს გეტყვით. სამწუხაროდ, მათგან არც რეიტინგებშია ვინმე. არადა, ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს **მაია ტარუაშვილმა** (57) და **ირინა ლეონიძემ** (+78) ევროპის ჩემპიონატზე 6-6 ქულა მიიღეს, მაგრამ ევროპული ძიუდოს საიტზე გამოქვეყნებულ რეიტინგებში მათი გვარები შეტანილი არაა.

ირაკლი თავაძე

ჩოგბურთი

პირველ წრეში დამარცხდნენ

საფრანგეთში, სენ გოდენის საერთაშორისო ტურნირში (50 ათასი დოლარი) ცუდად იასპარეზა საქართველოს პირველმა ჩოგანმა **მაკა ჩახნაშვილმა** (150), რომელიც ორგანიზატორებმა მე-4 ნომრად განთესეს. მაკამ ვერ გაამართლა ფავორიტის სტატუსი და ფრანგულ თიხნარზე პირველივე წრეში დამარცხდა. ჩახნაშვილის მეტოქე 18 წლის **ევგენია როდინა** (რუსეთი, 179) იყო, ქართველი სამ სეტში დამარცხდა - 6:2, 3:6, 5:7.

ამერიკულ პალმ ბიჩ გარდენში 25-ათასიანი ტურნირი მიმდინარეობს, სადაც ძირითად ბადეში ორი ქართველი ჩოგბურთელი გავიდა, თუმცა ორივე პირველ წრეში დამარცხდა. **სალომე დევიძე** (538) მეექვსე ნომრად განთესილ ოდესღაც ელიტის წევრ ჰოლანდიელ ბრენდა **შულც-მაკარტის** (222) ხვდებოდა და ორ სეტში წააგო - 1:6, 4:6. **სოფიო მელიქიშვილმა** (560) დაძაბულ ბრძოლაში ურუგვაელ **ესტეფანია გრასიუნთან** (265) სამ სეტში დათმო - 4:6, 6:3, 3:6.

ისევ ოქსანა

16 **წლის** ქართველი ჩოგბურთელი **ოქსანა კალაშნიკოვა** ყველგან ერთნაირი წარმატებით თამაშობს, ახალგაზრდული ასპარეზი იქნება თუ დიდების, თურქეთში პროფესიონალთა ტურნირში წარმატების შემდეგ, რამაც კალაშნიკოვა 150 საფეხურით რეიტინგში წაწია წინ, ჩვენებური იტალიაში ჩიტა დი სანტა გროსეს პირველი კატეგორიის ახალაგზრდულ ტურნირში თამაშობს. მე-6 ნომრად განთესილი კალაშნიკოვა მერვედფინალში მე-10 ნომრად განთესილ არგენტინელ **ტატიანა ბუას** ხვდებოდა, სამ სეტში ქართველმა იმარჯვა - 6:3, 2:6, 6:3. ჩიტა დი სანტა გროსეს ტურნირის მეოთხედფინალში ოქსანას მეტოქე მე-13 ჩოგანი იტალიელი **ალესანდრა დი ბატე** (85) იქნება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

მარიუს ვიზერი თბილისში

თბილისში იმყოფება ევროპის ძიუდოს კავშირის პრეზიდენტი **მარიუს ვიზერი**. მაღალჩინოსნის ვიზიტი 2009 წელს, საქართველოში ძიუდოს კონტინენტის ჩემპიონატის ჩატარების ორგანიზაციულ საკითხებს უკავშირდება. სტუმარი შეხვდა ქართული სპორტის ხელმძღვანელებს, მოინახულა სპორტული ობიექტები, გაეცნო ინფრასტრუქტურას. დღეს, 18 მაისს, მარიუს ვიზერი საქართველოს ძიუდოს ეროვნულ ფედერაციაში (ზანდუკელის 5) შემაჯამებელ პრესკონფერენციას გამართავს. დასაწყისი 16 საათზე.

თეიმურაზ

თეიმურაზ მატროიანი. 18.05.1949, თბილისი - 14.05.2004, ვენა (ავსტრია). სასტენდო სროლა (მრგვალი სტენდი). მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორი გუნდურ ჩათვლაში (1979), ევროპის თასის მფლობელი (1979), სსრკ ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონი პირად პირველობაში (1979). ავარჯიშებდა სირიის, კვიპროსის, ქუვეითის, ინდოეთისა და საბერძნეთის ეროვნულ გუნდებს. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

ᲰᲝᲙᲔᲘ

ᲚᲘᲒᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ Sport Business Journal-ის ცნობით, წლევანდელ სეზონში ჰოკეის ეროვნული ლიგის შემოსავალმა 5 პროცენტით მოიმატა.

ეს პროგრესი კი იმას ნიშნავს, რომ მომავალი სეზონისთვის, კლუბების სახელფასო ბიუჯეტის მაქსიმალური ზღვარი 44-დან 47-49 მილიონ დოლარამდე გაიზრდება.

ჟურნალი აგრეთვე იტყობინება, რომ ბევრ ქალაქში გაიზარდა დასწრების პროცენტული მაჩვენებელი. მაგალითად, რეგულარულ ჩემპიონატში, "კაროლინის" საშინაო მატჩებს 32 პროცენტით მეტი მაყურებელი დაესწრო, ვიდრე გასულ წელს, როცა ამ გუნდმა სტენლის თასი მოიპოვა.

ᲩᲘᲙᲐᲒᲝᲛ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲘ ᲓᲐᲘᲛᲐᲢᲐ

2006 წლის დრაფტის მესამე ნომერმა - **ჯონათან ტეივზმა** სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა "ჩიკაგო ბლეკჰოქსთან".

19 წლის კანადელმა გასული სეზონი ჩრდილოეთი დაკოტას კოლეჯის გუნდში გაატარა. 34 შეხვედრაში მის ანგარიშზე 18 გოლი და 28 შედეგიანი გადაცემა მოდის.

ტეივზი კანადის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ორჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, ცოტა ხნის წინ კი, მოსკოვის მსოფლიო პირველობაზეც თამაშობდა და იქაც ოქროს მედალი მოიპოვა. სხვათა შორის, ამ ტურნირზე ტეივზმა საკმაოდ შედეგიანად ითამაშა - ორი გოლი გაიტანა და 5 საგოლე პასი შეასრულა.

"ჩვენ მოვიხიბლეთ ტეივზის თამაშით მსოფლიო ჩემპიონატზე. ჯონათანი ფიზიკურად კარგად არის მომზადებული და ტექნიკაც არ აკლია", - აცხადებენ ჩიკაგოელთა სანვრთნელო შტაბში.

ᲨᲕᲔᲓᲔᲑᲘ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲚᲛᲐ ᲛᲘᲓᲘᲐᲜ

ᲒᲐᲘᲡᲐᲓ, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 2006 წლის დრაფტის კიდევ ერთი წამყვანი ჰოკეისტი (მე-4 ნომერი) ითამაშებს. "ვაშინგტონ კეპიტალზმა" წინასწარ შეთანხმებას მიაღწია 19 წლის შვედ **ნიკლას ბეკსტრიომთან** და სულ მალე, ამ მოთამაშესთან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

გასული სეზონი ბეკსტრიომმა შვედეთის ლიგაში, "ბრიუნესის" შემადგენლობაში გაატარა. ტეივზის მსგავსად, ისიც თამაშობდა მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატზე.

■ ■ ■

მომავალ სეზონში, NHL კიდევ ერთი შვედი ჰოკეისტით შეივსება. "ტორონტო მეიპლ ლიფზმა" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა "ტრე კრუნურის" მცველ **ანტონ სტრალმანთან**.

2006-07 წლების სეზონში სტრალმანი შვედური "ტიმრას" ღირსებას იცავდა. შვედეთის ჩემპიონატის 53 მატჩში მან 21 ქულა დააგროვა. გარდა ამისა, ცოტა ხნის წინ დასრულებულ მსოფლიო ჩემპიონატზე, ეს მცველი შვედეთის ნაკრების სამ საუკეთესო ჰოკეისტს შორისაც მოხვდა.

სტრალმანი 2005 წელს, დრაფტის 216-ე ჰოკეისტი იყო.

ᲞᲠᲝᲜᲒᲔᲠᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲢᲝᲕᲔᲑᲡ

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ფინალური სერიის მეოთხე მატჩის წინ, სერიოზული დანაკლისი განიცადა "ანაჰაიმმა". ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის გამო, შეხვედრას გამოტოვებს "იხვების" წამყვანი მცველი - **კრის პრონგერი**.

ეს ჰოკეისტი იმის გამო დაისაჯა, რომ სერიის მესამე მატჩში, დეტროიტელი **ტომას ჰოლმსტრიომის** წინააღმდეგ იუხეშა - მეტოქე ბარიერს მიანარცხა და შვედმა ფორვარდმა შუბლი გაიტეხა.

იმ ინციდენტის კიდევ ერთი ინიციატორი - **რობ ნიდერმაიერი**, რომელიც მარჯვნიდან უტევდა ჰოლმსტრიომს, მატჩის ბოლომდე გააგდეს ყინულიდან, პრონგერი კი, დაუსჯელი დარჩა, მაგრამ ეს უკანასკნელი დისკვალიფიკაციას მაინც ვერ გადაურჩა.

ჰოლმსტრიომმა ტრავმა მეორე პერიოდში მიიღო, მაგრამ მესამეში ყინულზე დაბრუნდა და ერთი საგოლე პასიც გააკეთა.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲜᲔᲚᲡᲝᲜᲘ ᲬᲐᲡᲕᲚᲐᲡ ᲐᲠᲘᲠᲔᲑᲡ?

"ᲒᲝᲚᲓᲔᲜ ᲡᲢᲔᲘᲢᲘᲡ" მთავარი მწვრთნელი - **დონ ნელსონი** დარწმუნებული არ არის, რომ მომავალ სეზონშიც უხელმძღვანელებს "მეომრებს" - იტყობინება სააგენტო "როიტერი".

შეგახსენებთ, რომ ეს გუნდი წლევანდელი ფლეი ოფის მთავარი სენსაციის ავტორი გახდა, როცა პირველ ნრეში, რეგულარულის ჩემპიონი - "დალასი" გამოთიშა ასპარეზობას, თუმცა კონფერენციის ნახევარფინალში, "გოლდენ სტეიტმა" 1:4 წააგო სერია "იუტასან".

ნელსონი ხაბოლოო გადაწყვეტილებას 1 ივლისს გამოაცხადებს. *"ახლა არ არის გადაწყვეტილებების მიღების დრო, რადგან არაფერში არ ვარ დარწმუნებული"*, - ამბობს ვეტერანი მწვრთნელი.

NBA ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ ᲝᲤᲘᲡᲘᲡ ᲮᲡᲜᲘᲡ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ საკალათბურთო ასოციაცია ამ ზაფხულს, ლონდონში საკუთარი ოფისის გახსნას აპირებს. ამ ნაბიჯით, NBA ბრიტანეთის ოლიმპიურ კომიტეტთან თანამშრომლობას იწყებს, რომლის მიზანიც ქვეყანაში კალათბურთის პოპულარიზაცია გახლავთ.

"ინგლისში ოფისის გახსნა საშუალებას მისცემს კალათბურთის იქაურ მოყვარულებს, უფრო ახლოდან შეიგრძნონ NBA-ის მთელი ხიბლი", - განაცხადა ასოციაციის კომისარმა **დევიდ სტერნმა**.

ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲐ

60 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲘ, 100 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲡᲛᲔᲜᲘ

წელს, მძლეოსნობაში მსოფლიო ჩემპიონატი 25 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე იაპონიის ქალაქ ოსაკაში გაიმართება.

გუშინ, პირველობის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ ტურნირის მთლიანი საპრიზო ფონდი 7 მილიონ დოლარს გადააჭარბებს.

ის მძლეოსანი, ვინც ოსაკაში ოქროს მედალს მოიპოვებს, ჰონორარის სახით 60 ათას დოლარს მიიღებს, მეორეადგილოსნის პრიზი ორჯერ ნაკლები - 30 ათასი იქნება, ხოლო მესამე ადგილისთვის 20 ათასი დოლარი არის გათვალისწინებული. სულ კი, ფულადი პრიზები ყოველ სახეობაში პირველ რვა ადგილზე გასულ მძლეოსნებს გადაეცემათ.

ესტაფეტაში გამარჯვებულ გუნდს, ჯამში 80 ათას დოლარი ერგება, ხოლო ის სპორტსმენი, ვინც მსოფლიო რეკორდს დაამყარებს, 100 ათასით გამდიდრდება.

სულ მსოფლიო ჩემპიონატზე 204 ქვეყნის ათლეტი მიიღებს მონაწილეობას.

NBA. ᲞᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ. ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲔᲑᲘ

ᲑᲝᲣᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲭᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲕᲔᲜᲓᲔᲢᲐ



ᲑᲠᲘᲣᲡ ᲑᲝᲣᲔᲜᲘ

"ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘᲡᲐ" და "კლივლენდის" მეოთხე შეხვედრის შემდეგ, ბევრს ეგონა, რომ "კავალრები" კონფერენციის ფინალში თამაშის უფლებას მომდევნო შეხვედრაშივე მოიპოვებდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. **ჯეისონ კიდმა** და კომპანიამ კლივლენდში შესანიშნავად ჩაატარა მეხუთე შეხვედრა და სერიის მოგების შანსი შეინარჩუნა.

მესამე მეოთხედის შემდეგ, სტუმრები 22 ქულას იგებდნენ. ბოლო მეოთხედში კი მხოლოდ ექვსი ქულის აღება შეძლეს. და მაინც, დაცვაში კარგი თამაშის წყალობით, გამარჯვებით დაასრულეს შეხვედრა. შემდეგი თამაში ისტ რეზერფორდშია, სადაც "ნეტსს" სერიაში ანგარიშის გათანაბრების შანსი ექნება.

"ბევრი თვლიდა, რომ ჩვენ პლეი ოფშიც ვერ გავიდოდით, მაგრამ ასე არ მოხდა. ჩვენი წყალობით, ბევრი პროგნოზი არ გამართლდა. ეს კი პირველ რიგში, იმის ბრალია, რომ გუნდის მოთამაშეებს ერთმანეთის გვჯერა და ერთმანეთს ვენდობით. ჩვენ ყოველთვის გვერდში ვუდგავართ ერთმანეთს როცა გვილხინს და როცა გვიჭირს და ესაა ჩვენი სიძლიერე", - განაცხადა კიდმა, ვინც თავის თანაგუნდელთაგან ყველაზე შედეგიანი იყო.

უნდა ითქვას, რომ სტუმრებისთვის ბოლო მეოთხედი ნამდვილ საშინელებად იქცა. "ნიუ ჯერსის" კალათბურთელებმა თამაშიდან 15-ში მხოლოდ ერთი ტყორცნა ჩააგდეს, საჯარიმო ხაზიდან კი - 10-ში 4. ბოლო წუთის განმავლობაში, კიდმა ხუთი საჯარიმო ტყორცნა ააცდინა. თუმცა გუნდს იმან უშველა, რომ უკეთესად არც მასპინძლები ირჯებოდნენ. მათ ბოლო მეოთხედში მხოლოდ 13 ქულის დაგროვება შეძლეს.

წაგება კიდევ არაფერი, ბოლო წუთზე ტრავმა მიიღო კლივლენდელთა ლიდერმა **ლებრონ ჯეიმსმა**, ვისაც ფარიდან ასხლეტილი ბურთისთვის კიდთან ბრძოლისას, მარჯვენა მუხლი დაუზიანდა. სხვათა შორის, ჯეიმსისთვის ეს დღე მხოლოდ ტრავმას არ დაუმძიმებია. პირველი ნახევრის შემდეგ, მან შეიტყო, როცა მის ფეხმძიმე მეუღლეს მდგომარეობა გაურთულდა, რის გამოც თამაშის დროს, ის ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

"როგორც მითხრეს, ყველაფერი კარგად არის", - თამაშის შემდეგ ასე "დამშვიდა" ჟურნალისტები კალათბურთელმა, ვინც ყოველივეს მიუხედავად, თანაგუნდელებში მაინც ყველაზე შედეგიანი იყო.

"სან ანტონიომ" კი გასვლაზე დაამარცხა "ფინიქსი" და სერიაში პირველად დანინაურდა. რაც მთავარია, მომდევნო შეხვედრას საკუთარ მოედანზე ჩაატარებს და მოგების შემთხვევაში, კონფერენციის ფინალში ამოყოფს თავს. "დეზებმა" გამარჯვება **ბრიუს ბოუენის** მიერ შეხვედრის ძირითადი დროის ამოწურვამდე 36 წამით ადრე შესრულებული ზუსტი ტყორცნის წყალობით მოიპოვეს.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრის წინ, ბოუენს მასპინძელთა ლიდერმა **ამარე სტაუდმაიერმა** ბინძური მოთამაშე უწოდა. ჰოდა, მატჩის მსვლელობისას, მას მაყურებელმაც აუბა მხარი, რომელიც ტექსასელთა მოთამაშეს უშვერი სიტყვებით ლანძღავდა. ამანაც სწორედ იმ სამი ქულით დასაჯა "მტრის ბანაკი".

"ამ ტყორცნის ჩაგდებით, უცებ ყველაფერი შეიცვალა. თამაშის დროს ამდენ დამცირებას ვითმენდი, ახლა კი მოგებული მე ვარ და ეს შესანიშნავია. ხალხი ისეთ რამეებს მიყვიროდა, აქამდე არასოდეს მსმენოდა. მაგრამ ამან არ დამთრგუნა", - განაცხადა ბოუენმა.

რაც შეეხება სტაუდმაიერს, ის თავის გუნდს აკლდა. არ უთამაშია მის შემცვლელ **ბორის დიავსაც**. ორივემ ეს მნიშვნელოვანი შეხვედრა დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. მასპინძელთა გუნდში, მთელი სიმძიმე ექვს კალათბურთელს დააწვა. მათაც თავი არ დაზოგეს და მიზანსაც ლამის მიაღწიეს. "ფინიქსი" მეორე მეოთხედის შემდეგ 16 ქულას იგებდა, შეხვედრის დასრულებამდე 5 წუთით ადრე კი მასპინძლები 79:71 იგებდნენ. მაგრამ **მანუ ჯინობილიმ** ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

არგენტინელმა თავიდან უფერულად ითამაშა, მაგრამ ბოლო მეოთხედში აიწყვიტა. "დეზების" მიერ ამ მეოთხედში აღებული 26 ქულიდან 15 სწორედ ჯინობილიზე მოდის.

ბოუენის ზუსტი ტყორცნის შემდეგ, მეტოქეებმა 4-4 ქულა გაცვალეს და მასპინძელთა ლიდერ **სტივ ნეშს** სამქულიანი ზუსტად რომ ესროლა, იქნებ შეხვედრის ბედი ოვერტაიმში გადაწყვეტილიყო, მაგრამ ამჯერად სნაიპერს ხელი მოეცარა.

აღსანიშნავია, რომ დისკვალიფიკაციის გამო, კალათბურთელი "სან ანტონიოსაც" აკლდა. **რობერტ ჰორის** ორი შეხვედრის გამოტოვება მოუწევს იმისათვის, რომ მეოთხე მატჩის მინურულს მან ნეშის წინააღმდეგ იუხეშა. სწორედ იმ უხეშობის გამო ამტყდარ შეხლა-შემოხლაში მონაწილეობისთვის დაისაჯნენ დიავი და სტაუდმაიერი.

ᲐᲦᲐᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲙᲚᲘᲕᲚᲔᲜ. (2)-ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ (6) 72:83

18:24, 21:23, 20:30, 13:6

კლივლენდი: ლ.ჯეიმსი (20 ქ, 9 მ, 5 პ, 2 ჩ), ილგაუსკასი (16 ქ, 6 მ)

ნიუ ჯერსი: კიდი (20 ქ, 9 მ, 6 პ, 4 ჩ, 2 დ), ჯეფერსონი (15 ქ, 8 მ), მური (14 ქ), კარტერი (12 ქ, 6 მ, 10 პ)

ᲡᲔᲠᲘᲐ 3:2

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ (2)-ᲡᲐᲜ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ (3) 85:88

24:13, 20:20, 18:23, 23:32

ფინიქსი: შ.მერიონი (24 ქ, 17 მ), ნეში (19 ქ, 2 მ, 12 პ), ტომასი (15 ქ, 12 მ)

სან ანტონიო: ჯინობილი (26 ქ, 10 მ), დანკანი (21 ქ, 12 მ, 5 დ), ფინლი (13)

ᲡᲔᲠᲘᲐ 2:3

ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ

ᲔᲕᲐᲜᲓᲔᲠᲡ ᲩᲔᲛᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲠᲐᲜᲒᲨᲘ ᲬᲐᲡᲕᲚᲐ ᲡᲣᲠᲡ



ᲔᲕᲐᲜᲓᲔᲠ ᲰᲝᲚᲘᲤᲘᲚᲓᲘ

ᲔᲕᲐᲜᲓᲔᲠ ᲰᲝᲚᲘᲤᲘᲚᲓᲘ აცხადებს, რომ კრივიდან მაშინვე წავა, როგორც კი მსოფლიო ჩემპიონის წოდებას კიდევ ერთხელ მოიპოვებს. ის ახლა 44 წლისაა ჩემპიონი კი ოთხჯერ ყოფილა. თუმცა ეს არ აკმაყოფილებს და სატიტულო ბრძოლისკენ გზას იკაფავს. თავის მორიგ მსხვერპლად მას **ლუ სავარეზე** ჰყავს შერჩეული, ვისაც 30 ივნისს შეხვდება.

"ასაკი მხოლოდ რიცხვია და მეტი არაფერია. მთავარია, რამდენად გულადი ხარ და რისი თავი გაქვს. მე მხოლოდ ისეთ მოკრივეებთან ბრძოლა მწყურია, რომლებთან გამარჯვებაც გზას ტიტულისკენ გამიხსნის. ამიტომ, ნურავინ იფიქრებს, რომ იოლ მეტოქეებს ვირჩევ", - ამბობს ჰოლიფილდი, ვინც რინგზე დაბრუნების შემდეგ, უკვე მოასწრო სამი ბრძოლის ჩატარება.

სამივე ბრძოლა მან ტექსასში ჩაატარა. პირველში, რომელიც შარშან აგვისტოში დალასში ჩატარდა, **ჯერემი ბეიტსს** მოუგო. ამ ბრძოლამდე ის იძულებით უქმობდა, რადგან ნევადის შტატის საათლეტო კომისია პროფესიონალი მოკრივის ლიცენზიას არ აძლევდა. ბეიტსის შემდეგ, სან ანტონიოში **ფრეს ოკვენდოს** მოუგო, მერე კი **ვინი მადალონე** ტექნიკური ნოკაუტით "გაასაღა".

ჰოლიფილდისა (41-8, 27 ნოკაუტი) არ იყოს, სავარეზეც ასაკოვანი მოკრივეა (41 წლისაა), პროფესიულ რინგზე ევანდერზე მეტი ბრძოლა (52) აქვს ჩატარებული და მასზე მეტიც მოუგია (46, აქედან 38 ნოკაუტით). მაგრამ ტიტულისთვის მხოლოდ ერთხელ იბრძოლა და ისიც წააგო.

ევანდერის პრომოუტერი **კეიტი დუვა** სავარეზესთან ბრძოლას "გზას ტიტულისკენ" უწოდებს და ირწმუნება, რომ მისი მოგების შემთხვევაში, შემდეგი ბრძოლა გაცილებით ძლიერ მეტოქესთან ჩატარდება.

ჰოლიფილდი ამბობს, რომ ჯერ კიდევ ბავშვობაში ოცნებობდა იმაზე, რომ სპორტული კარიერა ჩემპიონის რანგში დაესრულებინა. ახლა კი ამ ოცნების ასრულების დრო დაუდგა. მაგრამ ძველებურად დიდი დატვირთვებით ვარჯიშს ვეღარ ახერხებს. ახლა ისეთივე რეჟიმში ვერ ვვარჯიშობ, როგორც მაშინ, როცა ჩემპიონობისთვის ვიბრძოდიო - ამბობს ჰოლიფილდი, ვინც პირველად ტიტულს 28 წლისა დაეუფლა.

"ერთ დღეს რომ ვირბენ, მეორე დღეს ვისვენებ, ძველებურად აღარ შემიძლია. მაგრამ რინგზე ისევ ის ვარ, რაც ვიყავი. თანაც, ამდენი გამოცდილება მაქვს", - ამბობს ჰოლიფილდი.

NHL. ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ. 1/2 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲑᲐᲤᲐᲚᲝᲛ ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲟᲘᲡᲐ ᲛᲝᲘᲒᲝ

ᲐᲦᲐᲛᲘᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲝᲢᲐᲕᲐ (4)-ᲑᲐᲤᲐᲚᲝ (1) 2:3

0:1, 2:2, 0:0

ᲒᲝᲚᲔᲑᲘ: 0:1 დ. რუა-2 (დრური-5), 0:2 აფინოგენოვი-4 (ბრიერი-10, პომინვილი-5), 0:3 დრური-8 (ქონოლი-3, დ. რუა-5), 1:3 მაკამინდი-4 (მეზაროში-3, კ. კელი-2), 2:3 შეფერი-1 (კომრი-3, კორვო-6).

ᲡᲔᲠᲘᲐ 3:1

"ოტავასთან" ზედიზედ სამი წაგების შემდეგ, რეგულარულის ჩემპიონს უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა. ამიტომაც, გასაკვირი არ არის, რომ უკვე მეცხრე წამზე ანგარიში 1:0 იყო სტუმართა სასარგებლოდ. "ოტავას" ზონაში მასპინძელთა მცველმა - **ანდრეი მეზაროშმა** შაიბა დაკარგა, რასაც **კრის დრურის** მომენტალური პასი მოჰყვა **დერეკ რუას** მისამართით და ამ უკანასკნელმა თავისი გუნდის ისტორიაში, ფლეი ოფში უსწრაფესი გოლი გაიტანა.

რაიან მილერმა ყველაფერი დაიჭირა

თუმცა, მე-9 წამზე გატანილი გოლი არ გახლავთ სტენლის თასის რეკორდი. ამ მხრივ სარეკორდო მაჩვენებელი "ლოს ანჯელესის" ჰოკეისტ **დონ კოზაკს** ეკუთვნის, რომელმაც 1997 წლის 17 აპრილს, "ბოსტონის" კარი მე-6 წამზე აიღო.

მეორე პერიოდის მე-15 წუთამდე, "ბაფალოს" უპირატესობა აშკარა იყო. რუას გოლს "სეიბრზმა" კიდევ ორი დაუმატა და თითქოს გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. მაგრამ 3 შაიბით დაწინაურებული "ბაფალო" დარჩენილ დროში ისევ იმ გუნდად იქცა, რომელმაც სერიის პირველი სამი მატჩი დათმო. ამჯერადაც, სტუმრებმა საკუთარ მეკარეს - **რაიან მილერის** შეატოვეს მეტოქე.

"ოტავამ" მეორე პერიოდის ბოლოს ზედიზედ ორი შაიბა გაიტანა და სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა. და აი, ამის შემდეგ დაიწყო ერთი მსახიობის სპექტაკლი, რომლის გმირიც მილერი გახდა. ბოლო 20 წუთის განმავლობაში, "ბაფალოს" გოლკიპერმა 15 დარტყმა მოიგერია. განსაკუთრებით გაუჭირდა მას პერიოდის დასაწყისში, როცა ზედიზედ ოთხი წუთი მასპინძლებს რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ. ამ 4 წუთის განმავლობაში, ოტაველებმა 10 დარტყმა განახორციელეს და ათივეჯერ შაიბა მილერის ნადავლი გახდა, სულ კი, ამ შესანიშნავმა მეკარემ 31 დარტყმა მოიგერია.

"ოტავამ" ექვსმატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტა და მილერის ბრწყინვალე თამაშის გარდა, ამის მიზეზი ისიც არის, რომ ამჯერად პაუზა აიღეს ამ გუნდის ლიდერებმა. **დენი ჰიტლიმ** შეწყვიტა 9-მატჩიანი სერია, რომლის განმავლობაშიც, ის მინიმუმ ერთ ქულას იღებდა შეხვედრაში (ეს სერია 4 გოლსა და 11 საგოლე პასს მოიცავდა), **დანიელ ალფრედსონის** სერია კი, 7 თამაშს (6 გოლი, 3 პასი) ითვლიდა.

ერთი უსიამოვნო სერია "ბაფალომაც" შეწყვიტა - ამ გუნდმა მხოლოდ მე-19 ცდაზე შეძლო "ოტავასთან" ოთხ მატჩში რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება. ამის გაკეთება რუსმა **მაქსიმ აფინოგენოვმა** მოახერხა.

მიუხედავად გამარჯვებისა, ძნელი წარმოსადგენია, რომ "ბაფალომ" ამ სერიის გადარჩენა შეძლოს. ჩრდილოეთ ამერიკის პროფესიული სპორტის ისტორიას სულ სამი შემთხვევა ახსოვს, როცა ერთმა გუნდმა 0:3-დან შეძლო 7-მატჩიანი სერიის მოგება. ამიტომაც, "სეიბრზის" გუშინდელ წარმატებას პრესტიჟის მოგება შეიძლება ეწოდოს.

დი ლუკა გამარჯვებას ზეიმობს

ᲗᲔᲚᲔᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲯᲘᲠᲝ DᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲙᲘᲚᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ

კილერი "ლიკიგაზის" იტალიელი ლიდერის, **დანილო დი ლუკას** მეტსახელია, ვინც საუბილეო, 90-ე ჯიროს ფავორიტთა შორისაა. ჯიროზე მას მონტეკერჯინეს ეტაპი ერთხელ უკვე მოგებული ჰქონდა, მაგრამ მას შემდეგ იტალიის წრეზე თავი ბევრი არაფრით გამოუჩენია. ახლა კი, მეოთხე ეტაპზე, რომლის ფინიშიც სწორედ მონტეკერჯინეს მთაზე მდებარეობდა, სწორედ მან მოიპოვა გამარჯვება და ამით, ლიდერის ვარდისფერი მაისურაც მოირგო.

მომდინარე ჯიროზე ველომრბოლებს სულ ხუთი სამთო რბოლა ექნებათ, რომელთაგან ოთხის ფინიში აღმართის ბოლოს მდებარეობს. ამ ოთხიდან პირველი სწორედ მონტეკერჯინეს მთაა, რომელიც ნეაპოლის მახლობლად მდებარეობს. პელოტონს ფინიშის წინ 17-კილომეტრიანი აღმართი ჰქონდა გასავლელი, რომლის დახრის საშუალო მაჩვენებელი ათ პროცენტს აღწევს.

ეტაპი აღმართით კი დასრულდა, მაგრამ მისი ფინიში მაინც სპრინტერული გამოდგა. ოღონდ, არა ისეთი, როგორიც ნამდვილ სპრინტერულ ეტაპებზეა ხოლმე. იტალიელს პირველობას ორი მეტოქე (ისინიც იტალიელები) ეცილებოდა, მაგრამ გასწრება ვერცერთმა შეძლო. დი ლუკამ პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი და კლასიფიკაციაში პირველი ადგილი დაიბრუნა, რომელიც მანამდე მის თანაგუნდელ **ენრიკო გასპაროტოს** ეკუთვნოდა.

"შესანიშნავი ეტაპი იყო. ამ გამარჯვებას კი თანაგუნდელების გარეშე ვერ მოვიპოვებდი", - განაცხადა დი ლუკამ, ვისაც მონტეკერჯინეს ეტაპი 2001 წელს აქვს მოგებული.

"ლიკიგაზის" ველომრბოლებმა პელოტონის სათავეში მაშინ დაიკავეს ადგილი, როცა მონტეკერჯინეს აღმართი დაიწყო. დი ლუკამ გადამწყვეტი შეტევა ფინიშამდე 200 მეტრით ადრე დაიწყო. მას კუდში გაჰყვა **რიკარდო რიკო**, რომელმაც საბოლოოდ მეორე ადგილით დაიკმაყოფილა ამბიციები. მესამეზე გავიდა ჯიროს ყოფილი ჩემპიონი, იტალიელი **დამიანო კუნეგო**.

წვიმის გამო, ეტაპის განმავლობაში რამდენიმე ინციდენტი მოხდა, რომელთაგან ერთში გასპაროტო და მსოფლიო ჩემპიონი **პაოლო ბეტინი** დაზარალდნენ. მართალია, ფინიშს ორივემ მიაღწია, მაგრამ მათ ბევრი დრო დაკარგეს. ბუნებრივია, გასპაროტომ ლიდერობაც დაკარგა.

გუშინ კი კვლავ სპრინტერების ჯერი დადგა. ყველა ელოდა, რომ პირველობისთვის კვლავ **ალესანდრო პეტაკი** და ავსტრალიელი **რობი მაკიუენი** იბრძოლებდნენ, მაგრამ ვიწრო გზაზე მათ გასაქანი არ მისცეს. ამით ისარგებლა გერმანელმა **რობერტ ფიორსტერმა**, რომელმაც ფინიშზე რამდენიმე სანტიმეტრით მიასწრო ნორვეგიელ **თორ ჰუსჰოვდს**.

ფიორსტერისთვის ეს ჯიროზე მოპოვებული მეორე გამარჯვებაა. პირველი შარშან, ბოლო ეტაპზე მოიპოვა. გარდა ამისა, მას ერთი ეტაპი ესპანეთის ტურზეც (ვუელტა) აქვს მოგებული.

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ

ᲛᲔ-4 ᲔᲢᲐ�პᲘ. ᲡᲐᲚᲔᲠᲜᲝᲓᲐᲜ ᲛᲝᲜᲢᲔᲙᲔᲠᲯᲘᲜᲔᲛᲓᲔ (153 ᲙᲛ)

1. დანილო დი ლუკა (იტალია, ლიკიგაზი) 4:22.42; 2. რიკარდო რიკო (იტალია, სონიე დიუვალ-პროდირი) იგივე დროში; 3. დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე) იგივე დროში; 4. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 0.03; 5. სტეფანო გარცელი (იტალია, აკვა ე საპონე) 0.03; 6. ფრანკო პელიკოტი (იტალია, ლიკიგაზი) 0.06; 7. ლუკა მაცანტი (იტალია, კერამიკა პანარია) 0.06; 8. დავიდ არეოო დურანი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.07; 9. ემანუელე სელა (იტალია, კერამიკა პანარია) 0.13; 10. დევიდ ზაბრისკი (აშშ, CSC) 0.13...

ᲛᲔ-5 ᲔᲢᲐᲪᲘ. ᲢᲔᲐᲜᲝᲓᲐᲜ ᲤᲠᲐᲡᲙᲐᲢᲘᲛᲓᲔ (173 ᲙᲛ)

1. რობერტ ფიორსტერი (გერმნია, გეროლშტაინერი) 4:17.02; 2. თორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი) იგივე დროში; 3. ალესანდრო პეტაკი (იტალია, მილრამი); 4. დანილო ნაპოლიტანო (იტალია, ლამპრე); 5. რობი მაკიუენი (ასტრალია, პრედიქტორ-ლოტო); 6. ალიაკსანდრ უსოვი (ბელარუსი, Ag2r პრევოიანსი); 7. მაქსიმილიან არიელი (არგენტინა, კერამიკა პანარია); 8. ალექსანდრ პიშო (საფრანგეთი, ბუჟე ტელკომი); 9. ხუან ხოსე აედო (არგენტინა, CSC); 10. ოსკარ გატო (იტალია, გეროლშტაინერი) ყველა იგივე დროში...

ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ 5 ᲔᲢᲐᲞᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

1. დანილო დი ლუკა (იტალია, ლიკიგაზი) 18:42:12; 2. ფრანკო პელიკოტი (იტალია, ლიკიგაზი) 0:26; 3. ანდრეა ნოე (იტალია, ლიკიგაზი) 0:35; 4. ვინჩენცო ნიბალი (იტალია, ლიკიგაზი) 0:35; 5. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 0:53; 6. დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე) 0:54; 7. დევიდ ზაბრისკი (აშშ, CSC) 1:03; 8. პაოლო სავოლდელი (იტალია, ასტანა) 1:07; 9. ედი მაცოლენი (იტალია, ასტანა) 1:07; 10. ანდრეი მიზუროვი (ყაზახეთი, ასტანა) 1:07...

18 ᲛᲐᲘᲡᲘ. ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ

HTB-ᲞᲚᲣᲡᲘ (ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲠᲗᲘ)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:15 უიქენდის მატჩების ანონსი.
12:25 ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)-ლიბერტადი (პარაგვაი).
14:10 იტალიის ჩემპიონატი. რეჯინა-კიევო.
15:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:10 ტოქ-შოუ - 2:1.
16:55 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი. გერმანიის ჩემპიონატი. ბოხუმი-შტუტგარტი.
18:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:00 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
19:30 საფეხბურთო კლუბი.
20:15 კვირის მატჩი. ინგლისის ჩემპიონატი. შეფილდი-ვიგანი.
22:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:15 ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)-ლიბერტადი (პარაგვაი).
00:00 სასტვენი.
00:30 რუსეთის ჩემპიონატი.
01:30 საფეხბურთო კლუბი.

SPORT 1 (ᲣᲙᲠᲐᲘ�ნᲐ)

07:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. მიხაილ იუჟნი-ივან ლუბიჩიჩ. როტერდამი. ჰოლანდია.
09:11 სპორტინფორმი.
09:26 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
09:52 ფეხბურთი. Barca-TV.
10:00 სპორტინფორმი.
10:15 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი.
12:02 კალათბურთი. ევროლიგა. "ოთხთა ფინალი". ფინალი. პანათინაიკოსი (საბერძნეთი)-ცსკა (რუსეთი). ათენი. საბერძნეთი.
14:25 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. ჩიკაგო-დალასი.
16:12 აფროსნობა. ამერიკის თასი.
16:39 ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი. სევილია-ესპანიოლი. გლაზგო. შოტლანდია.
16:39 მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი.
19:03 სპორტინფორმი.
19:30 სპორტინფორმი.
19:45 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/2 ფინალი. ანაჰაიმი-დეტროიტი. II მატჩი.
21:40 სპორტინფორმი.
22:10 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი.
00:00 სპორტინფორმი.
00:11 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
00:37 კრივი. რინგ-საიდი.
01:35 სპორტინფორმი.
01:50 კალათბურთი. ევროლიგა. "ოთხთა ფინალი". ფინალი. პანათინაიკოსი (საბერძნეთი)-ცსკა (რუსეთი). ათენი. საბერძნეთი.
04:13 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი.
05:58 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ბირმინგემი. ინგლისი.

EUROSPORT

10:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.
11:00 ავტოსპორტი. FIA WTCC. მიმოხილვა.
11:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/8 ფინალი. რომი. იტალია.
12:30 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. V ეტაპი.
14:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/8 ფინალი. რომი. იტალია.
15:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
17:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. V ეტაპი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
21:00 სუმო.
22:00 პოკერი. ევროპის ტური. დუბლინი. ირლანდია.
23:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ფინეთის გრან-პრი.
00:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. გერმანიის გრან-პრი.
00:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.
01:00 საფეხბურთო პროგრამა - TOP 24.
01:30 ექსტრემალური სპორტი.
02:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი. სევილია-ესპანიოლი. გლაზგო. შოტლანდია.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ბილიარდი. პული. ევროტური. ნაპოლი. იტალია.
13:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
14:00 ახალი ამბები.
15:30 ტაეკვანდო. მსოფლიო ჩემპიონატი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
17:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
19:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:00 მულტისპორტი.
21:30 ტაეკვანდო. მსოფლიო ჩემპიონატი. პეკინი. ჩინეთი.
22:00 ახალი ამბები.
22:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
00:15 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატს. ფლეი ოფი. 1/4 ფინალი. I მატჩი. რეალი-ვალენსია.
01:45 მულტისპორტი.
02:15 ახალი ამბები.
02:30 პრო-რესტლინგი.
03:00 ახალი ამბები.

ᲪᲮᲔᲚᲘ ᲮᲔᲤᲖᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲘ

II ᲚᲘ�გᲐ. ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ

ᲚᲘᲜᲙᲝᲚᲜᲘ-ᲑᲠᲘᲡᲒᲝᲚ	3:5

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ. II ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲘᲜᲢᲔᲠᲘ-ᲠᲝᲛᲐ	2:1 (2:6)

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ

ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ

ᲣᲒᲠᲘᲜᲘ-ᲑᲠᲝᲜᲘᲜᲒᲔᲜᲘ	0:2
ᲕᲘᲢᲔᲡᲘ-ᲜᲘᲛᲔᲒᲔᲜᲘ	1:0
ᲚᲝᲠᲓᲠᲔᲯᲘ-ᲕᲐᲚᲔᲕᲘᲩᲘ	0:3
ᲕᲔᲜᲚᲝ-ᲓᲔᲜ ᲑᲝᲡᲒᲘ	1:0

ᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲙᲝᲞᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ-ᲛᲝᲓᲔᲜᲐ	1:2

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ

ᲑᲠᲔᲚᲔᲰᲝᲚᲛᲘ-ᲔᲚᲘᲡᲰᲝᲚᲛᲘ	1:2

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ᲝᲡᲒᲐᲠᲡᲘ-ᲜᲝᲠᲩᲔᲞᲘᲜᲒᲘ	0:1

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲒᲔᲣᲚᲔ-ᲘᲣᲠᲒᲠᲝᲚᲔᲜᲘ	1:1, პენ. 5:3
ᲞᲐᲚᲛᲑᲐᲓᲘ-ᲑᲠᲝᲛᲐᲞᲘᲝᲜᲘᲐᲠᲜᲐ	1:3
ᲙᲘᲚᲘᲜᲒᲘ-ᲞᲐᲙᲔᲜᲘ	1:1, დ.დ. 1:2
ᲚᲘᲜᲓᲒᲕᲘᲡ-ᲒᲘᲝᲒᲔᲒᲠᲘᲒᲘ	1:6
ᲣᲔᲑᲡᲘᲯᲔᲜᲘ-ᲞᲔᲚᲡᲘᲜᲒᲑᲠᲘᲒᲘ	0:4

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲞᲘᲠᲘ-ᲛᲐᲠᲘᲔᲞᲐᲛᲜᲘ	2:2
ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ-ᲞᲝᲚᲜᲐ	1:1

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ

ᲐᲚᲒᲐᲢᲘ-ᲛᲐᲒᲓᲔᲑᲣᲠᲒᲘ	3:2
ᲑᲘᲠᲜᲚᲘ-ᲜᲐᲚᲒᲑᲣᲠᲒᲘ	0:2
ᲠᲐᲞᲘᲓᲘ-ᲞᲐᲨᲘᲜᲒᲘ	2:0
ᲠᲘᲓᲘ-ᲐᲣᲡᲢᲠᲘᲐ	1:0
ᲨᲢᲣᲒᲐᲠᲢ-ᲒᲠᲐᲪᲔᲠᲘ	1:0

ᲩᲔᲩᲕᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

1/2 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲔᲚᲘᲜᲘ-ᲡᲞᲐᲠᲢᲐ	1:2

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲡᲐᲑᲔᲭᲓᲝᲗᲘ

ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ

ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲙᲘᲡᲘ-ᲞᲐᲠᲘ	77:73

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ

ᲠᲔᲯᲘ-ᲕᲐᲚᲔᲜᲡᲘᲐ	84:81

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ

ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ

ᲕᲘᲖᲠᲣᲡᲘ-ᲑᲘᲚᲑᲐ	87:97

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ

ᲜᲐᲜᲡᲘ-ᲒᲠᲐᲕᲔᲚᲘᲜᲘ	89:66
ᲠᲣᲐᲜᲘ-ᲨᲝᲚᲝ	74:60
ᲨᲐᲚᲝᲜᲘ-ᲚᲔ ᲛᲐᲜᲘ	78:85
ᲡᲢᲠᲐᲡᲑᲣᲠᲘ-ᲕᲘᲚᲘᲠᲑᲐᲜᲘ	103:105 (ᲝᲕ)

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ATP. ᲞᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘ

აკასუსო-ვოლანდრი	3:6, 7:6, 6:3
დავიდენკო-სიმონი	6:7, 6:4, 7:5
გასკე-მელცერი	3:6, 4:6
გონსალესი-მატიო	7:5, 6:4
ჯოკოვიჩი-ბენეტო	7:6, 6:3
ნიმინენი-მაიერი	6:2, 6:4
ფერერი-ლუბიჩიჩი	6:3, 6:3
ბლეიკი-მოია	6:1, 3:6, 3:6
ნადალი-ანდრეევი	6:4, 6:1
ალმაგრო-აკასუსო	6:2, 6:3
დავიდენკო-ჰიუიტი	4:6, 6:2, 4:6
ფედერერი-ფერერო	6:2, 6:3

WTA. ᲠᲝᲛᲘ

პეტროვა-დემენტიევა	3:6, 0:6
ჩაკვეტაძე-ჰანტუხოვა	2:6, 3:6
შნიდერი-სტოსური	6:4, 6:4
იანკოვიჩი-ა. ბონდარენკო	6:4, 7:5
საფინა-ე. ბონდარენკო	6:2, 6:3
ს. უილიამსი-პეერი	6:3, 6:3
მედინა გარიგესი-ვიერინი	6:1, 6:1
კუზნეცოვა-ფედაკი	7:6, 6:1

WTA. ᲤᲔᲡᲘ

სალერნი-ფედოსოვა	5:7, 6:3, 6:3
უბეროი-სეკერა	4:6, 0:6

ჩოგბურთი

როლან გაროსს ჩოგბურთელები აკლდება

გუშინ, მსოფლიო კლასიფიკაციის მე-16 ნომერმა - **მარიო ანჩიჩმა** ოფიციალურად დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არ აპირებს საფრანგეთის ღია პირველობაზე თამაშს.

ხორვატმა ჩოგბურთელმა განაცხადა, რომ ბოლომდე ვერ მოირჩინა ტრავმა, რომლის გამოც მას უკვე ორი თვე გაუცდა.

"იძულებაცრუებული ვარ იმის გამო, რომ "როლან გაროსზე" ვერ ვითამაშებ. "დიდი სლემის" ტურნირებზე გამოსვლა ნებისმიერი ჩოგბურთელისთვის განსაკუთრებული მოვლენაა. მაგრამ ამასთან, სასიხარულო ინფორმაციაც მაქვს. ბოლო სამედიცინო შემოწმების მიხედვით, აღდგენითი პროცესი წარმატებით მიმდინარეობს და ექიმებმა უკვე მომცეს ვარჯიშის უფლება", - თქვა ანჩიჩმა.

■ ■ ■

საფრანგეთის ღია პირველობის წინ, საბოლოოდ გაირკვა შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისის** ბედი - მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი "როლან გაროსის" კორტებზე ვერ გამოვა. ამის მიზეზია ის ტრავმა, რომელიც მარტინამ გასულ კვირას, ბერლინის ტურნირის დროს მიიღო.

სხვათა შორის, საფრანგეთის ღია პირველობა "დიდი სლემის" სერიის ერთადერთი ტურნირია, რომელშიც ჰინგისს არ გაუმარჯვია.

ასევე ცნობილი გახდა, რომ პირადული მიზეზების გამო, საფრანგეთის ღიას ძირითად ბადეში არ იქნება რუსი **ევგენია ლინეიკაია**. მასსა და ჰინგისს ამ ტურნირზე შვეიცარიელი **ემანუელ გალიარდი** და დანიელი **კაროლინ ვოზნიაჩკი** შეცვლიან.

■ ■ ■

კითხვის ნიშნის ქვეშ დგას "როლან გაროსზე" ფრანგი **ტატიანა გოლოვინის** თამაში. 19 წლის ჩოგბურთელს ფეხის ტრავმა აწუხებს, რომლის მკურნალობას, ჯამში 6 კვირა სჭირდება.

"უკვე სამი კვირაა უსაქმოდ ვარ, საფრანგეთის ღია პირველობა კი, ორი კვირის შემდეგ დაიწყება. ამატომაც, ეჭვი მეპარება, "როლან გაროსის" კოტრებზე შევძლო გასვლა. გასულ წელსაც ანალოგიური ტრავმა მაწუხებდა, მაგრამ ექიმებს არ დავუჯერე და საფრანგეთის ღია პირველობაზე ვითამაშე. მაშინ პირველივე წრეში წავაგე, ტრავმაც გავიმიზეზ და ამის გამო, უიმბლდონი გამოვტოვე", - ამბობს გოლოვინი.

■ ■ ■

პარიზში ჩასვლაზე უარი განაცხადა საფრანგეთის ღია პირველობის სამგზის ჩემპიონმა - ბრაზილიელმა **გუსტავო კუერტენმა**. წლევანდელი ტურნირის გამოტოვება მან ცუდი სპორტული ფორმის გამო გადაწყვიტა.

"მინდოდა "როლან გაროსზე" თამაში, მაგრამ პარიზში მხოლოდ იმის გამო არ ჩავალ, რომ პირველივე თამაში წავაგო. ძალიან მიყვარს და პატივს ვცემ ამ ტურნირს და იქ ასეთი ცუდი ფორმით გამოსვლას არ ვიკადრებ. ბოლო პერიოდში ბევრს ვვარჯიშობდი და ჩემი სპორტული ფორმაც ყოველდღიურად უმჯობესდება, მაგრამ ეს საფრანგეთის ღიაზე წარმატებით გამოსასვლელად საკმარისი არ არის", - განუცხადა ჟურნალისტებს კუერტენმა.

იტალია თიხნარზე, ამერიკა პარდზე

14-15 ივლისს, ფედერაციის თასის ნახევარფინალური მატჩები გაიმართება. იტალია საფრანგეთის ნაკრებს უმასპინძლებს, რუსეთი კი ამერიკას ესტუმრება.

გუშინ გაირკვა ის ქალაქები, რომლებშიც ეს მატჩები გაიმართება. იტალია მეტოქეს კასტელანეტა მარინაში მდებარე თიხნარის კორტებზე დაუხვდება, რაც შეეხება ამერიკისა და რუსეთის მატჩს, ის ვერმონტის შტატის ქალაქ სტოუში გაიმართება. აქ კორტის საფარი - ჰარდი იქნება.

ფორმულა 1

მაკლარენი ახალ ჰემილტონს ეძებს

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ "უილიამსმა" ტესტებზე მიიწვია 14 წლის მალაიზიელი პილოტი - **ჯეიზმან ჯაფარი**. ახლა კი, ცნობილი ხდება, რომ ანალოგიური ნაბიჯი "მაკლარენ-მერსედესმაც" გადადგა. ამ საჯინიბოს საწვრთნელ ბაზაზე 14 წლის ბრიტანელ კარტინგისტს - **ოლივერ როულენდს** ელიან. ამ უკანასკნელის ტესტებზე მინვევა, "მაკლარენის" მიერ ორგანიზებული ახალგაზრდა პილოტთა დახმარების პროგრამით არის გათვალისწინებული.

"როულენდი, კარგი გაგებით, ჯიუტი, მიზანდასახული და ძალიან ნიჭიერი პილოტია. ეს თვისებები კი, აუცილებელია დამწყები ავტომრბოლისთვის. შთამბეჭდავი იყო როულენდის გამოსვლა თებერვალში, "შენინგტონის" ტრასაზე. მაშინ, კარტინგების რბოლისას, ოლივერმა სტარტი წააგო და ბოლო ადგილზე აღმოჩნდა, მაგრამ რამდენიმე დაუჯერებელი მანევრის წყალობით, რბოლის მოგება შეძლო. როულენდს ყველა მიმართულებით დავეხმარებით - ტექნიკით, ფიზიკური მომზადებით, ფინანსებით... დარწმუნებული ვარ, ეს მომგებიანი ინვესტიცია იქნება", - ამბობს "მაკლარენის" აღმასრულებელი დირექტორი **მარტინ უიტმარში**.

შეგახსენებთ, რომ სნორედ ზემოთნახსენები პროგრამის წყალობით აღმოაჩინა ამ გუნდმა **ლუის ჰემილტონი**, რომელიც ახლა ფორმულა 1-ის ჩემპიონატის ლიდერი გახლავთ.

ოლიმპიზმი

გაყიდულია 230 ათასი ბილეთი

ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით იმის შესახებ, რომ პეკინის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა, მომავალი ოლიმპიადის ბილეთების პირველი ნაწილის რეალიზაცია დაიწყო. გასაყიდად გამოტანილ 1.09 მილიონ ბილეთზე ჯერჯერობით, 230 ათასი განაცხადი გაკეთდა.

სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, ყველაზე სწრაფად საღდება ბილეთები გახსნის ცერემონიალსა და საკალათბურთო მატჩებზე, რადგან ჩინელებს მათი კუმირის, "ჰიუსტონის" ცენტრალური თავდამსხმელის - **იაო მინის** ხილვის იმედი აქვთ. ასევე მაღალია წყალში ხტომის ასპარეზობათა დასასწრები ბილეთების რეალიზაციის პროცენტი.

სპორტის ამა თუ იმ სახეობათა წინასწარ შეჯიბრებებზე ბილეთების ფასი, საშუალოდ 3.5 დოლარი იქნება, გახსნის ცერემონიალზე მოხვედრა კი, 646 დოლარი ღირს.

პეკინის ოლიმპიური თამაშები 2008 წლის 8 აგვისტოს დაიწყება.

ქრონიკა

ტაისონი ტაისონის შესახებ

ამერიკაში ლეგენდარულ მძიმეწონოსან მოკრივე **მაიკ ტაისონზე** დოკუმენტური ფილმის გადაღებას აპირებენ.

ფილმს მარტივი სახელი ექნება - "ტაისონი". ყოფილმა მსოფლიო ჩემპიონმა უკვე განაცხადა თანხმობა იმის შესახებ, რომ ამ პროექტის ავტორებს ფილმში გამოსაყენებელი რამდენიმე ინტერვიუ მისცეს. ამ საუბრების საერთო ქრონომეტრაჟი 30 საათი იქნება.

ფილმის რეჟისორი **ჯეიმს ტობეკია**, რომელიც ტაისონს 1985 წლიდან იცნობს. მისი სიტყვებით, "ტაისონი" ყველაზე სწორად და ზუსტად მოუყვება მაყურებელს ლეგენდარული მოკრივის ცხოვრების ისტორიას. თანაც, ავტორები სულაც არ ეცდებიან გამართლება მოუძებნონ ტაისონის სხვადასხვა უცნაურ გამოხტომებს. მაგალითად, 1997 წელს მომხდარ ინციდენტს, როცა "რკინის მაიკმა" რინგზე ყური მოაჭამა **ევანდერ ჰოლიფილდს**.



ნადალმა თიხნარზე ზედიზედ 79-ე თამაში მოიგო

ტურნირების მიმოხილვა

ფედერერი გამოცოცხლდა

წარმატებით დაიწყეს ჰამბურგის მასტერსზე გამოსვლა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** და მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა**. პირველს სამი სეტი დასჭირდა არგენტინელი **ხუან მონაკოს** დასამარცხებლად, მეორემ კი ორ სეტში აჯობა თანამემამულე **ოსკარ ერნანდესს** და თიხნარზე ზედიზედ 78-ე თამაში მოიგო.

ფედერერს კვლავ გაუჭირდა. ამჯერად მის წინაშე ტურნირზე საკვალიფიკაციო ეტაპგავლილი ჩოგბურთელი იდგა. შვეიცარიელმა პირველი სეტი კი მოიგო, მაგრამ მეორე საკმაოდ იოლად დათმო და გადამწყვეტის დასაწყისშიც, ბრეიკის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. მაგრამ გამოცდილებამ განსაცდელისგან თავის დაღწევის საშუალება მისცა. მან ხუთი ბრეიკ პოინტი მოიგერია, შემდეგ თავად შეძლო მონაკოს სერვისზე ქულის აღება (მეცხრე გეიმში) და შეხვედრის დანყებიდან თითქმის ორი საათის შემდეგ, გამარჯვებით დაასრულა შეხვედრა.

აღსანიშნავია, რომ ფედერერისთვის ეს პირველი მატჩი იყო, რომელიც მან მწვრთნელის გარეშე ჩაატარა. შეგახსენებთ, რომ ის რომის მასტერსის შემდეგ თავის მწვრთნელ **ტონი როშს** დაშორდა და განაცხადა, რომ საფრანგეთის ღიასა და უიმბლდონზე მწვრთნელის გარეშე იასპარეზებს.

"ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ალბათ ამ ეტაპზე სწორედ ასეთი ძნელი გამარჯვება ყველაზე მეტად მჭირდებოდა. ბოლო ხანს, უფრო მეტ დროს ვარჯიშებზე ვატარებ, ვიდრე ვთამაშობ. ჰოდა, ახლა კარგი იქნება, თუ კორტზე რაც შეიძლება, მეტ დროს გავატარებ. საფრანგეთის ღიას წინ ეს საუკეთესო ვარჯიში იქნება", - განაცხადა ფედერერმა, ვინც გუშინ მესამე წრეც გაიარა, რომელშიც ორ სეტში აჯობა ესპანელ **ხუან კარლოს ფერეროს**.

თავიდან ნადალსაც გაუჭირდა. პირველ სეტში ესპანელი საკმაოდ ხშირად ცდებოდა, რითაც მეტოქეს თავის გამოჩენის საშუალებას აძლევდა. მაგრამ ეს სეტი რომ მოიგო, შემდეგ თავის ჩვეულ სტილში ათამაშდა და მეორეში მხოლოდ ერთი გეიმი მოაგებინა ერნანდესს.

მესამე წრეში ნადალს რუსი **იგორ ანდრეევი** დაუპირისპირდა, ჩოგბურთელი, ვინც ის თიხნარზე უკანასკნელად დაამარცხა (ორი წლის წინათ, ვალენსიაში). მეორე წრეში ანდრეევმა სამ სეტში აჯობა გერმანელ **ფილიპ კოლშრაიბერს**.

"ბოლოს ანდრეევმა კი მომიგო, მაგრამ ამჯერად ეს ჩემთვის ბევრს არაფერს ნიშნავს. ის შესანიშნავი ჩოგბურთელია. განსაკუთრებით კი მისი წაღმა დარტყმები (ფორჰენდი) გამოირჩევა. მთავარია, მზიანი ამინდი იყოს", - განაცხადა ნადალმა, ვინც წინა კვირაში რომის მასტერსი ზედიზედ მესამედ მოიგო.

გუშინ ნადალმა ანდრეევის ბარიერიც გადალახა. ამჯერად არ წვიმდა, ანდრეევმა კი თამაშის დასაწყისში კარგად ამუშავა თავისი ფორჰენდი, მაგრამ ამით მიზანს მაინც ვერ მიაღწია. რუსმა პირველ სეტში მას მეტ-ნაკლები წინააღმდეგობა კი გაუწია, მაგრამ მეორეში მხოლოდ ერთი გეიმის მოგება შეძლო.

სხვათა შორის, მისი და ფედერერის მეორე შეხვედრები დახურულ ცენტრალურ კორტზე ჩატარდა, რადგან ჰამბურგში იმ დროს წვიმდა. ამის გამო იყო, რომ დღის განმავლობაში სულ რამდენიმე შეხვედრის დასრულება მოხერხდა.

რომში მიმდინარე, ქალთა პირველი კატეგორიის ტურნირის პირველივე ბარიერზე დაეცა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ფრანგი **ამელი მორესმო**, რომელსაც სამ სეტში მოუგო ავსტრალიელმა **სამანტა სტოშურმა**. ეს ზედიზედ მეორე დიდი ტურნირია, რომელსაც ის ადრეულ ფაზაშივე ეთიშება. იტალიის ღიამდე, ის მესამე წრეში გამოეთიშა გერმანიის ღია პირველობას. მოკლედ, საფრანგეთის ღიას ყოფილი ჩემპიონი, სეზონის მეორე სასლემო ტურნირს მოუმზადებელი ხვდება.

მერაბ ლორთქიფანიძე

ATP

ჰამბურგის მასტერსი

ჰამბურგი (გერმანია). თიხნარი

საპრიზო ფონდი: 2 085 500 ევრო

მეორე წრე

ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 15)-მარატ საფინი (რუს) 6:3, 7:6(15); **ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 8)**-არნო კლემანი (საფრ) 6:2, 6:3; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ოსკარ ერნანდესი (ესპ) 7:5, 6:1; **იგორ ანდრეევი (რუს)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერმ) 6:7(3), 6:1, 6:4; **როჯერ ფედერერი (შვეი, 1)**-ხუან მონაკო (არგ) 6:3, 2:6, 6:4; **კარლოს მოია (ესპ)**-ტომაშბერდიჩი (ჩეხ, 10) 3:6, 7:5, 7:6(6); **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 16)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ) 6:2, 7:6(3); **იურგენ მელცერი (ავსტ)**-რიშარ გასკე (საფრ) 6:3, 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ)**-ჟულიან ბენეტიუ (საფრ) 7:6(5), 6:3; **იარკო ნიემინენი (ფინ)**-ფლორიან მაიერი (გერმ) 6:2, 6:4; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ)**-პოლ-ანრი მატიე (საფრ) 7:5, 6:4

მესამე წრე

დავიდ ფერერი (ესპ, 12)-ივან ლიუბიჩიჩი (ხორვ, 7) 6:3, 6:3; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-იგორ ანდრეევი (რუს) 6:4, 6:1; **კარლოს მოია (ესპ)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 8) 1:6, 6:3, 6:3

WTA

იტალიის ღია

რომი (იტალია). თიხნარი

საპრიზო ფონდი: 1 340 000 დოლარი

მეორე წრე

ალონა ბონდარენკო (უკრ)-ტატიანა გარბინი (იტა, 16) 6:4, 6:2; **ნადეჟდა პეტროვა (რუს, 5)**-მეგან შონესი (აშშ) 7:6(5), 6:1; **სამანტა სტოშური (ავსტრ)**-ამელი მორესმო (საფრ, 1) 7:5, 6:7(4), 7:6(7); **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ)**-კატარინა სრებოტნიკი (სლო, 15) 6:3, 6:2; **ნატალი ვიერინი (იტა)**-გალინა ვოსკობოევა (რუს) 4:6, 6:4, 6:4; **დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 9)**-სიბილ ბამერი (ავსტ) 6:1, 6:2; **ანა ჩაკვეტაძე (რუს, 7)**-იან ძი (ჩინ) 6:1, 6:3; **ელენა იანკოვიჩი (სერბ, 3)**-ტამირა პაშეკი (ავსტ) 6:3, 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 2)**-მარა სანტანჯელო (იტა) 6:3, 6:3; **შაჰარ პეერი (ისრ, 11)**-აი სუგიამა (იაპ) 6:0, 6:2; **კატერინა ბონდარენკო (უკრ)**-კაროლინა შპრემი (ხორვ) 6:3, 6:4; **იულიანა ფედაკი (უკრ)**-ნატალი დეში (საფრ) 1:6, 6:2, 6:2; **დინარა საფინა (რუს, 6)**-კაია კანეპი (ესტ) 7:6(5), 6:2; **ელენა დემენტიევა (რუს, 10)**-კატალინა კასტანო (კოლუ) 6:4, 6:3; **ჰატი შნიდერი (შვეი, 14)**-მეილენ ტიუ (აშშ) 6:4, 6:0

მესამე წრე

ელენა დემენტიევა (რუს, 10)-ნადეჟდა პეტროვა (რუს, 5) 4:3 (პეტროვას ტრავმა); **დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 9)**-ანა ჩაკვეტაძე (რუს, 7) 6:3, 6:3

ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყლიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაები

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გაფრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
გაბარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ ბოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10 ½,
0159 თბილისი
(დილობი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე. ბარდა კვირისა